# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 23 სექტემბერი, 2006 წელი.

№ 187 (5528)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

⊙ პრეზიდენტი

## მიხეილ სააკაშვილი გაეროს ტრიბუნიდან რუსეთის ხელისუფლებას აფრთხილებს

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, გუშინ გაეროს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიაზე გამოსვლისას, რუსეთის ხელისუფლებას გაფრთხილება მისცა და კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორია არ იყიდება.



სააკაშვილის განცხადებით, რუსეთის მცდელობა, კოსოვოს პრობლემა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შეადაროს, კრახით დასრულდება. პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში დე ფაქტო რესპუბლიკები რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად მოიხსენია.

„ჩვენი გზა მშვიდობიანია, თუმცა ნუ გგონიათ, რომ სხვა საშუალება არ არსებობს. დემოკრატიის დასაცავად ყველა ზომას მივმართავთ“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ანექსირებულია ჩრდილოელი მეზობლის – რუსეთის ფედერაციის მიერ, რომელიც მოსახლეობაში რუსული პასპორტების დარიგებას აქტიურად განაგრძობს, რაც, თავისთავად, საერთაშორისო კანონების დარღვევაა.

„იმ შემთხვევაში, ჩვენ თუ გვერდზე გავდგებით, მაშინ ვაღიარებთ, რომ გულგრილობა და უკანონობა საერთაშორისო თამაშში ახალი წესები ყოფილა. ამან კი კოსოვოს თემა გამახსენა, რადგან საერთაშორისო გაერთიანება ცდილობს, იპოვოს სამართლიანი გადაწყვეტილება კოსოვოსთან დაკავშირებით“, — აღნიშნა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, რუსეთის განცხადება, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადაჭრა კოსოვოს ფორმატით შეიძლება, არასწორი და უპასუხისმგებლოა.

„თანამედროვე ევროპაში მშვიდობის და უსაფრთხოების დამყარება დაფუძნებულია ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპზე. თუ რუსეთი გააგრძელებს მცდელობას, ძირი გამოუთხაროს ამ წყობას, ეს ზეგავლენას მოახდენს არა მხოლოდ კავკასიაზე, არამედ დედამიწის მრავალ ნაწილზე. ვინაიდან ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ დემოკრატიაზე, მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველო ამას არ დაუშვებს“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტს ნიუ-იორკში გაეროს 61-ე სესიაზე 15-წუთიანი გამოსვლა ჰქონდა.

ინტერპრესნიუსი



ნუ გავყიდით, მოვუაროთ საქართველოს!

ნატოში გაწევრიანებისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა,



ვულოცავთ სრულიად საქართველოს!

10

## რას გვპირდება „ახალი კუვეიტის“ „შავი ოქრო“?

3

## მასკარადი, გაყიდული სკოლა და ჩარაგული ჩიშკარი



2

## მოტყუებულ ჟურნალისტს შანტაჟშიც ადანაშაულებენ?!

5



4–5

◎ ინფორმაცია

## ილია II — ქუთაისში



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 22 სექტემბერს ქუთაისში სასჯელაღსრულების დაწესებულებები და საჯარისო ნაწილები მოინახულა. ქუთაისის ციხეში ილია მეორემ პატიმრები აკურთხა. საჯარისო ნაწილში კი ერაყში მიმავალი კომანდოს ბატალიონი დალოცა. კათოლიკოს-პატრიარქმა ჯარისკაცებს საჩუქრად ბიბლია გადასცა.

ილია მეორე ასევე ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმს ესტუმრა, სადაც ახლადგახსნილ რელიგიურ დარბაზში გამოფენილი უძველესი ხატები და სიწმინდეები დაათვალიერა.

## რუსეთი საფრთხეს ვერ ხედავს

რუსეთის თავდაცვის მინისტრის, სერგეი ივანოვის განცხადებით, ნატოში საქართველოს გაწევრიანებით რუსეთს, სამხედრო თვალსაზრისით, საფრთხე არ ემუქრება.

თავდაცვის მინისტრის თქმით, აღნიშნული საკითხის მოგვარება მეზობელი ქვეყნების საზღვარზე ორი თანამედროვე ბრიგადის განთავსებითაც არის შესაძლებელი.

„დროა, საქართველოს ქმედებათა განხილვა შეწყდეს. ის დამოუკიდებელი ქვეყანაა, რომელსაც სრული უფლება აქვს, საკითხი ნატოში შესვლის შესახებ თვითონ გადაწყვიტოს", — განაცხადა ივანოვმა.

## მთავარია ადამიანის უფლებათა დაცვა

ევროსაბჭოს უმაღლესი კომისარი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ტომას ხამაბერგი დნესტრისპირეთის, საქართველოს, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მონახულებას აპირებს. დნესტრისპირეთზე საუბრისას კომისარმა განაცხადა, რომ მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ პოლიტიკურად რა სტატუსის ქვეყანაში ხდება რამე მოქმედება. მთავარი ყველგან ადამიანის უფლებების დაცვაა.

„ჯერ დნესტრისპირეთის, შემდეგ კი საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონახულებას ვაპირებ, თუმცა ჯერჯერობით კონკრეტულ ვადებს ვერ დავასახელებ", — განაცხდა ტომას ხამაბერგმა.

## წამების ფაქტები კვლავაც არის

გაეროს ექსპერტმა საქართველო იმ ქვეყნებს შორის დაასახელა, სადაც წამების ფაქტები ხშირად ფიქსირდება. როგორც ჟენევაში გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის



მეორე სესიაზე ერთ-ერთმა მომხსენებელმა მანფრედ ნოვაკმა განაცხადა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წამება არ არის მიჩნეული სერიოზულ დანაშაულად, რაც პრაქტიკაში მის ფართო გამოყენებას ხელს უწყობს. გაეროს გვერდზე გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, მან უზბეკეთისა და ჩინეთის გვერდით საქართველოც დაასახელა, რომელსაც 2005 წლის 19-25 თებერვალს ესტუმრა.

ნოვაკის ვრცელ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ბევრი რამ გააკეთა, რათა ძალოვან სისტემაში წამების ხერხების გამოყენება აღმოეფხვრა, თუმცა, ამ მხრივ მდგომარეობა მაინც შემაშფოთებელია.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ მსგეფსი

# მასკარადი, გაყიდული სკოლა

### როგორ ატყუებენ პრეზიდენტს

**ტყუილი, მოტყუება საერთოდ დიდი ცოდვაა.**

**ქვეყნის პრეზიდენტის მოტყუება — ორმაგი ცოდვა.**

**ხოლო თუ შენგან მოტყუებული პრეზიდენტი მთელ ხალხს მოატყუებს — სამმაგი.**

მე რომ მიხეილ სააკაშვილი ვიყო, ჩემს გამცუცურაკებლებს ცოცხლად ტყავს გავაძრობდი.

ორშაბათს, მოგეხსენებათ, საქართველოში ზეიმი იყო — სასწავლო წელი დაიწყო. ცნობილია: ეს თარიღი „ვარდების რევოლუციის" შემდეგ 1 სექტემბრიდან 18 სექტემბრამდე დაცურდა. თუმცა, დაცურებული „პირველი ზარიც" ვერ მივიდა ყველა სკოლამდე — ზოგან რემონტის დასრულება ვერ მოესწრო და სწავლის დაწყება გადაიდო — სად — 25 სექტემბრამდე, სად — 2 ოქტომბრამდე...

ბუნებრივია, პრეზიდენტმა საზეიმო დღე მოგვილოცა. იგი, საერთოდ არ აკლდება ხალხმრავალ შეკრებებს, რათა თავისი მგზნებარე სიტყვით გაამხნევოს და დააიმედოს თანამოქალაქეები და, რა თქმა უნდა, არც ასეთი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. 18 სექტემბერს პირველ ექსპერიმენტულ სკოლას ეწვია იყალთოს გორაზე, რომელშიც ოდესღაც თვითონ სწავლობდა. ოღონდ, მხოლოდ განათლების მინისტრი კი არ იახლა, მთელი თავის ოჯახის სამი თაობით მივიდა: ბებიით, ბაბუით, დედით, ცოლითა და უმრწემესი ვაჟით.

მივიდა, გარშემო ხელყვავილიანი მოსწავლეები შემოიკრიბა და ემოციური სიტყვით მიმართა, სწავლის დაწყებას გილოცავთ მსოფლიოში ყველაზე მაგარი, მთელი კაცობრიობის შუქურა ქვეყნის შვილებსო, თქვენი იმედი გვაქვსო.

იყო ტაში და შეძახილები. გახალისებული პრეზიდენტი წავიდა და... მასპინძლებმა შვებით ამოისუნთქეს. საქმე ის არის, რომ პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში იმ დღეს კი არა, დღესაც არ დაწყებულა სწავლა — რემონტი გაჭიანურდა. „დამხვდური" მოსწავლეები და მასწავლებლები კი სპეციალურად შეაგროვეს ამ „ზეიმისთვის".

ცნობილია, რომ იქიდან ბატონი მიხეილ სააკაშვილი ზუგდიდს გაფ-





რინდა, ოღონდ, მგონი, ბებია-ბაბუის, დედისა და ცოლ-შვილის გარეშე. იქაც — ქალაქის პირველ სკოლაში — მიტინგი „პირველი ზარის" წინ, სეფე-სიტყვა, ცხოვრების გზის დალოცვა და იქაც... მასპინძლების შვება სტუმრის წასვლის შემდეგ: სწავლა არც იქ დაიწყო, სკოლა არ იყო მზად.

მარტივი კითხვა ისმის: რატომ იყო აუცილებელი თბილისსა თუ ზუგდიდში პრეზიდენტის მაინცდამაინც იმ სკოლებში მიყვანა, რომლებიც მზად არ იყვნენ? რატომ იქ არ აწვიეს, სადაც ზარი მართლა ირეკებოდა?

ან — ვისთვის იყო საჭირო ის მასკარადი, რომელიც 17 სექტემბერს (კვირას!!!) მოეწყო ხაშურში, როცა პრეზიდენტს ახალი სკოლა „გაახსნევინეს" და ერთ-ერთ საკლასო ოთახში პირველკლასელებთან „პირველ გაკვეთილზე" შეახვედრეს? კვირა დღეს, სწავლის საყოველთაოდ დაწყების წინა დღეს, კაცო?!

ან დიდი ამბით რომ გამოაცხადეს, თბილისის მერიისწინა მოედნიდან პრეზიდენტმა რეგიონებისთვის გადაცემული სასკოლო ავტობუსები პირადად გააცილაო, რა იყო?

როგორც ჩანს, პრეზიდენტმა ხელი დაუქნია დამშვიდობების ნიშნად, ავტობუსები დაიძრნენ, მერე სადღაც შეუხვიეს და გაჩერდნენ, რადგან, როგორც ირკვევა, ის დამისამართებული წითელი ავტობუსები დანიშნულების ადგილზე ჯერჯერობით არ ჩასულან, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. მათი გუნდური გამგზავრება, ალბათ, რაიმე ახალი, უფრო მომგებიანი, ფერადოვანი ღონისძიების დროს მოხდება, კახეთისკენ მრავალგზის დაძრული ტრაქტორების მსგავსად.

კიდევ ერთხელ ვთქვათ: ვის სჭირდება ასეთი თვალებში ნაცრის შეყრა და მასში პრეზიდენტის ჩართვა? ეს სპეციალურად ხომ არ კეთდება ბატონ მიხეილ სააკაშვილის რეიტინგის დასაგდებად?..

### სიძე-სიდედრიანი

**ნათქვამია, ცუდი სიძე ქალიშვილის დაკარგვას ნიშნავს, კარგი სიძე კი ვაჟის შემატებასო.**

**მართლაც ბრძნული, ღრმა ცხოვრებისეულ დაკვირვებაზე აღმოცენებული დასკვნაა.**

სიძე მყავსო, გელა ბეჟუაშვილის სიდედრმა უნდა თქვას.

თქვას კი არა, პლაკატები და ბილბორდები უნდა გამოფინოს ქვეყნის ოთხივ კუთხით.

სიდედრისთვის 800 ათას ლარად ღირებული შენობის მირთმევა მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს.

და ახლა შეგვიძლია გინესის წიგნში შესატანად განცხადება ვაფრინოთ.

თანაც, ფასის გარდა, ამ შენაძენის განსაკუთრებულობასაც ხომ უნდა გაესვას ხაზი. თბილისის 101-ე სკოლა, ქალაქის პრესტიჟულ, მყუდრო უბანში, ისეთი ელვის სისწრაფით იყიდეს ამ ქალბატონისთვის, ლამის მასწავლებლები და მოსწავლეებიც გააყოლეს ხურდად.

შოთა ნიშნიანიძეს აქვს პატარა ლამაზი ლექსი, რომელიც პირდაპირ ესიტყვება „შანხაიში" შექმნილ ვითარებას: „კარს მივადექი... და ტანში გამცრა და გამოვბრუნდი უკან ბარბაცით: ბუკინისტური დარაბის ნაცვლად შემრჩა სახინკლე... ლუდის დარბაზი... და ამედევნა ისეთი განცდა, თითქოს აღმოვჩნდი საყვარელ სახლთან, შევირბინე და... მეგობრის ნაცვლად გადიდებული სურათი დამხვდა..."

◎ პრეზენტაცია... ბაზრობაზე

# პლასტმასის ვედრო და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები

### ოპოზიცია ხელისუფლებისთვის ჭკუის დარიგებას აპირებს

**კონსერვატორები და რესპუბლიკელები კიდევ ერთხელ „გაიჭრნენ ველად". მათი მორიგი პრესკონფერენცია გუშინ ელიავას ბაზრობაზე გაიმართა. ეს ტერიტორია თავიანთი პროგრამის კიდევ ერთი ნაწილის — უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტის გეგმის პრეზენტაციისთვის გამოიყენეს.**

— ხელისუფლება გეუბნებათ, უმუშევრობას თქვენი არაპროფესიონალიზმი იწვევსო. დასაქმების სამთვიანი პროგრამაც შეიმუშავა თითქოსდა თქვენი პროფესიონალიზმის ასამაღლებლად. ჩვენ კი გეუბნებით, რომ თქვენ კი არა, ხელისუფლებაა არაპროფესიონალი. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ჩვენ გთავაზობთ დასაქმების არა სამთვიან, არამედ ფართომასშტაბიან პროგრამას, რომელიც ხელისუფლებისგან დავიწყებულ, ქუჩაში დატოვებულ ყველა მოქალაქეს შეეხება — მიმართა საზოგადოებას თინა ხიდაშელმა.

თემა კობა დავითაშვილმა განავრცო. მისი თქმით, ელიავას ბაზრობაზე უამრავი პროფესიონალი ვაჭრობს, იქნება იგი მეცნიერი თუ ხელოსანი. პროფესიონალები ყველა დარგში გვყავს, — ხელისუფლების გარდა. ამდენად, კვალიფიკაციის ამაღლება სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლებს სჭირდებათ. შესაბამისი კურსების ჩატარებას ბლოკი „დავითაშვილი — ხიდაშელი — ბერძენიშვილი" ოქტომბრიდან გეგმავს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებამ თავად მათ არ ჩაუტარა კარგი გაკვეთილი თემაზე: „როგორ უნდა მოვიგოთ არჩევნები".



რაც შეეხება კონსერვატორთა და რესპუბლიკელთა საერთო პროგრამას, მთავარი აქცენტი მცირე საწარმოთა ამუშავებაზე კეთდება. თვალსაჩინოებისთვის კობა დავითაშვილმა წითელი პლასტმასის ვედრო მოიტანა. მისი თქმით, ასეთი ვედროები, რომელთა ფასი ათი ლარია დღეში, სულ ცოტა, ათასი ცალი იყიდება, ირანიდან შემოდის. მათ, ვინც საქართველოშივე დაამზადებს ამგვარ ვედროებს, საწარმოსთვის საჭირო ფართს უფასოდ გადასცემენ კონსერვატორები და რესპუბლიკელები. ყოველ ასეთ მცირე საწარმოში, საშუალოდ, 50 ადამიანი დასაქმდება. ფართის უსასყიდლოდ დათმობა და სხვა შეღავათები ბევრ მეწარმეს დააინტერესებს, რაც ექსპორტის შემცირებას, ხალხის დასაქმებას და ეკონომიკის განვითარებას გამოიწვევს.

პროგრამის პრეზენტაცია დავითაშვილმა ნაცნობი ფრაზით დაასრულა — იმ ფულს, რასაც ხელისუფლება ხარჯავს, ჩვენ საწარმოების ამოქმედებას მოვახმართო.

— კი, მაგრამ, ის ყინულის მოედანიც ხომ საჭიროაო, — ხელისუფლება დაიცვა შეკრებილთაგან ერთ-ერთმა. — თქვენ ისრიალეთ, ბატონო, — დიდსულოვნად დაუთმო მოედანი დავითაშვილმა.

ოპოზიციისადმი განსაკუთრებული ნდობა არც სხვებს გამოუჩენიათ.

— დანაპირები არასდროს არავის შეუსრულებია, ეს მთავრობა კი რაღაცას მაინც აკეთებსო. ხიდაშელის კონტრარგუმენტი ასეთი იყო: — მე ხელისუფლებაში არასდროს ვყოფილვარ, ამდენად, ჩემზე ვერ იტყვით, დანაპირები არ შეგვისრულაო.

მართალია, ოპოზიციონერებმა ელიავას ბაზრობაზე მომუშავეების დარწმუნება სცადეს თავიანთი პროგრამის რეალურობაში, მაგრამ არცთუ წარმატებულად. ხალხს ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი რომ ურჩევნია, კიდევ ერთხელ გამოჩნდა ნათლად — საქონლის შემოტანა და განბაჟება თუ არ მოგვიწევს, ძალიან გაგვიხარდება, მაგრამ ჯერჯერობით თქვენს მიერ გაკეთებული საქმეები არ გვინახავს და როგორ გენდოთ, აი, გიგი უგულავა კი რაღაც-რაღაცებს გვიკეთებსო...

სხვათა შორის იქვე, ახლოს მომლიმარი უგულავას ბილბორდი იყო გადაჭიმული წარწერით „მერი, რომელიც ზრუნავს ჩვენზე"!...

პური და სანახაობა.

არაფერი ახალი.

**რუსუდან გახარია**

◎ ინფორმაცია

## აზერბაიჯანული ავტოგასამართი სადგურები — საქართველოში

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობმომპოვებელი კომპანია საქართველოში ავტოგასამართი კომპლექსების ქსელის შექმნას გეგმავს.

„კომპანიის დახმარებით ჩვენ ვგეგმავთ ჩავდოთ ინვესტიციები საქართველოში," — განაცხადა კომპანიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

„შემდგომში იგეგმება მშენებლობები და ავტოგასამართი სადგურების კეთილმოწყობა, რომელზეც გაიყიდება ნავთობპროდუქტები, რომელსაც ჩვენი ბრენდი გთავაზობთ, — აცხადებენ კომპანიაში.

## ბათიაშვილი პატიმრობაში რჩება

თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ 29 ოქტომბრამდე გაუგრძელა ორთვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა ოპოზიციური გაერთიანება „წინ საქართველოს" ერთ-ერთ ლიდერს ირაკლი ბათიაშვილს, რომელიც სამართალდამცავებმა 29 ივლისს დააკავეს.

ბათიაშვილის მხარდამჭერებმა გააპროტესტეს სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილება და მას „პოლიტიკურად მოტივირებული" უწოდეს.

ჯი-ეიჩ-ენი



◎ მსგეფსი

# და ჩარაზული ჭიშკარი

რამდენ ამ სკოლის აღზრდილსა და აღსაზრდელს აედევნება ასეთი განცდა, რამდენი გაბრუნდება უკან ბარბაცით, როცა საყვარელ შენობას მიადგება და იქ სკოლის ნაცვლად დახვდება... კაცმა რომ თქვას, რა დახვდება იქ? რა პროფილს გამოუნახავს ძვირფასი სიდედრი ან უფრო ძვირფასი სიძე ამ შენაძენს?

რა თქმა უნდა, თვითონ კი ეცოდინებათ, მაგრამ საზოგადოებას ანერვიულებენ საიდუმლოს გაცხადების მოლოდინში.

აი ასეთი ქვეყანა ვართ: ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრს გელა ბეჟუაშვილს შეუძლია სიდედრს მილიონი აჩუქოს და დაავიწყდეს, რომ გაეროს ვალი 4 მილიონი დოლარი გვაქვს გადასახდელი. ან, უფრო ზუსტად, ვერ გათვალოს, რომ ამ ვალის „რესტრუქტურიზების" მიუხედავად, შეიძლება შემოგვედაონ და ხმის უფლება ჩამოგვართვან, უკვე მეორედ, როგორც ამბობენ, ამჯერად მეზობელი რუსეთის ინიციატივით, თურმე იმ მოსალოდნელი კრიტიკის გამო, რომლითაც გაეროს ასამბლეაზე მის მიმართ გუშინ გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი. ალბათ, ავანსად იმის გამოც, რომ ნატომ საქართველოსთან ინტენსიური დიალოგი დაიწყო, რაც, პრეზიდენტ სააკაშვილის განმარტებით, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ჩვენი გაწევრიანების წინაპირობად შეიძლება ჩავთვალოთ.

ყველაფერი უნდა გათვალო და გაითვალისწინო, ტალეირანობის დრო არ წასულა. დღეს ჩვენმა ახოვანმა პრეზიდენტმა შეიძლება მეორე ქვეყნის ჩია პრეზიდენტს ლილიპუტინიო, აკადროს, ან, ვთქვათ, ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ამერიკის პრეზიდენტს სატანა, ლოთი და ავადმყოფი (გიჟიძ უწოდოს, მაგრამ საგარეო საქმეთა უწყებებმა ამ ეპითეტების მოსალოდნელი შედეგები უნდა „არეგულირონ". ჩვენი, მაგალითად, სულ იმის ანგარიშში უნდა იყოს, რუსეთმა დღეს საქართველოს გაეროში ხმის უფლება რომ ჩამოართმევინა ვალის გადაუხდელობის მოტივებით, ხვალ რა ნაბიჯს გადადგამს — გაზს ორმაგად გაგვიძვირებს სიცივის პირველი შემოტევის უმალ თუ, დამატებით, როკის გვირაბიდან დაგვარტყამს, ან ჯავახეთს აგვიმხედრებს...

ეს არის საქმე, თორემ სიდედრისთვის ჩვენში ვის რა ენანება. ისიც კი არ გამიკვირდება, თბილისის კლასიკური გიმნაზია, ან სულაც, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი რომ შეუძინონ მოყვარულმა სიძეებმა საყვარელ სიდედრებს.

ნახევარი თბილისი, წყნეთი და ქუთაისი სიდედრების სახელზე არ არის აშენებული? ანუ, ოფიციალური ენით თუ ვიტყვით, მაგალითად, „კანონიერი ქურდების" ქონება „მათი ოჯახის წევრებზე და მათთან დაახლოებულ პირებზეა" გაფორმებული (ოჯახის წევრებსა და მათთან დაახლოებულ პირებში კი სიდედრებს, მოგეხსენებათ, საპატიო ადგილი, გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთძ.

აი, შინაგან საქმეთა სამინისტრო 36 „კანონიერი ქურდის" ფეშენებელური სახლების კანონიერებას სწავლობს მათი ექსპროპრიაციის მიზნით. წყნეთში ცნობილი შაქრო კალაშოვის სასახლე უკვე დალუქეს. არადა, მართლა სასახლე ყოფილა: 18 საძინებელი ოთახი, ორსართულიანი პირადი კაბინეტი(?ძ, 6 სასადილო ოთახი, 10 ავტომანქანაზე გათვლილი მიწისქვეშა ავტოფარეხი, სახურავზე ინდივიდუალური შვეულმფრენდრომი, ფანტასტიკური ინტერიერი და ექსტერიერი.

ისე რომ, გამორიცხული არ არის, პარლამენტის წინ მალე განკულაკებული სიდედრების საპროტესტო აქციაც ვიხილოთ.

### ბაზარი ჩვენი მღელვარებისა

**ბაზარი დღეს, უბრალოდ, აღებ-მიცემობის ადგილი არ არის, მრავალი მოქალაქისთვის არსებობის ასპარეზია, გუშინდელი პედაგოგები, ინჟინრები თუ მუშა-მოსამსახურენი იქ შოულობენ ლუკმაპურს — ყიდულობენ, ყიდიან. გამოუვალმა მდგომარეობამ აქცია ისინი სოლომონ ისაკიჩებად და მაგდანებად.**

ზუგდიდის ცენტრალური ბაზარი, თავისი პირდაპირი დანიშნულების პარალელურად, მოვაჭრეებსა და გამგეობას შორის ხელჩართული ბრძოლის არენაც არის.

ჯერ კიდევ გიგი უგულავას გუბერნატორობის დროს ამ ბაზრის ცენტ-



რალური შესასვლელი ჩაკეტეს. უბრალოდ, ჭიშკარზე ბოქლომი კი არ დაადეს, რკინა-ბეტონის ბლოკებით ამოქოლეს.

გონივრული ახსნა ამ ნაბიჯისა არც მაშინდელ გუბერნატორს და არც გამგებელს არ წარმოუდგენიათ. შედეგი კი იწვნიეს.

მას შემდეგ ზუგდიდში „მონასტერი აირია." გუბერნატორიც ბარე ორი შეიცვალა, გამგებელიც, მაგრამ ორთაჭალის ციხესავით ჩარაზულ-ჩაცხრაკლიტურებული ჭიშკარი არა და არ გაიღო.

უკმაყოფილოა ქალაქი, რადგან კაცმა ბაზარში შესასვლელად, გარშემო უნდა შემოუაროს და მეორე, ვიწრო უკანა კარიდან შეაღწიოს. ამიტომ უმრავლესობა ცდილობს ამას თავი აარიდოს და იქვე, ამოქოლილი ჭიშკრის წინ, მტვერსა და სიბინძურეში სტიქიურად აღმოცენებულ „ბაზრობაზე", იყიდოს საყიდელი და სასწრაფოდ გაეცალოს იქაურობას.

უკმაყოფილოა მოვაჭრე, რომელსაც ბაზარში ნაყიდი თუ დაქირავებული აქვს ადგილი, მაგრამ შიგნით მუშტრის სიმცირის გამო შემოსავალი შემოაკლდა.

უკმაყოფილოა გარემოვაჭრეც, რომელსაც სამართალდამცველი სდევნის და მიერეკება.

დასასრულ, უკმაყოფილონი არიან ქალაქის მესვეურნიც, მოვაჭრეთა ხშირი მიხტომის გამო.

და არის ერთი ორომტრიალი.

მოვაჭრეებმა იჩივლეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, მოიგეს კიდეც: სასამართლომ უკანონოდ ჩათვალა ჭიშკრის ჩაკეტვა და მისი გაღება დაადგინა.

მაგრამ გამგეობამ ცოცხალი თავით არ დათმო. ის კი არა, ახლა ინდულგენციაც მიიღო. განცხადება შეიტანა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და ცენტრალური კარის გაღების გადავადება ითხოვა. ამ დღეებში სასამართლომ ეს თხოვნა დააკმაყოფილა სამი თვის ვადით.

ალბათ იმედოვნებენ, ამ სამ თვეში ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონიო.

როგორც ჩანს, ქალაქის ხელისუფალთ რაღაცის იმედი აქვთ, რაკი ასეთ გაქირს სწევენ.

აი, ზუგდიდელებს რომ ჰკითხოთ, ყველაფრის თავი და თავი ის არის, რომ ბაზრის ცენტრალური შესასვლელის პირდაპირ დიდი, თანამედროვე სუპერმარკეტი შენდება, რომელშიც ერთობ გავლენიანი, ანგარიშგასაწევი ადამიანების ფული და ინტერესები დევსო...

თუ მართლა ასეა, ერთმანეთის პირისპირ ორი სავაჭრო ცენტრის კარები, ალბათ, მართლაც არ გაიღება, ამ მოვაჭრეებმა ბევრიც რომ იკივლონ და იჩხივლონ.

ბაზრის ადმინისტრაცია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სამთვიანი „მორატორიუმის" შესახებ არ ასაჩივრებს — დავიცდითო.

ჰოოო, მერე იქნება, რაც იქნება!..

**ალეკო ასლანიშვილი**

◎ სატრანზიტო მაგისტრალი

# „ახალი კუვეიტის" „შავი ოქრო" საქართველოში გაივლის

## ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელებმა ყაზახეთის ნავთობის ეროვნულ კომპანიასთან სტრატეგიული კავშირი გააფორმეს

*— საქართველოს სატრანზიტო დერეფანი ბაქო-ბათუმი, რომელიც აგერ უკვე მეშვიდე წელია მოქმედებს, საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან მიღებული ნედლი ნავთობისა და გადამუშავებული პროდუქტების მოცულობა ბათუმის ნავთობის ტერმინალში ამჟამად თითქმის ოთხჯერ გაიზარდა, წლეულს კი ჩვენ რეკორდულ ზღვარს მივაღწევთ — ბათუმში 12 მილიონი ტონა ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები დაიტვირთება, — განაცხადა გუშინ „ჯი-ემ-თი პლაზას" ოფისში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ბათუმის ნავთობის ტერმინალისა და „პეტროტრანსის" თავმჯდომარემ იან ბონდე ნილსენმა. მასთან ერთად პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ ყაზახეთის რესპუბლიკის ეროვნული ნავთობის კომპანიის „კაზმუნაიგაზის" პრეზიდენტი უზაკბაი კარაბალინი და ყაზახეთის ეროვნული სატრანსპორტო კომპანიის გენერალური დირექტორი ბერიკ ტოლუმბაევი.*

ბატონმა ნილსენმა აღნიშნა, რომ ამჟამად ბაქო-ბათუმის სატრანზიტო დერეფანი ზეწოლას განიცდის. საქმე ისაა, რომ ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენი სადღეისოდ რეალობად იქცა და, ამდენად, ბაქო-ბათუმის დერეფანი დროთა განმავლობაში სულ უფრო ნაკლებ ნედლ ნავთობს მიიღებს აზერბაიჯანიდან. მისი თქმით, პროდუქციის უწყვეტი და მზარდი მოცულობის მიღების უზრუნველსაყოფად, „ბათუმის ტერმინალის" ხელმძღვანელობის ამბიციებს წარმოადგენდა ისეთი პარტნიორის მოძებნა, რომელსაც სათანადო რესურსები ექნებოდა. ყაზახეთი, აზერბაიჯანი და თურქმენეთი კასპიისპირეთის ძირითად ნავთობის მომპოვებელ ქვეყნებს წარმოადგენენ, მაგრამ მათგან მხოლოდ ყაზახეთს გააჩნია სათანადო ნავთობის ოდენობა, რათა სათანადოდ მომარაგოს როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი, ასევე ბათუმის ტერმინალი.

— ჩვენ საკმაოდ იღბლიანი აღმოვჩნდით, რადგან შევქმენით სტრატეგიული ალიანსი „კაზტრანსოილთან", — განაცხადა ბატონმა ნილსენმა.

— ამდენად, ჩემთვის დიდი პატივია ჩვენს თბილისის ოფისში წარმოგიდგინოთ ჩვენი ახალი პარტნიორები: „კაზმუნაიგაზის" პრეზიდენტი უზაკბაი კარაბალინი და ყაზახეთის ეროვნული ნავთობსადენის ოპერატორი, „კაზტრანსოილის" გენერალური დირექტორი ბერიკ ტოლუმბაევი.

ახალი პარტნიორული ურთიერთობები ჩამოყალიბდება ახალი კომპანიის „ბათუმი ტერმინალის" სახით. დღეს ჩვენ პატივი გვქონდა შევხვედროდით საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს და მისთვის განგვემარტა ახალი კომპანიის შექმნის მიზეზები. მოხარულნი ვართ განვაცხადოთ, რომ საქართველოს მთავრობის მხრიდან სრული მხარდაჭერა მივიღეთ.

ბატონმა ნილსენმა ასევე ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ახალ სტრატეგიულ ალანსს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბათუმისთვის, რადგან იგი უზრუნველყოფს ნავთობის სტაბილურ მოწოდებას სატრანზიტო დერეფნით, რაც მთელ მარშრუტზე დაახლოებით 20 ათას მუშახელს დაასაქმებს. გარდა ამისა, ბათუმის ნავთობის ტერმინალი უზრუნველყოფს საქართველოს რკინიგზის შემოსავლის 60 პროცენტზე მეტს.

ეს პარტნიორული ურთიერთობები ასევე მნიშვნელოვანია „კაზტრანსოილისთვისაც", ვინაიდან ყაზახეთს საშუალება ეძლევა, საქმიანი მონაწილეობა მიიღოს სატარანსპორტო გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც ყაზახეთის ნავთობკომპანიებისთვის შავ ზღვაზე პირდაპირ გასვლას უზრუნველყოფს.

— ალიანსი მნიშვნელოვანია საქართველოსთვის იმიტომაც, რომ ქვეყანა მიიღებს ძლიერ მხარდაჭერას მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ტემპით განვითარებადი ყაზახეთის ეკონომიკისგან. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა პარტნიორული ურთიერთობები სწორედ ისე იწყება, როგორც სასურველია — გამარჯვებით ორივე პარტნიორისთვის და ორივე ქვეყნისთვის სასიკეთოდ, — დასძინა ბატონმა ნილსენმა.

ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს ბატონებმა უზაკბაი კარაბალინმა და ბერიკ ტოლუმბაევმა.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ ინფორმაცია თემაში

*მომდევნო ათ წელიწადში თურქმენეთის მთლიანი ნავთობწარმოება ყოველწლიურად 16 მილიონ ტონას არ გადააჭარბებს. ამასთან, აზერბაიჯანის ნავთობწარმოება ამავე პერიოდში ყოველწლიურად 50 მილიონ ტონას გაუტოლდება, რომლის უმეტესი ნაწილი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენში გაივლის. გაცილებით უფრო მაღალი მაჩვენებელი მოსალოდნელია ყაზახეთში, სადაც იგი ყოველწლიურად 170 მილიონ ტონას მიაღწევს, რაც, ფაქტობრივად, ბათუმის ტერმინალისთვის წელიწადში 100 მილიონი ტონით მეტი ნავთობის გადატვირთვას ნიშნავს. განვითარების ასეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლით ყაზახეთი, ალბათ, „ახალი კუვეიტი" გახდება.*



◎ ინფორმაცია

### ერთიანი პოლიტიკის სასიკეთო შედეგი

**საქართველო ნატო-სთან ინტენსიური დიალოგის ფაზაზე ვადაზე ადრე გადავიდა და ამით დაამტკიცა, რომ მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა ერთმნიშვნელოვნად წარმატებულია. ამის შესახებ პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განაცხადა.**

**უმრავლესობის დეპუტატი მიიჩნევს, რომ ინტენსიურ დიალოგზე გადასვლით დაიწყო ნატო-ში ინტეგრაციის შეუქცევადი პროცესი და საქართველომ დაამტკიცა, რომ წინა საფეხური, ანუ IPAP-ის ფორმატი, წარმატებით შეასრულა. მეორეს მხრივ, საქართველომ დამტკიცა, რომ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი წარმატებულია და დასავლეთმა ეს წარმატებული პოლიტიკა აღიარა.**

**„სწორედ ამიტომ, ვადაზე ორი თვით ადრე, ანუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე მივიღეთ ინტენსიური დიალოგის ფორმატი", — განაცხადა დეპუტატმა. მისივე თქმით, საქართველოს აღარ ექნება ნატო-სთან ურთიერთობაში ვაკუუმი, რაც რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხეების აცილების ერთ-ერთი სერიოზული შანსია.**

**„მეეჭვება, რუსეთმა რაციონალური პოლიტიკა აირჩიოს საქართველოსთან ურთიერთობაში. რომ არა რუსეთი და რუსეთის აგრესიული პოლიტიკა, განსხვავებულ პროგნოზს გავაკეთებდი. დღეს კი ვთვლი, რომ საქართველოს ინტენსიური დიალოგის ფორმატზე გადასვლის მიუხედავად, რუსეთი საკუთარ აგრესიულ დამოკიდებულებას არ შეარბილებს", — აცხადებს პარლამენტარი და დასძენს, „ინტენსიური დიალოგი არის იმის წინაპირობა, რომ ისეთი აგრესიული ქვეყანა, როგორიც რუსეთია, ხელს ვერ შეუშლის საქართველოს ნატო-სთან ინტეგრაციის პროცესს", — თქვა დავით ბაქრაძემ.**

### „ზამთრის გათბობის" პროგრამა

**თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინ თბილისელ პედაგოგთა დახმარების პროგრამის მიმდინარეობის პროცესი პირადად გააკონტროლა.**

**პროგრამა, რომელსაც თბილისის მერიამ პირობითად „ზამთრის გათბობის" პროგრამა უწოდა, თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საბავშვო ბაღების და მუსიკალური სკოლების მასწავლებლებისთვის და ტექნიკური პერსონალისთვის, ასევე თბილისის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებისთვის და ტექნიკური პერსონალისთვის საჩუქრად 100-ლარიანი დანარიცხის გადაცემას ითვალისწინებს.**

**ორი კვირის წინათ „ექსპო-ჯორჯიას" მე-11 პავილიონში „საქართველოს ბანკმა" გახსნა სპეციალური რესურს-ცენტრი, სადაც პედაგოგებს და სკოლების მომსახურე ტექნიკურ პერსონალს შეუძლიათ ანგარიშის გახსნა, რის შემდეგაც საჩუქრად მიიღებენ „საქართველოს ბანკის" პლასტიკურ ბარათს. ბარათზე თბილისის მერია ერთჯერადად, 100 ლარის ოდენობის თანხას გადარიცხავს.**

### არსენალი ტბის ფსკერზე

**ხულოში, ზღვის დონიდან 2200 მეტრის სიმაღლეზე მდებარე მწვანე ტბაში ექსპედიციის წევრებმა შემთხვევით იარაღის არსენალი იპოვეს. მყვინთავების ექსპედიცია მწვანე ტბაზე ფლორისა და ფაუნის შესასწავლად გაემგზავრა, თუმცა ტბის ფსკერზე ცოცხალი თევზების ნაცვლად საბრძოლო იარაღი აღმოაჩინეს. ერთ-ერთი ვერსიით, ასლან აბაშიძის ხელისუფლების დროს ე. წ. შავრაზმელებმა, რომელთაც გოდერძის უღელტეხილი ჰქონდათ გამაგრებული, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ იარაღი ტბაში გადაყარეს.**

**მყვინთავების განცხადებით, ჟუჟბარმტყორცნები საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია. აღმოჩენილი არსენალი ჯერჯერობით ისევ ტბის ფსკერზე რჩება. მათი თქმით, შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები არსენალით ჯერჯერობით არ დაინტერესებულან და შესაბამისად, არც კომენტარი გაუკეთებიათ.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ ინფორმაცია

## სამუშაო შეხვედრები დამთავრდა

არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალი თაობა – ახალი ინიციატივა“ ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან, პოლიტიკურ პარტიებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეხვედრები დაასრულა. ორგანიზაციაში განაცხადეს, რომ შეხვედრები სამუშაო ხასიათის იყო და ის პროექტები განიხილებოდა, რომელიც ორგანიზაციამ არჩევნებთან დაკავშირებით მოამზადა.

„ახალი თაობა – ახალი ინიციატივის“ წარმომადგენლების განმარტებით, პროექტების პრეზენტირების მიზნით შეხვედრები განხორციელდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კავკასიის რეგიონალურ მისიასთან, აშშ-ს რესპუბლიკური ინსტიტუტის საქართველოს მისიასთან, ეუთოს საქართველოს მისიასთან, აშშ-ს საელჩოსთან საქართველოში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამავე დროს, „ახალი თაობა – ახალი ინიციატივის“ წევრები ადგილობრივ არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიასა და ბლოკს შეხვდნენ.

## დასაქმების პროგრამა მოქმედებაში

დასაქმების საპრეზიდენტო პროგრამაში 61290 მსურველისგან 42 ათასი უკვე დასაქმებულია. ამის შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა გუშინ, სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მინისტრის განცხადებით, დასაქმების სააგენტოს სულ 50 ათასი ადამიანის დასაქმება შეუძლია. დარჩენილია 10-12 ათასი ვაკანსია, რომელიც მხოლოდ სამშენებლო პროფესიაზე დასაქმებას გულისხმობს.

მინისტრის განცხადებით, დასაქმების პროგრამა რამდენიმე კვირის განმავლობაში დამთავრდება. ამით უკვე დასრულდება დასაქმების საპრეზიდენტო პროგრამის პირველი ეტაპი, მეორე ეტაპისთვის კი განხორციელდება მონიტორინგი სამუშაო ადგილებზე.

ჭიპაშვილმა განაცხადა, რომ დღეისათვის ყველაზე დიდი მოთხოვნილება ოფის-მენეჯერის თანამდებობაზე იყო. მინისტრის თქმით, ქალების რიცხვმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა დასაქმების მსურველი მამაკაცების რიცხვს.

ინტერპრესნიუსი

◉ განსჯა

# ანკანაკება

## „ზედიზედ ნადიმი და სიმთვრალე, ზეიმობა, ამპარტავნება“

*ასე განმარტავს ამ სიტყვას, დღეს რომ უკვე არვინ ვხმარობთ, ბრძენი საბა. ანუ დაუსრულებელი ლხინი, ქეიფი, რაც აგერ სამი წელიწადია გრძელდება ნაციონალების ხელისუფლების შესრულებით, უკიდურესი სიდუხჭირის ფონზე. და ის, რაც დღეს, წინასაარჩევნოდ ხდება, სხვა არაფერია, თუ არა ზრუნვა ანკანაკების როგორმე გახანგრძლივებისთვის, ანუ ბრძოლა ხელისუფლების შენარჩუნებისთვის. რა არის ამაში საკვირველი, არა? არც არაფერი – ყველა ხელისუფლება ზრუნავს ხელისუფლებაში დარჩენისათვის და პირიქით – ყველა ოპოზიცია იბრძვის ხელისუფლებაში მოსვლისთვის, მაგრამ ამ უკანასკნელზე ქვემოთ. ახლა კი...*



### საცნაური უცნაურობები

**ყველა და ყველაფერი არჩევნებისთვის, უფრო სწორედ, არჩევნებში ნებისმიერი ხერხით გამარჯვებისთვის. „ნაციონალპიარკომპანი“ – აი, მოკლე განსაზღვრება ჩვენი ხელისუფლების არსისა. პიარი, პიარი, პიარი. პოლიტიკურ პიარს ყველა, თვით წარმატებული ხელისუფლებებიც ეწევიან, მაგრამ ასე პერმანენტულად? შეიძლება ითქვას, ეს ხელისუფლება დღიდან მოსვლისა, მუდმივ წინასაარჩევნო რეჟიმში იმყოფება. სახელმწიფოს მართვა პიარით ხორციელდება, ანუ ზღვარგადასული თვითრეკლამით. თუმცა ნებისმიერი საქონლის ზომაზე მეტი რეკლამა რომ ანტირეკლამად იქცევა, საბაზრო ეკონომიკის ანა-ბანაა.**

უწყინარი შადრევნებით, საბავშვო ატრაქციონებით დაწყებული, მაწყინარი სამშობლოს მოღალატეთა გამოვლინებით დამთავრებული, ჩვენში ყველაფერი პიარის იაფი მასალაა. ამ ფონზე თუ რამე გამიკვირდებოდა ამათგან, არ მეგონა, მაგრამ თურმე სადა ხარ...

ამას წინათ, გვიან საღამოს თავისუფლების მოედანზე მოვხვდი, სადაც ისეთი გამაყრუებელი ბახაბუხი დამხვდა, გავოგნდი. მეხსიერება დავძაბე, რაიმე დღესასწაული ხომ არ არის, რომელიც არ მახსოვს-მეთქი. ან კიდევ უკეთესი – დროზე ადრე ხომ არ შეასრულა ირაკლი ოქრუაშვილმა ცხინვალში შესვლის დანაპირები? მოკლედ, ათასი ამგვარი კითხვის გასაფანტად, ყოვლისმცოდნე ტაქსის მძღოლებთან მივედი – „იუზგარ,“ მითხარი ერთი, რა „პრაზდნიკია“ და ეს შედლუხი...

– რაო! – შემომიღრინა შოფერმა, და მივხვდი ჩემს შეცდომას

– შედლუხი კი არა, „სალუტი“ რისთვის არის-მეთქი. – ხოო! – დაწყნარდა ავლაბრელი რაფიკა (როგორც მერე გაირკვა) – არაფერი ძმაოჯან! ყურძენი დაწურეს, რა (!)

იმით იმედგაცრუებულმა, რომ თურმე „ყარსის ციხე“ ვერ აუღია ოქრუაშვილს, გზა განვაგრძე და ისევ ფიქრებმა წამიღო: 5000 წელია, თუ მეტი არა, რაც საქართველოში ყურძენს ვწურავთ, მაგრამ ამისთანა ბახაბუხი ჩვენს წინაპრებს აზრად არ მოსვლიათ. თანაც ყურძენიც არის და ყურძენიც. სააკაშვილმა კახელებს უთხრა, ნუ გეშინიათ, რუსეთის დედაც ვატირე, აგერ არა ვარ მეო. ჰოდა, რთველზე ყველა ბიზნესმენმა სოცვალდებულება აიღო და თითომ 10 ტონა ყურძნის შესყიდვა იკისრა. აი, ეს ყურძენი დაწურა უგულავამ თბილისში და წინასაარჩევნოდ გააპიარა ღამის შედლუხის თანხლებით.

კიდევ ერთი საცნაურ-უცნაური ამბავი მოხდა ამ ცოტა ხნის წინათ. სამი წელიწადია, პედაგოგები არავის გახსენებია. არადა, ადრე, რევოლუციამდე, ორგზის დაურიგეს მასწავლებლებს 50-ლარიანი გაზის ვაუჩერები. ჰოდა, ახლა 100-ლარიანი შეღავათებით დაეხმარნენ მასწავლებლებს – მომავალ არჩევნებამდე იმყოფინეთო... ან ყბადაღებული დასაქმების საპრეზიდენტო პროგრამა რად ღირს, რომელიც ორი მიმართულებით მიმდინარეობს:

1ძ ე. წ. გადამზადება-კვალიფიკაციის ამაღლების სამთვიანი კურსები, რომლის დროსაც სახელმწიფო ყველა მსურველს თვეში 150 ლარს უხდის. მსურველი კი იმდენი აღმოჩნდა, ლამის ერთმანეთი გადათელეს დიდუბის ე.წ. გამოფენის ტერიტორიაზე. თუმცა იციან, ვერანაირ ვაკანტურ ადგილს ვერ მიიღებენ, ვერც სამი თვის და ვერც სამი წლის შემდეგ, მაგრამ რა ქნან – სამ თვეში მუქთა 450 ლარი გაჭირვებული კაცისთვის დიდი შეღავათია. თანაც, „ყვავს კაკალი გააგდებინე“, ხომ ნაღდია;

მე-2 ვარიანტი მეტად ორიგინალურად შემოგვთავაზა ჩვენმა პრეზიდენტმა. ერთ-ერთი მცირე საწარმოს გახსნაზე მისულმა – ტყუილად აღარსად აღარ დავდივარო და, ერთი ავტობუსი უმუშევრები მიაყენა საწარმოს მეპატრონეებს – სამი თვე ამუშავეთო. როგორც ამბობენ, ისე „გაიხარეს“ პრეზიდენტის საჩუქრით, მაგრამ წასული დაიგულეს თუ არა, სააკაშვილის მიყვანილ „ვეფხია ხალიბაურებს“ უთხრეს: ღუმელთან ვერ მიგიშვებთ, ემანდ რამე მარცხი არ მოგივიდეთ და ისე სულ ნუ მოხვალთ, მარტო ხელფასზე შემოიარეთ, მაგრამ სამი თვის მერე თვალით არ დაგვენახოთო.

ეს ახალგაზრდებიც, დიდუბის ჭყლეტაში მოხვედრილთა მსგავსად, ყვავისა და კაკლის, ვირისა და პატრონის იგავით იმშვიდებენ თავს. ორივე შემთხვევას კი, მაპატიეთ და, ხალხის მოღორება ჰქვია.

კიდევ ბევრი საცნაურ-უცნაური მაგალითის მოყვანა შეიძლება იქიდან, რაც წინასაარჩევნოდ ჩვენს თვალწინ ხდება. თუნდაც ის რად ღირს, გიგი უგულავას, საბავშვო ბაღის ბავშვივით, ხელჩაკიდებული დაატარებს ჩვენი პრეზიდენტი შადრევან-ატრაქციონების თუ სათამაშო მოედნების გასახსნელად – ეს არის თქვენი მომავალი მერიო. როგორ ჰგავს ეს ყველაფერი ახლო წარსულს, როცა შევარდნაძეს დაჰყავდა დღევანდელი პრეზიდენტი. არ არის საცნაური?

მართლაც შესაშური ენერგიის პატრონია სააკაშვილი. ჯერ იყო და, თავის მშობლიურ სკოლას მიაკითხა მთელი ჯალაბით, რა თქმა უნდა, გიგი უგულავაც იახლა და ახალი სასწავლო წელი გახსნა საირმის გორაზე. იმავე დღის მეორე ნახევარში უკვე ზუგდიდში იყო, ხოლო გვიან საღამოს პრეზიდენტის თვითმფრინავმა, მთავარი პიარის გასაკეთებლად, ნიუ-იორკისკენ აიღო გეზი.

### ათა ამბავი ოხი გასაოცებისა

**სწორედაც რომ, პიარია, რაც ამჯერად დევნილებისთვის არის განკუთვნილი. იმ დევნილებისა, რომლებიც ოდენ არჩევნების წინ ახსენდება ხელისუფლებას. სხვა დროსაც ახსოვს, მაგრამ ასეთ „ხსოვნას“,**

◉ გვეხმაურებიან

# რატომ ჩაქრა ჭეშმარიტი ქველმოქმედისა და მამულიშვილის ბიძინა ივანიშვილის მიერ ანთებული იმედის შუქი?

**ამ სათაურით გამოქვეყნებულ მასალასთან დაკავშირებით გვეხმაურება „ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახური, რომლის წერილსაც უცვლელად გთავაზობთ**

*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 19 სექტემბერს დაიბეჭდა სტატია სათაურით „რატომ ჩაქრა ჭეშმარიტი ქველმოქმედისა და მამულიშვილის ბიძინა ივანიშვილის მიერ ანთებული იმედის შუქი?“ ეს საგაზეთო პუბლიკაცია შეეხება სატელევიზიო პროგრამა „ენერგიის“ აღდგენას ქართულ ტელესივრცეში და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომლებიც გარკვეულწილად საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ სახელსაც დაუკავშირდა. „ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახური, ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, უფლებამოსილია, შექმნილ სიტუაციაში დაინტერესებული მკითხველის უკეთ გასარკვევად, განმარტოს საქმის ნამდვილი ვითარება:*

„საქართველოს რესპუბლიკის“ 4 ივლისის ნომერში დაიბეჭდა გაზეთის ერთგული მკითხველის წერილი, რედაქციის კომენტარი და ბიძინა ივანიშვილისადმი მიმართვა და თხოვნა, რომელიც მერაბ ბერაძის საავტორო გადაცემა „ენერგიის“ რომელიმე ქართულ ტელეარხზე აღდგენას შეეხებოდა.

ამ თემას გაზეთი კვლავ დაუბრუნდა 19 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი სტატიით, რომლის ავტორი, ჟურნალისტი სპარტაკ ძოწულია ცდილობს, საქმის ვითარება ისე წარმოაჩინოს, თითქოს ბიძინა ივანიშვილმა 4 ივლისის საგაზეთო პუბლიკაციის გაცნობისთანავე განაცხადა თანხმობა მერაბ ბერაძის გადაცემის დაფინანსების შესახებ, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ბატონმა ბიძინამ საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაავალა, დაინტერესებულიყო ამ საკითხით, შეხვედროდნენ გადაცემის ავტორსა და წამყვანს მერაბ ბერაძეს და გაერკვიათ გადაცემის აღდგენასთან დაკავშირებული შესაძლო პირობები. ამ შეხვედრის შემდეგ ბატონმა მერაბ ბერაძემ ფონდ „ქართუს“ წარუდგინა პროექტი გამგეობის სხდომაზე განსახილველად.

წარმოდგენილი პროექტი ფონდმა „ქართუმ“, პროფესიონალთა მოსაზრებების გათვალისწინებით, რეიტინგულ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ს შესთავაზა. ერთი კვირის შემდეგ არხის ხელმძღვანელობამ პროექტზე უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ იგი არ შეესაბამებოდა არხის პროფილს, სამწუხაროდ, მათ სატელევიზიო ბადეში ადგილს ვერ დაიკავებდა და სათანადო დაფინანსების პირობებშიც კი ვერ შეძლებდნენ გადაცემის ეთერში გაშვებას, რადგან მსგავსი პროფილის გადაცემა „რუსთავი-2“-ის მაყურებელს არ დააინტერესებდა. ამ პროექტის განხორციელებაზე სხვა წამყვანმა ტელეარხებმაც უარი განაცხადეს, რის შემდეგაც ბატონმა მერაბ ბერაძემ ფონდს სტუდია „202“ შესთავაზა. ამჯერად უკვე ფონდმა შეიკავა თავი, რადგან, „202“ არხისა და მისი შემოქმედებითი კოლექტივისადმი ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, რეიტინგით ჩამოუვარდება სხვა სამაუწყებლო კომპანიებს, რაც მთავარია, მისი ფორმატი არ შეესაბამება გადაცემა „ენერგიის“ პრობლემატიკას და „202“-ის მაყურებლისთვისაც უინტერესო იქნებოდა იგი.

საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ გამგეობამ, შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე პროექტის დაფინანსებაზე უარი განაცხადა, რაც ეცნობა კიდეც ბატონ მერაბ ბერაძეს. ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა – ფონდი საქველმოქმედო ორგანიზაციაა, შეთავაზებულ განცხადებებსა და პროექტებს განიხილავს და შესაბამისად, ან აფინანსებს, ან – არა. თანაც, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფონდს მერაბ ბერაძისთვის წინასწარ არანაირი გარანტია არ მიუცია, რომ პროექტს ნებისმიერ არხზე უცილობლად დააფინანსებდნენ. ამჯერად თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო ფონდისა და ერთი კონკრეტული პროექტის ავტორის ურთიერთობა, მაგრამ...

უარით განაწყენებული და, როგორც თვითონ აღნიშნავს, შეურაცხყოფილი მერაბ ბერაძე, ჩვენდა სამწუხაროდ (გულწრფელ სინანულს გამოვთქვამთ, რადგან ბატონი მერაბი მართლაც პროფესიონალი და თავისი საქმის ერთგული ადამიანია), და, ჩვენი აზრით, მისთვის შეუფერებლად მოიქცა – მეორე დღესვე დაურეკა ფონდის თავმჯდომარეს და შანტაჟისა და მუქარის ტონით ელაპარაკა: თქვენთან მოლაპარაკებები მაგნიტოფონზე მაქვს ჩაწერილი (?!ძ და ჩემი გაშაყირებისთვის (?!ძ ამ ამბის პრესით გახმაურებას არ მოვერიდები, მით უმეტეს, რომ ჟურნალისტები სანთლით ეძებენ სკანდალურ ინფორმაციებს და თვითონ ბატონ ბიძინასაც არ ესიამოვნება ასეთი უმსგავსოებაო. მან დანაქადნები შეასრულა და „საქართველოს რესპუბლიკის“ 19 სექტემბრის პუბლიკაცია, მყვირალა სათაურით, ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ. ბატონმა მერაბმა სტუდია „202“-ისა და ფონდ „ქართუს“ დაპირისპირებაც სცადა.

რამდენად ეთიკურია შანტაჟითა და მუქარით მიზნის მიღწევის მცდელობა, სატელეფონო საუბრის ფარულად ჩაწერა და შემდეგ ასეთი „წინდახედულობით“ თავის მოწონება? ამ, შეიძლება ითქვას, რიტორიკულ კითხვებზე პასუხი იცის საზოგადოების ჯანსაღმა ნაწილმა და შესანიშნავად იცის წლის ყველაზე პოპულარული ჟურნალისტის ტიტულის მქონე მერაბ ბერაძემაც – მართლაც ღვაწლმოსილმა და ამაგდარმა ადამიანმა, მაგრამ...

მიზნის მისაღწევად შანტაჟისა და მუქარის ტონი რომ ადამიანური ღირსების შემლახავია, რომ ასეთ საქციელს ზნეობრივი შედეგები არ მოაქვს, ესეც საყოველთაო ნორმაა ჯანსაღი, მორალური ნორმებით მცხოვრები საზოგადოებისთვის...

და კიდევ:

ჟურნალისტი პასუხს უნდა აგებდეს თავის წერილზე, ჟურნალისტს წინასწარი განზრახვით შეცდომაში არ უნდა შეჰყავდეს საზოგადოება, ჟურნალისტს ეკრძალება ცალკეული ფაქტების სუბიექტური ინტერპრეტაცია, დაუშვებელია რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოებული ტონით წერა, ჟურნალისტი უნდა ეცადოს, არა ემოციებსა და ინტრიგებზე, არამედ ფაქტებზე დაყრდნობით ააგოს მასალა, აუცილებელია დაპირისპირებული მხარეების პოზიციების თანაბრად წარმოჩენა...

დასანანია, რომ პროფესიული, გნებავთ, ადამიანური ეთიკის ამ ნორმების შეხსენება გვჭირდება იმ ჟურნალისტისთვის, რომელიც უკვე ათეული წლებია (!ძ ქართულ ჟურნალისტიკაში მოღვაწეობს. ურიგო არ იქნებოდა, პუბლიკაციაში „წარმოჩენილი სიმართლის“ წამგებიანობაზე ამ სტატიის დაბეჭდვამდე დაფიქრებულიყო ჟურნალისტი სპარტაკ ძოწულიაც და განსაკუთრებით – იმ გაზეთის სარედაქციო კოლეგიაც, რომელიც მიუკერძოებელი და ობიექტური გაზეთის იმიჯის დამკვიდრებას ცდილობს. მათ რომ მოეწადინებინათ და მეორე მხარისთვისაც მოესმინათ, სიმართლე სხვანაირად წარმოჩნდებოდა, რაც სიკეთის მეტს არაფერს მოუტანდა საერთო საქმეს.

სამწუხაროდ, „საქართველოს რესპუბლიკის“ 19 სექტემბრის წერილი (რასაკვირველია, ის ნაწილი, რომელიც ფონდ „ქართუსთან“ მერაბ ბერაძის ურთიერთობას ეხება) ზედაპირული და ცალმხრივია, მოკლებულია ჯანსაღი სენსაციურობის განცდას. მიგვაჩნია, რომ მსგავსი სუბიექტური პუბლიკაციები საზოგადოებრივ ინტერესს არ ემსახურება.

**„ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახური.**

◎ განსჯა

**იქნებ დავიწყება სჯობდეს. ყველას გვახსოვს ამ გაუბედურებული ხალხის დაწიოკების ფაქტები, როცა უკვე საკუთარმა ხელისუფლებამ და არა აფხაზმა სეპარატისტებმა, დროებითი საცხოვრებლებიდან გამოყარეს ბათუმსა და ქობულეთში.**

უკეთეს შემთხვევაში, სააკაშვილის მოსალოდნელი გამოსვლა „გაეროს“ ასამბლეაზე ორთქლის გამოშვება იქნება. თუნდაც იმიტომ, რომ დღევანდელი მსოფლიოს თავის ტკივილი ირანის ბირთვული ამბიციები და ახლო აღმოსავლეთში ისრაელ-პალესტინის დაპირისპირების ესკალაციაა. ე.წ. გაყინული კონფლიქტები ფორმალურად იყო შეტანილი დღის წესრიგში და მათზე სააკაშვილის ემოციური საუბარი, იგივე ეფექტის მომტანი იქნება პრაქტიკულ ასპექტში, როგორი ფუჭიც აღმოჩნდა ჩვენში მავანთა იმედები პეტერბურგის დიდი რვიანის სამიტის მიმართ.

ამის მიზეზი კი ის არის, რომ აფხაზეთის თუ ცხინვალის პრობლემის მოგვარების ორი გასაღები არსებობს. ერთი ვაშინგტონში დევს, მეორე — მოსკოვში. ცალ-ცალკე ორივე უსარგებლოა. ანუ, ეს პრობლემა იმ ბოქლომს ჰგავს, რომელიც მხოლოდ ორი გასაღებით გაიღება. სხვა ვარიანტზე ფიქრიც კი დანაშაულის ტოლფასია. დანაშაულისა, რადგან ფუჭია იმედი, რომ მარტო ამერიკა გადაგვიწყვეტს პრობლემას. უკვე 13 წელი გავიდა, დრო, არა მგონია, ჩვენზე მუშაობდეს. რაც უფრო გაიწელება დროში აფხაზეთ-სამაჩაბლოს დღევანდელი სტატუსკვო, მით უფრო გაძნელდება პრობლემის ჩვენთვის მისაღებად მოგვარება.

ეს რომ ასეა, მაგალითად კვიპროსის პრობლემაც კმარა. ჩვენში ბევრი შეხვდა ხზოს ალტაცებით, ამ ორიოდე წლის წინათ, საქართველოში ვიზიტად მყოფი, ნატოს ახალი ხელმძღვანელის სხეფერის განცხადებას, რომ საქართველო შესაძლოა აფხაზეთის და ცხინვალის გარეშეც მიიღონ ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში. ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი ნატოსგან. ამ შემთხვევაში თეორიულადაც კი გამორიცხულია ფიქრი ტერიტორიების დაბრუნებაზე, იგივე კვიპროსის მაგალითის გათვალისწინებით.

საბერძნეთიც და თურქეთიც, ორივე „ნატოს“ წევრია და მაინც ვერ მოგვარდა ეს პრობლემა. მით უმეტეს, ვერ მოვარდება ჩვენი სატკივარი. ვინმეს თუ სჯერა, ნატოში შევალთ თუ არა, მეორე დღესვე ამერიკელი კომანდოსების დესანტი გადმოსხდება ცხინვალ-სოხუმში, ეს უკვე მისი პრობლემაა. აქედან გამომდინარე, უნდა მოვეშვათ მხოლოდ აშშ-ზე დამოკიდებულ ფუჭ იმედებს და რამენაირად გამოვნახოთ საერთო ენა რუსეთთან, როგორც მეორე და იქნებ მთავარი გასაღების მფლობელთან. თანაც ამის გადადება აღარ შეიძლება. ვიმეორებ, დრო ჩვენს საწინააღმდეგოდ მუშაობს და შეიძლება ისეთ ზღვარს მივაღწიოთ, რომ ორივე გასაღები უსარგებლო აღმოჩნდეს.

ღმერთმა ქნას, ვცდებოდე და სააკაშვილის გამოსვლამ მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ტრიბუნიდან რეალური შედეგები მოიტანოს ჩვენთვის.

ყველაფერი ახლო მომავალში გამოჩნდება. მანამდე კი...

## რა იქნება 5 ოქტომბრის შემდეგ?

**რა და, თბილისს ეყოლება „არჩეული“ მერი გიგი უგულავა. ოპოზიცია, შიგადაშიგ და ალაგ-ალაგ, ნაციონალების პოლიტიკური სუფრის ნამუსრევიდან ნამცეცებს მიიღებს. ეს ყველაფერი კი გამოიწვევს ამათი „ანკანაკების“ არა მარტო გაგრძელებას დროსა და სივრცეში, არამედ, გარკვეულწილად, ლეგიტიმაციასაც.**

ზემოთ ვთქვი, ოპოზიციაზე ვისაუბრებ-მეთქი. ჰოდა, რაც 5 ოქტომბრის მერე იქნება, ყველაფერზე პასუხისმგებლობის ლომის წილი იმ ოპოზიციას დაეკისრება, რომელიც არჩევნებად წოდებულ პოლიტიკურ ფარსში ღებულობს მონაწილეობას. უკვალოდ გაქრა თავდაპირველი პათოსი ბოიკოტისა. არადა, შექმნილ ვითარებაში სწორედ არჩევნების ბოიკოტირება იყო სწორიც და მომგებიანიც. იმ შემთხვევაში, თუ მეტნაკლებად მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტიები გაემიჯნებოდნენ არჩევნებს, მთელი მსოფლიოს თვალში დიდი კითხვის ნიშანი გაჩნდებოდა ამ ფარსის ლეგიტიმურობის მიმართ. აქედან გამომდინარე, საფუძვლიანი გახდებოდა ოპოზიციის შემდეგი მოთხოვნა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესახებ.

ამ საარჩევნო კანონის პირობებში, ოპოზიციის მონაწილეობას არჩევნებში ერთადერთ შემთხვევაში ჰქონდა აზრი: თუ ისინი მოახერხებდნენ გაერთიანებას ერთი საერთო კანდიდატის ირგვლივ. ამ შემთხვევაშიც კი, მათი შანსები ერთობ მცირე იყო. ისევ დრაკონულ-აბსურდული საარჩევნო კანონიდან გამომდინარე, პლუს ხელისუფლების უსაზღვრო ადმინისტრაციულ-ფინანსური რესურსი. ან ისეთი ძლიერი ფიგურა უნდა დაპირისპირებოდა მათ, როგორიც ბადრი პატარკაციშვილია.

არსებულ ვითარებაში ოპოზიციის ბაქი-ბუქი, ან უგუნურ მოყვარეთა, ან გონიერ მტერთა საქციელია, რაც ორივე შემთხვევაში ქვეყნის მტრობაა. ამ არჩევნებით, წინასწარ ცნობილი შედეგის გარდა, ერთი მუსირებული აზრიც დადასტურდება. ის, რომ ოპოზიცია პრაქტიკულად არ არსებობს საქართველოში. ოპოზიციის მთავარი ამოცანა ყველა ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლაა. ამის სურვილიც კი არ ჩანს ჩვენი ოპოზიციის მხრიდან, ზემოთ ხსენებული ქმედებებიდან გამომდინარე.

რეალური ოპოზიციის ნაცვლად, უკეთეს შემთხვევაში, მისი სუროგატი და, უარესში, ფსევდოოპოზიცია გვყავს. ამიტომ პოლიტიკური სპექტრის უპირველესი ამოცანა ძლიერი ოპოზიციური მოძრაობის დაწყებაა. უფრო სწორად, ეს მოძრაობა საზოგადოებრივ საწყისებზე უნდა დაიწყოს და ვინძლო ახლო მომავალში ჩამოყალიბდეს ახალი ოპოზიციური პარტია თუ გაერთიანება, რომელსაც ახლანდელებივით ვერავინ წამოაძახებს, გუშინ შენ იმასთან იყავი, გუშინწინ კი ამასთანო.



იქნება ეს საქმეც არასამთავრობო სექტორმა ითავოს, რომლის ლიდერიც ირაკლი კაკაბაძის „თანასწორობის ინსტიტუტია“. ირაკლი კაკაბაძე ორიოდე დღის წინათ დაბრუნდა საქართველოში, მიუხედავად მის მიმართ მუქარებისა, რის შესახებაც აეროპორტშივე განაცხადა.

მანამდე კი, უფრო სწორად, 5 ოქტომბრის შემდეგ, ნაციონალების „ანკანაკება“ გაგრძელდება. ვისი ბრალია ეს, უგუნური მოყვრების თუ გონიერი მტრების, მკითხველმა განსაჯოს.

**დავით მხეიძე**

◎ ინფორმაცია

### მადლობა მხარდაჭერისთვის

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი ნიუ-იორკში თავის პოლონელ კოლეგას ანა ფოტიგას შეხვდა. მან პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მადლობა გადაუხადა ნატოსთან საქართველოს ინტენსიურ დიალოგზე გადასვლის პროცესში გაწეული მხარდაჭერისათვის და იმედი გამოთქვა, რომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე ეს მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება.**

**შეხვედრაზე იმსჯელეს საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ. ხაზი გაესვა საქართველოსა და მთლიანად რეგიონის როლს ევროპის ენერგოუსაფრთხოების საკითხში.**

### ახალი საელჩო გაიხსნება

**2008 წელს საქართველო კანადაში საელჩოს გახსნის.**

**ამის თაობაზე საქართველოსა და კანადის საგარეო საქმეთა მინისტრების გელა ბეჟუაშვილისა და პიტერ მაკეის ნიუ-იორკში გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა.**

**მხარეებმა ისაუბრეს ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების თაობაზე. ყურადღება გამახვილდა საქართველოს მიერ ნატოსთან ინტენსიური დიალოგის დაწყებაზე და ამ მხრივ კანადის მიერ გაწეულ მხარდაჭერაზე.**

### სიები ერთხელ და სამუდამოდ უნდა შესწორდეს

**„სამართლიანი არჩევნები“ ამომრჩეველთა ერთიან სიას არასრულყოფილს უწოდებს და მასში სასწრაფო შესწორებების შეტანას მოითხოვს. საუბრისას ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თამარ ჟვანიამ განაცხადა, რომ დარღვევების ამთავითვე აღმოფხვრა არჩევნების ობიექტურად ჩატარების ერთ-ერთი პირველი წინაპირობა იქნება. ამავე დროს, მან ყურადღება გაამახვილა მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე და განაცხადა, რომ სიები ერთხელ და სამუდამოდ უნდა შესწორდეს, რათა, საპარლამენტო არჩევნებისთვის ისინი სრული იყოს და წლების მანძილზე არსებული უზუსტობები კი აღმოფხვრილი.**

### მთავარი პრიორიტეტები

**თავდაცვის მინისტრის მოადგილემ მამუკა კუდავამ გუშინ თავდაცვის სამინისტროში პრესკონფერენცია გამართა. მან, კერძოდ, ისტორიული და პოლიტიკური უწოდა 21 სექტემბერს ნიუ-იორკში, ნატო-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ნატოსთან ინტენსიურ დიალოგზე გადასვლის შესახებ.**

**კუდავას განცხადებით, ნატო დიდ ყურადღებას უთმობს უსაფრთხოების საკითხებს და „აღნიშნული გადაწყვეტილებით სერიოზული ნაბიჯი იქნა გადადგმული რეგიონული უსაფრთხოების თვალსაზრისით“.**

**პრესკონფერენციაზე თავდაცვის მინისტრის მოადგილემ სამინისტროს პრიორიტეტებზეც ისაუბრა.**

**„ჩვენთვის მთავარია სამი პრიორიტეტი, პირველი - ნატოში ინტეგრაცია, მეორე - სტრუქტურული რეფორმები და მესამე — უსაფრთხოების, ბრძოლისუნარიანობის გაზრდა“, — განაცხადა მამუკა კუდავამ.**

**საქართველო ნატოსთან ინტენსიური დიალოგის პროცესში 21 სექტემბერს ჩაერთო. ამ გადაწყვეტილებას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრმა 26-ვე ქვეყანამ დაუჭირა მხარი.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ გვეხმაურებიან

# მოტყუებულ ჟურნალისტს შანტაჟშიც ადანაშაულებენ?!

*შელახული თავმოყვარეობის გამო არ ვამბობთ, მაგრამ ელემენტარულ ნიუანსებს შეგვახსენებენ ჟურნალისტური ეთიკის დაუწერელი თუ დაწერილი ნორმებიდან „ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახურის თანამშრომლები. მიკერძოებაო, სუბიექტივიზმიო, დაპირისპირებულ მხარეთა პოზიციების თანაბრად წარმოჩენის აუცილებლობაო, მეორე მხარისთვისაც რომ მოესმინათ, სიმართლე სხვანაირად წარმოჩნდებოდაო, ამიტომაც მასალა მოკლებულია ჯანსაღი სენსაციურობის განცდასო და ა.შ. და ა.შ.*

*უნდა მოგახსენოთ, ძვირფასო კოლეგებო, რომ ჩვენთვის სენსაციურობა მიუღებელია, თქვენს მიერ მოწონებული „ჯანსაღიც“ და „მახინჯიც“. იმაში კი, ორივე მხარის პოზიციათა წარმოჩენისთვის მონდომება რომ არ დაგვიკლია, ქვემოთაც დარწმუნდებით.*

*და რაც მთავარია, არ ვაპირებთ ვინმესთან კამათში ჩაბმას. ამას კი ვიტყვით:*

*ბატონ ბიძინა ივანიშვილის პიროვნებისადმი ჩვენი გამორჩეული პატივისცემის მიუხედავად, „ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახურისა და საქველმოქმედო ფონდის გამგეობის წარმომადგენლებს გულწრფელად უნდა ვუთხრათ, რომ რედაქციაში გამოგზავნილი წერილი, სამწუხაროდ, გალმა შედავების, ამბიციურობის და ჟურნალისტ მერაბ ბერაძის კიდევ ერთხელ მოტყუების და დაინტერესებული საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობის მშვენიერი მაგალითია.*

*ამას ნამდვილად არ ველოდით!*

*ფონდის ხელმძღვანელი (თუ თავმჯდომარე) ირაკლი ლარიბაშვილი ნამდვილად დაჰპირდა „ენერგიის“ ავტორს დაფინანსებას იმაზე, „202“-ზე ან აჭარის ტელევიზიაზე [...] (პროგრამის ყოველთვიური საშტატო განრიგი), დიდი სარედაქციო [...] გასწია და... მერე თვითონვე [...] „202“ და აჭარის ტელევიზია არაპოპულარული, არარეიტინგული არხებია და „ქართუ ჯგუფს“ მათთან თანამშრომლობა მიზანშეუწონლად მიაჩნიაო!*

*გაოგნებული და შეურაცხყოფილი ჟურნალისტი მსგავს პასუხს არაფრით არ მოელოდა იმ პიროვნების საქველმოქმედო ფონდისგან, რომლის სახელსაც კარგა ხანია ლოცვასავით წარმოსთქვამს თითოეული გონიერი ქართველი.*

*— თქვენ რა, მაშაყირებთ? მე ხომ მაგნიტოფირზეც მაქვს ჩაწერილი, რომ ნამდვილად მპირდებოდით „202“-ზე ან აჭარის ტელევიზიაზე დაფინანსებას, — მისთვის ჩვეული ხუმრობით და „სიმკაცრით“ უპასუხნია მერაბ ბერაძეს.*

*— მაგნიტოფირზე გაქვთ ჩაწერილი, შანტაჟს გვიწყობთ და გვემუქრებით კიდეც? მით უარესი თქვენთვის, ჩვენი გადაწყვეტილება საბოლოოა. კარგად ბრძანდებოდეთო! — იყო პასუხი.*

*ამის შემდეგ, ბუნებრივია, მერაბ ბერაძე მდგომარეობის გამოსასწორებლად იმ რედაქციას ეწვია, რომელმაც მისი პოპულარული პროგრამის „ენერგიის“ აღდგენისთვის სამართლიანი ბრძოლა წამოიწყო.*

*„საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილეები ალეკო ასლანიშვილი და სპარტაკ ქობულია ტელეფონით ბარე ოთხჯერ შეეხმიანენ „ქართუ ჯგუფს“, რომ ფონდის პრეზიდენტს ბატონ ბადრი გულუას (ტელ. 294297ძ ვითარების გასარკვევად დალაპარაკებოდნენ.*

*ოთხჯერ შეგვპირდა ფონდის ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობი [...] ...თუმცა ტელეფონის ნომერი დავიმახსოვრეთ და, როცა ბატონი ბადრი გულუა გამოჩნდება, აუცილებლად დაგიკავშირდებიო!*

*დღემდე ველოდებით ზარს!*

*ამდენად, როცა „ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახური დიდ პატივისცემით მოგვიწოდებს, მეორე მხარისთვისაც რომ მოგვესმინათ, სიმართლე სხვანაირად წარმოჩნდებოდაო, 19 სექტემბრის წერილი მოკლებულია ჯანსაღი სენსაციურობის განცდასო (!ძ, ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია ასეთი „ბრალდება“ და არც სერიოზულ პრესსამსახურს მატებს ღირსებას.*

*სიმართლე მხოლოდ ერთია: ზემოხსენებულ წერილში ოდენ რამდენიმე სტრიქონი ეძღვნება პოპულარული ჟურნალისტის გაცურების ფაქტს; წერილის უდიდესი ნაწილი ისევ პროგრამა „ენერგიის“ მასშტაბურობის, სარგებლიანობის, მისი ნებისმიერ არხზე აღდგენის აუცილებლობას ეხება.*

*ისიც სასიამოვნო ჭეშმარიტებაა, რომ ტელეკომპანია „202“ და აჭარის ტელევიზია დღითიდღე უფრო რეიტინგული და გამორჩეული ტელეკომპანიები ხდებიან და „ქართუ ჯგუფის“ საბჭოს, როცა დიდი ქველმოქმედის უშუალო დავალების შესრულებას ეხება საქმე, მათზე უარის თქმა საგულდაგულოდ უნდა აეწონ-დაეწონათ!*

*მთავარია „ენერგია“ აღდგეს და მაყურებელი მას ყველგან დიდი სიამოვნებით უყურებს, რადგან „თუნდაც ნახევარი იმისა რომ დაინერგოს, რასაც მერაბ ბერაძე ქადაგებს, საქართველოში ცხოვრება გაცილებით უკეთესი იქნება“, — წერს დიდი ჭაბუა ამირეჯიბი.*

*სწორედ ამიტომაც გადაწყვიტა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა „ენერგიის“ დაფინანსება და „ქართუ ჯგუფისაც“ მისცა დავალება. ამ უკანასკნელმა კი...*

*ღრმა პატივისცემით —*
*სენსაციურობის განცდას მოკლებული*
*„საქართველოს რესპუბლიკის“*
*რედაქცია*

◎ საით მივდივართ?

# ტყუპების კვარტეტი

**ნათქვამია, ყური იმიტომ არ იზრდება, რომ ყოველდღიურად ათასნაირ უბედურებას თუ უცნაურობას იგებსო. ისე, დღეს კაცს არაფრის გაგება აღარ უნდა ეხამუშოს, რადგანაც სავსებით მორღვეულია როგორც სახელმწიფოებრივი, ისე ადამიანური საზღვრები. ყველა სჩადის იმას, რაც მოეპრიანება, რაც მოესურვება. გამორიცხულია მოქაჩვა, შენიშვნის მიცემა, ჭკუის დარიგება. ეს ითვლება ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევად ან პიროვნების უფლებების დარღვევად. მოგიბრუნდებიან და იქით შეგსვამენ ვირზე, — ვინა ხარ, ვის დაჰკარგვიხარ, შენ ვინ რას გეკითხებაო...**



არადა, როგორ არ მეკითხება, როცა საკითხი ეხება არა ზოგადად ქვეყანას, საზოგადოებას, არამედ თითოეულ კონკრეტულ პიროვნებას, მათ შორის მეცა და ჩემს ნათესაობასაც, ახლობლობასაც. ყოველი ასეთი საკითხი გაცილებით მტკივნეულია მაშინ, როცა იგი ეხება ტრადიციას, ზნეობას, თავმოყვარეობას, უბრალოდ, კაცობასა და ადამიანობას. მერე რა, რომ ამ ქვეყანაზე ერთხელ მოვსულვართ, მერე რა, რომ ცხოვრება ხანმოკლეა, თანაც ზოგჯერ მწარეა. ამიტომ უნდა ავიღოთ თავზე ხელი? ამიტომ უნდა დავამსხვრიოთ მორალური ნორმები, ქცევის საყოველთაო წესები?

დღეს დაუფარავად ამბობენ, — ყველაფერი დასაშვებიაო ომში, ბიზნესსა და სიყვარულში. არა მეთქი! ომსაცა აქვს თავისი კანონები, ბიზნესსაც და, მით უმეტეს, სიყვარულსაც. აქვს, მაგრამ გააბითურეს ეს კანონები, გარყვნეს, გაათახსირეს. განსაკუთრებით ეს ეხება სიყვარულს, რომლის უკანაც დგას ოჯახი, შვილი, ცოლი, ქმარი, ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანი და არა ჯუნგლის მხეცი, პირუტყვი.

თუმცა ზოგჯერ ისინი უფრო გონივრულად იქცევიან, ვიდრე ჩვენ, ენაწაგდებულები.

უკვე აღარავინ ტეხს განგაშს, როცა კაცი ირთავს კაცს, ქალი კიდევ — ქალს. უკვე აღარავის აღარდებს, როცა 75 წლის კაცს ცოლად მოჰყავს 17 წლის გოგო ან როცა 65 წლის ქალი ცოლად მიჰყვება 19 წლის ბიჭს. ხაზი გადაესვა დაძმობას, ბიძაშვილ-მამიდაშვილობას, სიძე-სიდედრობას, რძალ-მამამთილობას, რძლობა-მაზლობას, ცოლისდობა-ცოლისძმობას... იცით, რაო? სიყვარული ბავშვიაო, რამდენ კანფეტსაც დაინახავს, იმდენი უნდა შეჭამოს და დააგემოვნოსო, აბა? აგემოვნებენ კიდეც!

ამ ბოლო ხანს მსოფლიოს მასშტაბით მიდის ხოტბა ოჯახური კვარტეტებისა, ტყუპების ქორწინებისა. სადღეისოდ თურმე მთელს პლანეტაზე უკვე 250 ოჯახია, სადაც ტყუპ ძმებს ცოლადა ჰყავთ ტყუპი დები. უმეტესობა ცხოვრობს ერთ ჭერქვეშ, ერთ სახლში, ერთ ოთახშიც კი... და არავითარი უხერხულობა, არავითარი გართულება თუნდაც მაშინ, როცა ქმარს ცოლი ეშლება და ხელს ცოლისდას წასტაცებს ხოლმე.

2000 წელს ჩელიაბინსკში 24-24 წლის ტყუპმა ძმებმა — ევგენი და ალექსანდრ ბრეუსოვებმა იქორწინეს 23-23 წლის ნატალია და სვეტლანა ბურიკინებზე. ქორწინებამდე ტყუპები 2 წელი წყვილ-წყვილად დადიოდნენ პაემნებზე, რათა ერთმანეთი განესხვავებინათ. და მაინც, ზედ ქორწილზე, შეზარხოშებულმა ალექსანდრემ, კანონიერი ცოლის — ნატალიას მაგივრად, კედელს მიაჭყლიტა და კაი ვნებიანად ჩაკოცნა ცოლისდა სვეტლანა.

თუმცა ეს რა არის. 1980 წელს ინგლისელმა როი ლიტლჯონსმა ცოლად მოიყვანა მადლენ ჯოუნი. მალე მადლენი ავად გახდა და თავისთან გადაიყვანა ტყუპისცალი მიშელი, რათა მას საოჯახო საქმეებში დახმარებოდა. როიმ მიშელი ლოგინში მოსინჯა, მოეწონა, მადლენი შინ გაუშვა, თავისთან კი მიშელი დაიტოვა. მადლენს დღესაც ბოღმა ახრჩობს, მიშელი კი ბედნიერად და რომანტიკულად ცხოვრობს უკვე 55 წლის როისთან.

ასეთი ფაქტების მიუხედავად, ექსპერტები გვარწმუნებენ, რომ ტყუპთა ქორწინება არაჩვეულებრივად მტკიცეა. მათი განცხადებით, ჩვეულებრივ მოქალაქეთა შორის განქორწინება ხშირად აღწევს 25-30 პროცენტს, ტყუპთა შორის კი იგი არ სცილდება 7-8 პროცენტს. რუსეთში, როსტოვის ოლქში ცხოვრობენ ტყუპები ვიტალი და იგორ რიაზცევები, რომელთაც ცოლად ჰყავთ ასევე ტყუპები სვეტა და ნატაშა პეტროვები. ვიტალი უსაქმური, ულმერთო ლოთია, მაგრამ სვეტა მაინც არ სცილდება. მას გვერდში უდგანან და და სიძე, რომლებიც ყველაფერში ეხმარებიან და ოჯახს არ ანგრევინებენ.

თუნდაც დაანგრიე რა! აგერ, ამერიკაში ლაიზა და ლუიზა კეიტსები ერთ დღეს მისთხოვდნენ როი და რეი სებრინებს, მაგრამ ასევე ერთ დღეს გაშორდნენ ქმრებს. თუმცა, დები გონს მალე მოვიდნენ და ყოფილ ქმრებს ორ თვეში ისევ დაუბრუნდნენ. და როგორც ზღაპარშია, დღესაც უზრუნველად ცხოვრობენ. ყველაფერს აიტან, როცა გვერდში ტყუპისცალი გიდგასო. ტყუპობა ხომ სხეულისა და სულის ერთობააო.

მე ვესაუბრე ცნობილ დემოგრაფსა და პუბლიცისტს, პროფესორ ანზორ თოთაძეს, რომელსაც გამოცემული აქვს წიგნი ტყუპებზე. იგი ვერ იხსენებს შემთხვევას, როცა საქართველოში ტყუპები დაქორწინდნენ ტყუპებზე. ეს არც ჩვენს მენტალიტეტში ზის და ამას ჩვენი ეკლესიაც კრძალავსო. თუმცა დღეს ბევრი აღარც მენტალიტეტს უყურებს და აღარც ეკლესიას. აგერ, კანადელმა ტყუპებმა ჯილეს და გაი ლეკლეკრებმა ფრანგი ტყუპები ჯოელი და ფლორენცია მონტანები გაიცნეს და შეიყვარეს ინტერნეტ-საიტით. მათ 2000 წლის 29 ივნისს ისე დაიწერეს ჯვარი ეკლესიაში, რომ ცხოვრებაში ერთმანეთი რეალურად არ ენახათ.

არავინ იცის, რომელი ქართველი ტყუპები წააწყდებიან ასეთსავე ინტერნეტ-საიტზე ტყუპებს ან გერმანიდან, ან ჰოლანდიიდან, ან ესპანეთიდან...

**ბონდო გულიაშვილი**

◎ ჭრუანტელი

### თავს უმუშევრებიც იკლავენ

**ყოველწლიურად მსოფლიოში თვითმკვლელობის გადაწყვეტილებას იღებს დაახლოებით 20 მილიონი ადამიანი. აქედან სიცოცხლეს ისპობს 1 მილიონი. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მკვლევართა განცხადებით, ასეთი ადამიანები იტანჯებიან ძირითადად დეპრესიით, ალკოჰოლიზმითა და შიზოფრენიით. აქამდე კი ისინი მიიყვანა უმუშევრობამ, შიმშილობამ, ცხოვრებისეულმა უილბლობამ.**

### ისევ განუკურნებელია...

**ჩვენს პლანეტაზე ყოველწლიურად ტუბერკულოზით იღუპება 1,7 მილიონი ადამიანი. ჩნდება ამ სენის ახალ-ახალი სახეები, რომლებზეც წამლები ვეღარ რეაგირებენ. ამ მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობაა აფრიკაში, სამხრეთ აზიაში, აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში.**

### ჩვენ პატარა კუჭი გვაქვს!

**აშშ-ში სიღარიბის ზღვრად ითვლება 782 დოლარი, გერმანიაში — 675, ისრაელში — 274, ხოლო რუსეთში — 93 დოლარი. საქართველოში ახლა სიღარიბის ზღვარს უტოლებენ 150-160 ლარს, ესე იგი, 75-80 დოლარს.**

### ბავშვებმა რა დააშავეს?

**ყაზახეთში, სისხლის გადასხმის დროს, შიდსით დაავადდა 55 ბავშვი. ამის შემდეგ ჯანდაცვის მინისტრი გადააყენეს. სადღეისოდ იძებნება ის 17 დონორი, რომელთაც სისხლი გაიღეს.**

### კატასავით მიახრჩო...

**ამერიკელ მეღდას — კრისტინა პიტმარს სამსახურიდან დაბრუნებისას შინ ქურდი დახვდა. იგი არ დაიბნა, ელვის სისწრაფით მომხდურს ყელში ეცა და სული გააფრთხობინა. 51 წლის კრისტინას სიმაღლეა 180 სმ, წონა — 118 კილოგრამი. 59 წლის ქურდ ედვარდ ხაფის სიმაღლე კი გახლდათ 175 სმ, ხოლო წონა — 80 კილოგრამი.**

### საუკუნე არაფერია

**სიცოცხლის ხანგრძლივობით მსოფლიოში პირველია იაპონია. აქ ადამიანები საშუალოდ ცოცხლობენ 80-82 წელიწადს. ქვეყანაში ამჟამად 28 000 პიროვნებაა, რომელთაც საუკუნეს გადააბიჯეს. ყველაზე ასაკოვანი კაცი 111, ქალი კი — 113 წლისაა.**

### აკი ძმები ვართო?

**ამერიკის ერთ-ერთმა სამთავრობო ორგანიზაციამ სომხეთში ჩაატარა სოციოლოგიური გამოკვლევა, რომელშიც მონაწილეობდა 2000 რესპონდენტი. აქედან 86,5 პროცენტი მტრად მიიჩნევს აზერბაიჯანს, 80,1 პროცენტი — თურქეთს, 54,7 პროცენტი კი — საქართველოს. სომეხ მოქალაქეთა 80 პროცენტს მოსწონს რუსეთი, ხოლო 49 პროცენტს — ამერიკა.**

### ზღვა ხალხს ყლაპავს

**ბოლო ხანს რუსეთის წყალქვეშა ნავებზე ტრაგედიები დატრიალდა: 2000 წლის 12 აგვისტოს, 2002 წლის 21 ნოემბერს, 2003 წლის 5 მარტს, 2005 წლის 1 აგვისტოს და 2006 წლის 7 სექტემბერს. სულ დაიღუპა 120 კაცი, მათ შორის 118 „კურსკის“ მეზღვაური.**

◎ ბარიერი



– რაო, ნატოსთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გავედითო? თქვენ აზრზე ხართ?



– ამის ლაპარაკს რა, ყურს უგდებთ, მიდით კატო, თქვენი საქმე გააკეთეთ!

◎ გონს მოდიან

# დევის ხანა

**დღეს ტერორისტული აქტი აღარავის უკვირს აღარც ევროპაში და აღარც ამერიკაში, აღარც აზიაში და აღარც აფრიკაში. თუმცა თავისებურად ნამდვილად გასაკვირია ის ტერორისტული აქტი, რომელიც 11 სექტემბერს განხორციელდა ჩრდილო ოსეთში, ვლადიკავკასში.**

კერძოდ, ამ ვლადიკავკასიდან ჩეჩნეთში, ხანკალაში მიფრინავდა რუსული ვერტმფრენი მი-8, რომლის ბორტზეც იმყოფებოდა ეკიპაჟის 3 წევრი და 12 სამხედრო პირი. აფრენიდან ათიოდე წუთში იგი ჩამოვარდა, მხოლოდ 5 გადარჩა (ოლონდაც, მთლიანად დაილეწაძ, 10 კი — დაიღუპა. გარდაცვლილთა შორის არიან გენერალ-ლეიტენანტები პაველ იაროსლავცევი და ვიქტორ გულიაევი, პოლკოვნიკები იური ლაფტოფკინი და ოლეგ იარმოლიუკი, აგრეთვე სხვა მაღალჩინოსნები.

სულ მალე „კავკაზცენტერის“ საიტზე განთავსდა ცნობა, რომ თვითმფრინავი ჩამოაგდო ექსტრემისტულმა ორგანიზაციამ „კატაიმ ალ პოულმა“. ამ ორგანიზაციის თქმით, ეს იყო „ურჯულოთა მიმართ კარგად დაგეგმილი ოპერაცია“.

მიუხედავად ამისა, რუსეთის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით სამხედრო ჩინოვნიკებს, არ სურთ აღიარონ, რომ ეს იყო ტერაქტი. მათი განცხადებით, ვერტმფრენი ჩამოვარდა ცუდი ხილვადობის, ხეთა კენწეროებზე წამოდების გამო. ასეთი ორგანიზაცია არ არსებობსო, ეს ტერაქტი კი არა, მფრინავის შეცდომა იყოო.

რუს სამხედროებს ასეთი განცხადების გაკეთების უფლება მართლაც აქვთ. მათთვის დაუჯერებელია ტერაქტი ჩრდილო ოსეთში, სადაც რუსეთს ელაციცებიან, სულში უქვრებიან. იმდენი რუსის ჯარი, რაც მარტოოდენ ჩრდილო ოსეთშია, მთელს კავკასიაში არაა. ყოფილ იმპერიას ერთადერთი ფეხის დასადგმელი აქლა დარჩა, თორემ ჩეჩნეთში, დაღესტანში, ინგუშეთში, ყაბარდოში თუ სხვაგან მაგას მოსვენება არა აქვს. თავდასხმები მიდის არა მარტო სამხედროებზე, არამედ სამართალდამცავ სტრუქტურებზეც, რომლებიც რუსეთის ინტერესებს ემსახურებიან.

რამდენიც გინდათ იმდენი უარყონ ეს ტერაქტი, როგორც ჩანს, რუსეთს პრობლემები უკვე ჩრდილო ოსეთშიც ექმნება. უფრო სწორად, ოსებიც გონს მოდიან, რუსეთს იარაღით უპირისპირდებიან. უპირისპირდებიან როგორც მტერს, როგორც ოსი ხალხის ინტერესების გამყიდველს. ბესლანის სკოლაში 2004 წლის 1 სექტემბერს 331 კაცის, მათ შორის 186 ბავშვის გაწირვა სწორედ რუსეთის კისერზეა, რომელმაც ეს ტრაგედია თავად დაატრიალა და გამოძიება ჩიხში მოაქცია. ჭირისუფლებმა უკვე მოიპოვეს მტკიცებულებანი, რომლებიც ფარდას ხდიან რუსეთის ხელისუფალთა უსულგულობას, უსუსურობას, უუნარობას. დაღუპულთა მშობლები არ ჩერდებიან და, როგორც ჩანს, სამაგიეროს მიზღვას სწორედაც ტერაქტებით აპირებენ. და აქ მათ ვერც ვერავინ გაამტყუნებს. არ გასჭრა სიტყვამ, ხვეწნამ, მუდარამ და ცრემლი ტყვიამ შეცვალა.

ცხადია, ყველა ტერაქტი დასაგმობია, რომელსაც მოსდევს მსხვერპლი და ცრემლი. დასაგმობია 11 სექტემბრის ტერაქტიც. თუმცა რა ვუყოთ იმ ტერაქტებს, რომლებიც ჩრდილო ოსეთში ბესლანის გარდა ბოლო ხანს ბევრი სხვაც მოხდა და ასობით ადამიანის სისხლი დაიღვარა?

ფრიად სამწუხაროა, რომ ედუარდ კოკოითი 12 ნოემბერს რეფერენდუმს მართავს და ამ ყოფილ სამხრეთ ოსეთსაც რუსეთისკენ მიაქანებს. მან გაკვეთილი ვერ გამოიტანა ბესლანის ტრაგედიიდან. მაშინ იგი ბესლანში ჩავიდა, ბუჩქებ-ბუჩქებ იძრომიალა, მაგრამ სიტყვაც არავინ დააძვრევინა, რადგან იქ ბრძანებებს იძლეოდნენ რუსები და არა ოსები. იმ ბრძანებებმა კი ბესლანს ახალი სასაფლაო შესძინა.

17 სექტემბერს დნესტრისპირეთში ჩატარებულმა რეფერენდუმმა მოსახლეობა 97,1 პროცენტით რუსეთისკენ გასწია. 12 ნოემბერს ყოფილ სამხრეთ ოსეთში ჩატარებული რეფერენდუმი, ალბათ, 98,1 პროცენტს დააფიქსირებს. შემდეგ აფხაზეთში ეს ციფრი 99,1 პროცენტამდე ავა. და ეს იქნება საკუთარი ნებით თავის შეყოფა დევის ხახაში, სადაც საბოლოოდ დამიწდება ამ ეროვნული უმცირესობების დამოუკიდებლობაც და თავისუფლებაც. ნეტა, ვის გაუხარია რუსეთში, რომ მაგათ გაიხარონ?

**ბადრი ღვინიაშვილი**

„მიწის ენა“

# თურქოლოგიური ძიებანი... საქართველოს ტერიტორიაზე

## ა. იუნუსოვის „მეცნიერული მიგნებები“

გასაბჭოების შემდეგ თითქმის ყველა სოფელში გაიხსნა სკოლები, მოიყვანეს აზერბაიჯანიდან აზერბაიჯანელი მასწავლებლები და დააწყებინეს თათრულად სწავლება. გლეხების მოთხოვნა სამართლიანად ჩავთვალე და დავწერე მოხსენებითი ბარათი საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელზე. მოვითხოვდი თათრული სკოლების გადაკეთებას ქართულ სკოლებად. მინისტრთა საბჭო მაშინვე გამოეხმაურა ჩვენს მოთხოვნას და იმავ დროს მოავლინა ახალციხის რაიონში განათლების მინისტრი, თუ არ ვცდები ამხ. კიკნაძე. მასთან ერთად შემოწმებულ იქნა გლეხებისა და რაიალმასკომის მოთხოვნა, დადასტურდა გლეხების სამართლიანი მოთხოვნა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, თუ განკარგულებით ახალციხის ბევრ სოფელში თათრული სკოლები გადაკეთდა ქართულ სკოლებად. შემდეგში ეს აგრეთვე გავრცელდა ასპინძისა და ადიგენის ყოფილ რაიონებში და იქაც თათრული სკოლების მაგივრად გაიხსნა ქართული სკოლები და ამით ისტორიულ უსამართლობას ბოლო მოეღო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკავშირო აღწერის დროს, აღარ მახსოვს 1939 თუ 1940 წწ., ბევრმა ქართველმა მაჰმადიანმა კითხვას მისი ეროვნების შესახებ უპასუხეს „ქართველი“ და დღესაც გადასახლებაში მყოფებს პასპორტში უწერიათ ეროვნება – ქართველი. მაგალითად სოფ. წოხტევის ყოფილ მცხოვრებს ჩხეიძე შაანს, სოფ. მუგარეთში (ყოფილძ მცხოვრებელ ბერიძე ყარას და სხვა.

აგრეთვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბევრმა ქართველმა მაჰმადიანმა არამცთუ აღიდგინა თავიანთი ქართული გვარები და დააწყებინა თავიანთ ბავშვებს ქართული სწავლა-განათლების მიღება, არამედ დაიწყეს ბავშვებისათვის ქართული სახელების დარქმევა – გოგი, შოთა, ვასო და სხვა.

საკითხავია რა დააშავეს ახალციხის მაზრაში მცხოვრებმა ქართველ-მაჰმადიანებმა, – წერს გულდაწყვეტით ვ. ლომსაძე, – აბაშიძეებმა, ვაჩნაძეებმა, ორბელიანებმა, ორჯონიკიძეებმა (ცხოვრობდნენ სოფ. აწყურშიძ, ინასარიძეებმა, მეხბორაძეებმა, მელორაშვილებმა, ჭონქაძეებმა, თუ მათი მამა-პაპას თურქებმა ძალით სარწმუნოება გამოუცვალეს, მაგრამ ვერ დაავიწყეს ქართული დედაენა და ზოგი ქართული ზნე-ჩვეულება.

მაგონდება ასეთი შემთხვევა: ახალციხიდან ბორჯომის მიმართულებით მეათე კილომეტრზე სოფ. წნისთან გზის პირას, საგზაო ბუტკასთან ორი გიორგიწმინდელი ქართველი მაჰმადიანი სანთელს უნთებდნენ დანგრეულ ბუტკის კედლებს. ჩემს შეკითხვაზე თუ თათარი ვაჟი დანგრეულ ბუტკას რათ უნთებს სანთელს, მათ მიპასუხეს, რომ იქ ოდესღაც მათი მამა-პაპათა ქართული სალოცავი ეკლესია იყო, შოსეგზის მშენებლობის დროს ეკლესია ბუტკად აქციეს და ისინი თავიანთ ქართულ სამლოცველს არ დაივიწყებენ და ყოველთვის სანთელს აუნთებენ.

ბევრი მოხუცი სიკვდილის წინ თავის შვილებს თხოვდნენ დაემარხათ ქართულ ეკლესიასთან. მაგალითად სვირში ვარდიაშვილი ნიაზას დედა თუ მამა ამას მოითხოვდა...“ ასე ამთავრებს ახალციხის რაიონის ყოფილი ალმასკომის თავმჯდომარე ვასილ ლომსაძე თავის ახსნა-განმარტებით ბარათს. მისი ბარათის შინაარსი თითქმის მთლიანად და სტილის შეუცვლელად მოვიტანე და, ალბათ მკითხველიც დამეთანხმება იმაში, რომ 1944 წელს ბედის უკუღმართობით გამაჰმადიანებული ქართველების შუა აზიის რესპუბლიკებში გასახლება დიდი შეცდომა იყო.

ერთ სოფელში მცხოვრები მაჰმადიანი და ქრისტიანი (კათოლიკეძ მესხების თანადგომის შესანიშნავი მაგალითი მოჰყავს მ. ბერიძეს 2005 წელს გამოცემულ წიგნში. როგორც იგი წერს, მეოცე საუკუნის დასაწყისში – 1909 წელს აშენებული სოფელ უდის ტაძარი, რომელიც მთელ ხეობაში შორიდანვე მოჩანს და გამოირჩევა მასშტაბურობით მაშინდელი მაჰმადიანი და კათოლიკე მესხების ერთობის, შინაგანი ძახილის, სულის ზეობის ნაღდი მაგალითი არის. ძეგლის ძეგლი კი, – მისი სიტყვით, – ტაძრის ორი წარწერაა სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე. აი, ისინიც. სამხრეთის წარწერა: „უდეს არს კათოლიკეთი


გამოღმა ჭაჭკარი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

2120 სული მაშენებელი ამა საყდრისა. მაჰმადიანები – 520 სული, ტომით ქართველნი“.

ჩრდილოეთის წარწერა: „1901 წ. აღშენდა 1909 წ. სამცხე-საათაბაგოს მესხ-ქართველებმა 272 მოსახლე კათოლიკებმა“.

ქრისტიანულ საყდარს აშენებს მაჰმადიანი მეოცე საუკუნის დასაწყისში, – დასძენს მ. ბერიძე, – ჩვენი ერთობის ნატვრის ტაძარიც ეს არის. ასეთი ტაძრები კიდევ უნდა აშენონ ერთად მაჰმადიანებმა და ქრისტიანებმა.

ასეთი ერთობის მიუხედავად, როგორც მ. ბერიძე წერს, უცხო ძალის ჩარევამ მესხეთის მაჰმადიან და ქრისტიან მოსახლეობას შორის დაპირისპირება გამოიწვია. 1918 წელს ღვთის ანაბრად მიტოვებულ მესხეთს მოაწყდა ოსმალეთი. აიშალა ადგილობრივი მაჰმადიანობა, ამოუდგა მოძალადეს მხარში, იფეთქა კარის მეზობლობის, ღობის იქითა წყენის მცირე ღვარძლმა და დაერივნენ ერთმანეთს ქრისტიანი და მაჰმადიანი. სისხლი ღვარად დიოდა. გაიძცა ქრისტიანი მოსახლეობა. ბევრი მწარე მაგალითი გაახსენდება ამ ამბის ჯერ კიდევ ცოცხალ მომსწრეს. რამდენმა დედამ შვილი დააგდო იმისათვის, რომ მეორე მაინც გადაერჩინა. რამდენია 1918 წელს ბაკურიანის ტყეში დაბადებული, საკუთარ პერანგში რომ გაუხვევია დედას. იყო კალო და ადამიანთა ლეწვა, იყო საბძელში დაწვა ხალხისა, ბევრი რამ იყო...“

ამ განუკითხაობის ჟამს, მაჰმადიან მესხთა მხრივ იყო თანადგომაც, რაც მათ სიცოცხლის ფასადაც კი უჯდებოდათ, მაგრამ მ. ბერიძისა არ იყოს, ეს საქმეს არ შველოდა.

შუა აზიის რესპუბლიკებში გასახლებული გამაჰმადიანებული მესხი ადვილად არ ელევა დაკარგულ რწმენას, არ ითქვიფება დანარჩენ ერთმორწმუნე, მაგრამ სხვა თესლში, არ მისცემს ქალს და თვითონაც არ მოიყვანს. ერთად ყოფნა და ერთად ცხოვრება ისევ თანამოძმესთან ურჩევნია, დასძენს მ. ბერიძე.

გასახლებულ მაჰმადიან მესხთაგან, რა თქმა უნდა, არაერთია ქართული ორიენტაციისა და ოცნებობს თავის კუთხეს თუ არა, საქართველოს სხვა მხარეს მაინც დაუბრუნდეს.

მიუხედავად იმისა, რომ მესხეთის ზოგიერთ სოფელში ქართული სკოლა გაიხსნა, გამაჰმადიანებულ მესხთა მიმართ ძველი – ანტიქართული მიდგომა კვლავ გრძელდებოდა. პროფ. შ. ლომსაძის თანახმად, ჯერ კიდევ 1941 წლის მოსახლეობის აღწერისას, მესხი ქართველი მაჰმადიანები რეგისტრირებულნი და პასპორტიზირებულები იქნენ როგორც „თურქები“, „აზერბაიჯანლები“, „კავკასიელები“ და სხვა. მაგალითად, ოთხი ძმა ზაუტაძეებს მიკუთვნებული აქვთ ოთხი განსხვავებული ეროვნება. ერთს „აზერბაიჯანელი“, მეორეს – „კავკასიელი“, მესამეს – „თურქი“, ხოლო მეოთხეს – „უზბეკი“.

მესხეთის მკვიდრთაგან არაერთმა გამოიჩინა თავი დიდ სამამულო ომში, მაგრამ, როგორც შ. ლომსაძე წერს, სამამულო ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნების ნაცვლად მათ შუა აზიის რესპუბლიკებში მოუხდათ ჩასვლა. ერთ-ერთი ასეთი იყო სოფელ ვალედან ჩახო ჩიტაძე. იგი უზბეკეთის სოფელ კრასნოგვარდეისკში „დაბრუნდა“, სადაც მას დაავალეს ახალი საშუალო სკოლის გახსნის ორგანიზება. დიდი ძალისხმევა დასჭირდა მას, რათა ამ სკოლას შოთა რუსთაველის სახელი მინიჭებოდა. ესეც სისხლის ყივილია, – დასძენს შ. ლომსაძე. მისივე თქმით, საინტერესოა ახალი მოძრაობა „ქართველი მაჰმადიანების საქართველოში დაბრუნების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის ლატიფშა ბარათაშვილის მემუარები. იგი აღწერს 1913 წლიდან 1980 წლამდე ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრების მრავალ ეპიზოდს. საუბარია არა მარტო სამცხე-ჯავახეთზე, არამედ კოლაზე, ართაანზე, შავშეთზე. ავტორი ცოცხალ სურათებს აღწერს იქაური ქართველების ცხოვრების შესახებ. შეუძლებელია აღელვების გარეშე გადაიკითხო წიგნის ის გვერდები, სადაც აღწერილია 1944 წ. ულმერთოდ გასახლება. საიდანაც დღესაც ისმის ჩუმი კვნესა სამშობლოდან მოგლეჯილი განდევნილი ხალხისა.

თავის მონოგრაფიას მესხეთზე და მესხებზე შ. ლომსაძე ამ სიტყვებით ასრულებს: „1944 წ. სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული ჭეშმარიტი ქართველები, დღევანდელი რეალური მდგომარეობის მიხედვით კი დენაციონალიზებული მასა – მესხი ქართველი მაჰმადიანები შეიძლება დღესაც დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას, აღიდგინონ საკუთარი სახე და ნაციონალური ღირსება. ეს კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ ნაციონალური ერთიანობის გააზრებული ცნობიერების საფუძველზე. ათასეულკილომეტრიან სამყაროში გაბნეული ამ ხალხის შეგნებამდე უნდა მივიდეს ინფორმაცია მათი ისტორიის შესახებ. მათ უნდა გააცნობიერონ ვინ არიან ისინი. ყველა ადამიანს აქვს უფლება თავის ისტორიაზე, მით უმეტეს იმ თაობებს, რომლებიც ხელოვნურად მოწყვეტილნი იყვნენ საუკუნეების მანძილზე საკუთარ სამშობლოს.

მესხ ქართველ მაჰმადიანთა ბედი დამოკიდებულია ჩვენი მრავალტანჯული მიწის მკვიდრთა აზროვნებასა და სიბრძნეზე.“

დაბოლოს, მინდა ისევ ა. იუნუსოვის წიგნს დავუბრუნდე. მის წიგნს დართული აქვს რუკები, ტაბულები და მესხეთ-ჯავახეთის იმ სოფელთა სია, სადაც თითქოს გასახლებამდე „თურქი-მესხები“, ქურთები და სხვა მუსლიმები ცხოვრობდნენ. ამ ჩამონათვალში მას მოცემული აქვს სოფლები ქართული და თურქული სახელებით ახალციხის რაიონში – 78, ადიგენის რაიონში – 74, ასპინძის რაიონში – 66, ახალქალაქის რაიონში – 25 და ყოფილ ბოგდანოვკის რაიონში ექვსი. ე. ი. სულ 249 სოფელი, აი, სად უნდა მას შექმნას ახალი „დიდი თურქესტანი“. ამიტომ, შ. ლომსაძისა არ იყოს, „თურქ მესხთა“ რეპატრიაციის საკითხს საქართველოს მთავრობის მხრივ, მართლაც, გააზრებული და ბრძნული მიდგომა სჭირდება.

ყოველივე ის, რაც საქართველოს ტერიტორიაზე ა. იუნუსოვის თურქოლოგიური ძიების შესახებ მოგითხრეთ, მისი წიგნის მხოლოდ ერთ პარაგრაფს წარმოადგენს. I თავში, რომელსაც „Прошлое“ ეწოდება, აღნიშნულს გარდა იუნუსოვი მკითხველს აცნობს: Месхети в османский период; Месхети в составе Российской империи; Месхети в 1917-1920 гг; Месхети в советское время.

II თავში – „Настоящее“ წარმოდგენილია: Движения и организации месхетинских турок после1991 г; Численность и расселение месхетинских турок в СНГ; Положение месхетинских турок в Средней Азии и Казахистане; Месхетинские турки в Росии; Месхетинские турки и Грузия; Месхетинские турки в Азербаиджане; Месхетинские турки в Турции; Международные организации и проблема репатриации месхетинских турок.

წიგნს ერთვის: დასკვნა, რეკომენდაციები, ინფორმატორთა სია, გამოყენებული ლიტერატურის სია, ტაბულები და ფოტოსურათები. ასე რომ, ეს თითქმის 160-გვერდიანი წიგნი მრავალმხრივ საინტერესოა, არა მარტო მესხების ბედით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, არამედ სახელმწიფოსთვისაც, კერძოდ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შესაბამისი სამსახურისთვის, რომლის წინაშე ალბათ, სულ მალე მთელი სიმწვავით დადგება ე. წ. „მესხეთელი თურქების“ რეპატრიაციის პრობლემა. კარგი იქნება, დაგვიანებით მაინც წიგნი ქართულად ითარგმნოს, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს „მესხეთელი თურქების“ პრობლემით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

**ვახტანგ გოილაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

---

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 177-186.**

ინფორმაცია

## პედაგოგების პროტესტი

205-ე სკოლა-ინტერნატის პედაგოგებმა გუშინ მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს წინ აქცია გამართეს.

პედაგოგები მინისტრთან შეხვედრას ცდილობდნენ და ამტკიცებენ, რომ მათი სკოლა უკანონოდ უქმდება.

ერთ-ერთმა პედაგოგმა მაყვალა კოპალიანმა განაცხადა, რომ მათი ძირითადი მიზანია დაიბრუნონ სკოლა და გაათავისუფლონ იგი იმ დირექციისაგან, რომელიც ამჟამად ხელმძღვანელობს სკოლას.

პედაგოგების განცხადებით, მათ პრეტენზია აქვთ დირექტორ მაია ასაკაშვილთან, რომელმაც არ ჩააყენა პედაგოგები თავის დროზე საქმის კურსში სკოლის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სკოლის ლიკვიდაციის ოფიციალური ბრძანება ჯერ ხელმოწერილი არ არის.

ინტერპრესნიუსი

## წყალი უკვე მიეწოდებათ

კასპის რაიონის სოფლების, სამთავისისა და თოგოიანის მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა მოეხსნა. ამის შესახებ შიდა ქართლის ადმინისტრაციაში განაცხადეს.

მათივე ინფორმციით, პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა შიდა ქართლში მიხეილ ქარელმა, სამთავისის სატუმბი სადგური თავად გახსნა, რომელიც სამთავისისა და თოგოიანის მოსახლეობას სასმელი წყლით მოამარაგებს (350 ადამიანიძ.

აღნიშნულ სოფლებს 15 წლის განმავლობაში სასმელი წყალი შეზღუდვით მიეწოდებოდა. სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია 17500 ლარი დაჯდა. აქედან 13000 ლარი „ჯიპიარეს“-მა დააფინანსა.

## ორი პანსიონი შეერთდა

ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებების თანამედროვე, ჰუმანური ფორმებით შეცვლის მიზნით, თბილისის 205-ე საჯარო სკოლა-პანსიონი მე-200 სკოლა-პანსიონს შეუერთდა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამ კონსოლიდაციის გამომწვევ მიზეზებს ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს. მის თანახმად, 205-ე სკოლა-პანსიონში მოსწავლეთა ნაწილი ჯანმრთელი იყო, ხელმძღვანელობის მიერ კი მათ მძიმე გონებრივი ჩამორჩენის ყალბი დიაგნოზები ჰქონდათ დადგენილი.

„მე-200 სკოლა-პანსიონს გაცილებით უკეთესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გააჩნია და აქ ბავშვებს გაცილებით უკეთეს გარემოში ცხოვრების საშუალება მიეცემათ, გაიზრდება სკოლის დაფინანსებაც, რაც ახალი პროგრამების, თანამედროვე მიდგომების დანერგვაში დაგვეხმარება“, – განმარტებულია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## პირველი დაბადების მოწმობა კოდორში

კოდორის ხეობაში მდებარე იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ზემო აფხაზეთის აჟარის თემის სამსახურმა გუშინ პირველი დაბადების მოწმობა ქრისტინე გერლიანზე, ხოლო ქორწინების მოწმობა მის მშობლებზე გასცა.

10 თვის ქრისტინეს დაბადების მოწმობის მისაღებად სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს მისმა მშობლებმა, სოფელ გვანდრას მკვიდრებმა, 22 წლის ნიკოლოზ გერლიანმა და 17 წლის მარიამ გიუაშვილმა მიმართეს. შვილის დაბადების მოწმობის მიღების შემდეგ კი მათ ქორწინების რეგისტრაციაც გადაწყვიტეს.

ჯი-ეიჩ-ენი.

**ისტორია**

# კრწანისის სევდა: დამარცხების გაკვეთილები

## შთამომავლობამ სიმართლე უნდა იცოდეს!

**1775 წელს დაბადებული ფარნაოზი, მაშინ 20 წლისაც არ იყო და ალბათ, ერეკლემ თავად აარიდა საბედისწერო ბრძოლას.**

**ბრძოლისუნარიანი უფროსი შვილიშვილები, გიორგის ვაჟები დავით და იოანე ბატონიშვილები, როგორც ცნობილია, შუაგულ ბრძოლაში ტრიალებდნენ კრწანისის ველზე და მანამდეც არაერთხელ გამოუჩენიათ თავი ქვეყნის დასაცავად.**

იოანე ბატონიშვილის გმირულ ბრძოლას ყველა აღნიშნავს, ვისაც კი უცდია კრწანისის ბრძოლის აღწერა და თუ დამარცხებული ჯარის მხარეს ვინმე ცოცხლად დარჩენილი შეიძლება გმირად წარმოვსახოთ, ეს იოანე ბატონიშვილია – კრწანისს ერეკლეს გადამრჩენი.

ერეკლეს კიდევ ერთი შვილიშვილის, იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მონაწილეობაზე კრწანისის ომში საკმაო მასალა არსებობს, საიდანაც ჩანს, რომ გუდოვიჩის ნაამბობი – სოლომონი პირველი გაიქცა ბრძოლის ველიდან და მთებს შეაფარა თავიო, მართალი არ არის.

სამეფო ტახტის მემკვიდრე, 1746 წელს დაბადებული, გიორგი ბატონიშვილი, ერეკლესა და ანა აბაშიძის ვაჟი, რომელიც ჭაბუკობისას ბრძოლაში შემართული და გარეგნობით სასიამოვნო აღნაგობისა იყო, სამწუხაროდ, ადრე დაავადმყოფდა და შედარებით ნაკლებბრძოლისუნარიანი გახდა. მაგრამ მამისადმი სიყვარული არასდროს განელებია.

გიორგი, მამის დავალებით სიღნაღში მდგარა ქიზიყელთა ჯარით, რადგანაც ერეკლემ ხელში ჩაგდებული წერილებიდან იცოდა, რომ ლეკები აპირებდნენ კახეთზე თავდასხმას.

ცნობილია და გამოქვეყნებულია კრწანისის ბრძოლის შემდეგ ერეკლეს მიერ, კახეთში, გიორგისადმი გაგზავნილი წერილები, ორივე მათგანი იწყება წინ წამძღვარებული მიმართვით „ძ. ჩვენო ღვთის წყალობავ შვილო, ბატონო გიორგი“, წერილები საქმიანია, არის მართებულად კრიტიკული, მაგრამ, საყვედური თუ რატომ არ მიეშველა ჯარით კრწანისის ველზე, არსად ნახსენები არ არის.

ერეკლეს მტკიცე და ძალაუფლების მოყვარული ხასიათიდან გამომდინარე, მას არ შეიძლება არ ესაყვედურა ტახტის მემკვიდრისთვის ქვეყნისთვის დამღუპველი მოქმედების გამო.

ასე რომ, გიორგი ბატონიშვილი კრწანისის ომისას, კახეთში, დროს ქეიფსა და უსაქმურობაში ატარებდაო, არტემ არარატსკის მონაგონად უნდა ჩაითვალოს.

დარეჯან დედოფალსაც არასდროს მოსვლია თავში მეუღლის ღალატი, თუმცაღა, ბოლო წლებში, ცდილობდა ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებში ჩარევას. ერეკლე დედოფალთან ერთად ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას დათმობაზეც მიდიოდა, რაც ქვეყნის მომავლისთვის ზოგჯერ ხელსაყრელი არ იყო. თავად დარეჯანი აგვისტოს თვეში სწერდა წერილს გუდოვიჩს და თხოვდა ჯარი მოგვაშველეთო. ასე, რომ, სავსებით მართალია იასე ცინცაძე, როდესაც ბრძანებს: „ერეკლეს ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ საკუთარი ვაჟიშვილები მისი მორჩილებიდან გამოსვლას ვერ გაბედავდნენო“.

„ქართველი მეფის ოჯახის მრავალრიცხოვან წევრებს შორის წინააღმდეგობა, რა თქმა უნდა, არსებობდა, ჩვენ საამისო ცნობებიც გვაქვს, მაგრამ შეიძლება დავასახელოთ მე-18 საუკუნის ისეთი სახელმწიფო, სადაც სასახლის წევრებს შორის წინააღმდეგობა არ ყოფილა?“

* * *

იმერლების მიერ ბრძოლის ველის მიტოვება და მათთვის თბილისის მოსახლეობის ძარცვის დაბრალებაც ქართველთა დამცირების ცდაა. ომის წაგების სხვისთვის გადაბრალება, ისტორიის წინაშე თავის გამართლების ხერხია მათგან, ვისაც მართლაც მიუძღვის ბრალი საქართველოს დაღუპვაში, მით უმეტეს, რომ იმერელთა ბრძოლაში შემართებას ბევრი აღნიშნავს. ათასამდე იმერელი დაიღუპა თბილისის მისადგომებთან.

ზოგიერთი სომხის აღა-მაჰმად-ხანის გვერდზე დგომამ და მისთვის მხარდაჭერამ, ისევე, როგორც ზოგიერთი ქართველის უგვანო და ღალატურმა საქციელმა, მართალია, ხელი შეუწყო დამარცხებას, მაგრამ ამით მათ ასევე ხელი შეუწყვეს თბილისსა და მის შემოგარენში მცხოვრები, ქართველი მეფისა და ქართველთა ხმლის ქნევის იმედით მშვიდობამოპოვებული და მშრომელი ათასობით სომეხის დაღუპვას და დატყვევებას, ამასთან, ბევრი სომეხი მოქალაქე, თბილისის დაცვისას ბრძოლაში შეაკვდა სპარსელებს. ასე რომ, მოღალატე და ერთგულზე ბევრად ნაკლები მოღალატის არსებობაც არ შეიძლება ყოფილიყო საქართველოს დამარცხების ერთადერთი მიზეზი.

ქართველთა ჯარის სიმცირე, რასაც თვით მეფეც ძალზე განიცდიდა, რა თქმა უნდა, ქვეყნის სისუსტეზე მიუთითებდა. ქვეყნის აღმშენებლობის პერიოდში, თუ საქართველო რამდენიმე მილიონ მცხოვრებს ითვლიდა, ახლა ამიერ და იმიერ საქართველოში ნახევარი მილიონიც აღარ იყო დარჩენილი. ქართლ-კახეთის მცხოვრებთა რაოდენობა კი ორასი ათასიც არ იყო. ეს სავალალო დემოგრაფიული მაჩვენებელი მტრის განუწყვეტელი თავდასხმების და ომების შედეგი გახლდათ.

თანაც, მაშინდელი კომუნიკაციის პირობებში შეუძლებელი იყო სწრაფად დიდძალი ჯარისთვის თავის მოყრა, ხოლო ეკონომიური პირობები კი დიდხანს ჯარის შენახვისა და საკვების უზრუნველყოფის საშუალებას არ იძლეოდა.

**„ერეკლე ბრძოლებს მტერთან შედარებით მუდამ მცირე ძალებით იგებდა!**

**„როდის ყოფილა, რომ რამდენიმე ათეულ ათასიანი კორპუსი ჰყავდა ერეკლე II-ს, ანდა რომელ ბატონიშვილს ჰქონდა ისეთი ხალხმრავალი სამფლობელო, რომ 10 000 შეიარაღებული მეომრის გამოყვანა შესძლებოდა“**, წერს იმათ პასუხად იასე ცინცაძე, ვინც საყვედურობს ერეკლეს, რატომ 60 და 80 ათასიანი ჯარი ვერ შეკრიბა თბილისის დასაცავადო.

საუფლისწულოებად ქართლ-კახეთის დაყოფაც არ ყოფილა ომში დამარცხების გადამწყვეტი ფაქტორი, რადგან ქვეყნის მმართველობა და ჯარის შეყრა მაინც ერეკლეს ხელში იყო, თუმცაღა ქვეყნის სისუსტის ერთ-ერთ მიზეზს ესეც წარმოადგენდა.

თითქმის იგივეს იმეორებს სარგის კაკაბაძე, მაგრამ ის უფრო კრიტიკულია და თვლის „რომ ახლა მემკვიდრე ფეოდალების ნაცვლად ცალკეული პიროვნებების მმართველობა იმყოფებოდა ბატონიშვილების ხელში, რომლებიც თავის მდგომარეობით უფრო მეტად უპასუხისმგებლოები იყვნენ“. თუმცა ასკვნის, რომ **„კატასტროფა არ ყოფილა გამოწვეული მოჩვენებითი გულგრილობით ბატონიშვილებისა, რომლებსაც არც სურდათ და არც შეეძლოთ ყოფილიყვნენ საკუთარი მოხუცებული მამის მოღალატეები“.**

ისე, კი თუ ისტორიას გადავხედავთ, პატარა საქართველოსთვის, ყოველთვის ძალზე ძნელი იყო გამკლავებოდა ისეთ დიდ ქვეყნებს, როგორიც სპარსეთი და თურქეთი იყო, თუ კი ისინი მთელი ძალით დაიძრებოდნენ საქართველოს დასაპყრობად.

მართლაც საკვირველია, როგორ გადარჩა საქართველო იმ ისტორიულ პირობებში, რომელიც მას თან სდევდა.

საქართველოს გადამრჩენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება ისიც იყო, რომ მეზობელ ქვეყნებს შუღლი და სიძულვილი ერთმანეთის მიმართ ბევრად უფრო მეტი ჰქონდათ, ვიდრე ქართველებისა და განუწყვეტლივ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, რაც ხშირად ომებში გადაიზრდებოდა. ასეთი ურთიერთდაპირისპირების დროს კი არც ერთს არ აწყობდა საქართველოსთან ურთიერთობის გაფუჭება, თითოეული მათგანი ანგარიშს უწევდა საქართველოს და ცდილობდნენ მიემხროთ ქართველები. ბედად, ბოლო საუკუნეების მანძილზე ისინი არასდროს გაერთიანებულან ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მეზობელ დიდ სახელმწიფოთა შორის ურთიერთშუღლს ხშირად, თავიანთ სასარგებლოდ კარგად იყენებდნენ ქართველები. მათმა დიპლომატიამაც დიდი როლი შეასრულა ქვეყნის გადარჩენაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა პირისაგან მიწისა აღგვილიყო საქართველო, ისე, როგორც ეს არაერთ დიდ ერსა და ქვეყანას მოუვიდა.

მაგრამ ეს არ იყო მშიშარა და დამონებული სულის მქონე ხალხის დიპლომატია. ეს იყო მრავალი გაჭირვების გადამტანი, მეამბოხე, შეუპოვარი, ნიჭიერი და მშრომელი ხალხის დიპლომატია, რამაც თავის რწმენის სიძლიერესთან და ხმლის ქნევის სიმარჯვესთან ერთად ქართველებს შეანარჩუნებინა ენა, მამული, სარწმუნოება და ღვთის განგებით, თითქმის წარმოუდგენელი სირთულის ისტორიულ მოვლენათა ქარცეცხლში გადაარჩინა ერი.

გულდასაწყვეტია, რომ ხანდახან, ზოგიერთი დამამცირებლად უყურებს ძველ ქართველთა დიპლომატიურ თუ საბრძოლო ნაბიჯებს და თვლის, რომ ქართველები, მხოლოდ მტერთან მშვიდობიანი თანაარსებობის უნარმა გადაარჩინა, ეს კი მგონია, რომ საკუთარ ისტორიაში ღრმად ჩაუწვდომლობის შედეგია.

უძველესი დროიდან მოყოლებული, უამრავ შემოსევასა და სხვადასხვა ჯურის მრავალრიცხოვან დამპყრობთა გამანადგურებელ თავდასხმებს სასწაულებრივად გადარჩენილი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიული მდებარეობის მქონე საქართველო, თითქმის მთელი სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცა.

საქართველოს მეზობელი, დიდი და ძლიერი ქვეყნები მასთან გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებდნენ და მის დაპყრობაზე ოცნებობდნენ, ხშირი იყო ბრძოლები მეზობელ სახანოებთან, ლეკების ყოველდღიური თავდასხმები მეურნეობას ძირფესვიანად ანადგურებდა, როგორც აღმოსავლეთი ისე დასავლეთ საქართველო მუდმივ საომარ მოქმედებებში იყო ჩაფლული და, – ადრე თავად ე. წ. აღმოსავლეთის რენესანსის სათავეში მყოფ ქვეყანას, **„სწორედ იმ დროს როდესაც დასავლეთ ევროპაში „რენესანსად“ წოდებული კულტურის მძლავრი აყვავება დაიწყო და შეუჩერებელი წარმატებით მიმდინარეობდა, საქართველოს ყოველგვარი საშუალება მოესპო, რომ ამ ნაყოფიერს შემოქმედებითს წყაროს გასცნობოდა და თვითონაც ამ მოძრაობის მოზიარე გამხდარიყო“** – ბრძანებს დიდი ივანე ჯავახიშვილი.

ერეკლე „ხვდებოდა, რომ მხოლოდ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნას, ეკონომიკურ პროგრესსა თუ სამხედრო ტექნიკის გაუმჯობესებას შეეძლო უზრუნველეყო საქართველოს მომავალი წარმატება, იგი ნათლად ხედავდა, რომ სამი დიდი სახელმწიფო – ირანი, თურქეთი და რუსეთი – ამიერკავკასიაში ბატონობას ერთმანეთს ეცილებოდნენ და არც ერთი მათგანი საქართველოს თავისუფალსა და დამოუკიდებელს არ დასტოვებდა. ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის ერეკლეს არჩევანი უნდა მოეხდინა“ – ბრძანებს ნიკო ბერძენიშვილი. ევროპისკენ მიმავალ გზას კი ერეკლე რუსეთთან ურთიერთობაში ხედავდა.

**თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერეკლე II-ს თავისი ქვეყნის რუსეთის ბატონობაში მოქცევა უნდოდა, ეს კავშირი ალბათ მისთვის ევროპისაკენ გასასვლელი, ერთი დიპლომატიური ნაბიჯი იყო.**

საქართველოს რუსეთთან კავშირის გაღრმავება ძალზე აღიზიანებდა როგორც მეზობელ, ისე ევროპის ქვეყნებსაც კი. არავის უნდოდა რუსეთს ფეხი მოეკიდა ამიერკავკასიაში და ამიერკავკასიითა და საქართველოთი დაინტერესებული ქვეყნები, სპარსელების მიერ საქართველოს დამარცხებაში რუსეთის მარცხს ხედავდნენ. ევროპის ზოგიერთი ქვეყანა აქ ეძებდა კიდევაც აღა-მაჰმად-ხანს, რომლის აგრესიაც იმით იყო გამოწვეული, რომ მიუხედავად მისი არაერთი თხოვნისა და მუქარისა, ერეკლე სპარსელებს არ ენდობოდა და არ წყვეტდა რუსეთთან კავშირს, რაც აღა-მაჰმად-ხანისთვის ხელისშემშლელი პირობა იყო თავისი მიზნების განხორციელებაში.

სწორედ რუსეთთან ურთიერთობისთვის აითვალისწუნა და გაწირა იმდროინდელმა გავლენიანმა სამყარომ აღმოსავლეთ საქართველო. ბედის მწარე დაცინვა კი ის იყო რომ რუსეთი, რომლის ერთგულებისა და დახმარების იმედიც საქართველოს ჰქონდა, არაფერს აკეთებდა მის საკეთილდღეოდ, თავისი ცბიერი პოლიტიკით ხელს უწყობდა საქართველოს ძლიერებისა და, აქედან გამომდინარე, თვითმყოფადობის დაკარგვას, რათა მისი დაპატრონება არ გაჭირვებოდა.

**ქართლ-კახეთის მოხუც მეფეს, რომელსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში საკუთარი ქვეყნისათვის თავი არ დაუზოგავს, ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, რუსეთის აშკარა ღალატის გამო შეიძლება კიდევ გაებრძოლა და საქართველოს დამოუკიდებლობის გადასარჩენად სხვა გზები მოეძებნა, მაგრამ ერეკლეს მეტი ძალა აღარ ჰქონდა.**

**თუმცა, მის სიცოცხლეში საქართველო რუსეთს არ შეერთებია. ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ კი რუსეთმა ისეთი ძალით შემოუტია ამიერკავკასიასა და მთელს საქართველოს, რომ ერეკლეს უფერულ მემკვიდრეს წინააღმდეგობის თავი აღარ ჰქონდა...**

**თეიმურაზ პეტრიაშვილი,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.


კრწანისის ბრძოლა. მხატვარი ნუკრი შავგულიძე.

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 186.**

## ◎ გაფრთხილდით!

*„რომ იცოდეთ, რა ლამაზია სიცოცხლე. რაც ავად ვარ, უფრო ძალუმად შევიგრძენი ეს. დაიცავით საკუთარი თავიც და სხვებიც შიდსისაგან“. — ასე იწყებოდა ტექსტი მიმართვისა, რომლითაც შვიდი წლის წინათ, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სპ ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე, თურმე საკუთარი სურვილით, თანატოლებისა და მთელი საზოგადოებისათვის მოწოდებით უნდა მიემართა 23 წლის ახალგაზრდა კაცს.*

*მახსოვს, თანდათან შეივსო ცენტრის საკონფერენციო დარბაზი, პრეზიდიუმიც. შეხვედრა კი, რატომღაც არ იწყებოდა. პრეზიდიუმში ერთი სკამი ისევ ცარიელი იდგა. ოციოდე წუთის შემდეგ გვამცნეს, რომ ის ახალგაზრდა, იმ დღეს, გამთენიისას გარდაცვლილიყო, ხოლო ის ტექსტი, რომელიც საგულდაგულოდ შეადგინა, მის ახლობელს მოეტანა და ეთხოვა, რაკი თავად აღარ არის ცოცხალი, მის ვინაობას ნუღარ გაამხელთო...*

*სტიგმით გამოწვეული დისკრიმინაციის შიშის გამო, ინფიცირებულებს და შიდსით დაავადებულებს დღესაც უჭირთ თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამხელა. სპეციალისტთა თქმით, სანამ შიდსსა და მის გამომწვევ მიზეზებზე, მისგან თავდაცვის საშუალებებზე გულახდილად და „გახსნილად“ არ ვილაპარაკებთ, მისით გამოწვეული პრობლემები არ დაგველევა.*

*საზოგადოება ხშირად მკაცრი და უსამართლოა მათ მიმართ, და ლამის კეთროვნებად მიიჩნევს. თუნდაც ქუთაისში მომხდარი უბედური შემთხვევა გავიხსენოთ; სისხლის გადასხმის შედეგად დაავადებული დედაშვილისა და, ამის გამო, საზოგადოების მხრიდან მთელი ოჯახის დევნა—შევიწროების მაგალითი. სწორედ სტიგმისა და გარიყვის შიშით არ ამხელენ დაინფიცირებულები თავიანთ გასაჭირს, რითაც საფრთხეს უქმნიან როგორც სქესობრივ პარტნიორებს, ასევე სხვებსაც (სამედიცინო მანიპულაციები და სხვაძ ამავე მიზეზით ბევრი ნარკოტიკებზე დამოკიდებული ინფიცირებული უარს არ ამბობს ე. წ. „საძმო შპრიცის“ გამოყენებაზე და, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გამო, ჩვენთან მაღლა და მაღლა იწევს შიდსით დაავადებულთა მაჩვენებელი.*

*მართალია, ნელ-ნელა, მაგრამ თანდათან იცვლება ინფიცირებულებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულება. ამას წინათ ერთმა ახალგაზრდამ სატელევიზიო გადაცემისას განაცხადა, რომ ის ამ სენით არის შეპყრობილი. მის გვერდით მჯდომმა კი ხელი ჩამოართვა იმის ნიშნად, რომ ჯერ ერთი, თანაუგრძნობს და მეორეც ის, რომ შიდსი ხელის ჩამორთმევით არ გადადის.*

*შიდსთან ბრძოლის გზაზე ერთ-ერთ სასიკეთო ტენდენციად ნამდვილად მოიაზრება, ის რომ სტიგმა ნამდვილად ირღვევა და ამ ავადმყოფობის დაფარვაზე მეტად, პრობლემის გააზრება და მის წინააღმდეგ დარაზმულობა უფრო აქტუალური ხდება.*

*შიდსმა მსოფლიოში უკვე 23 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 42 მილიონი დაავადებულია და კვლავ დღითი დღე იზრდება ეს რიცხვი. ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა ჩვენს მეზობელ ქვეყნებში: რუსეთსა და უკრაინაში, აგრეთვე ყაზახეთში, მოლდოვასა და სხვა ქვეყნებში. ეს ტემპი საქართველოში გაცილებით ნაკლებია, მაგრამ ეკონომიკურად შეჭირვებული, თანაც ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის მეტად სახიფათოა. სპეციალისტთა თქმით, მკაფიოდ გამოხატული, მაგრამ სტაბილური მატება დამშვიდების საბაბს ნამდვილად არ იძლევა.*

*საქართველოში შიდსის გავრცელების, მასთან დაკავშირებული პრობლემებისა და მისგან მოსალოდნელი დაცვის თაობაზე, ჩვენმა კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სპ ცენტრის წამყვან ექიმ-ეპიდემიოლოგს მარინა დგებუაძეს:*



# დამშვიდების საბაბი ნამდვილად არ გვაქვს

## შიდსი «დაჟინებით» გვიტევს

**— ქალბატონო მარინა, ამ პრობლემურ თემას პერიოდულად ეხმაურება ჩვენი გაზეთი. მოდით ერთხელ კიდევ შევახსენოთ მკითხველს, რა არის აივ ინფექცია და რა არის შიდსი?**

— შიდსი — შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი, ნელა პროგრესირებადი ინფექციური დაავადებაა, რომლის გამომწვევია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივძ. ორგანიზმში ამ ვირუსის შეჭრიდან შეიძლება 3-10 წელიწადი ისე გავიდეს, რომ ადამიანი თავს ჯანმრთელად გრძნობდეს, მაგრამ სხვა დააინფიციროს.

**— როგორ გადაეცემა ან როგორ არ გადაეცემა შიდსის ვირუსი?**

— ვირუსი გადადის ინფიცირებულ ადამიანთან სქესობრივი კონტაქტით, ამ ადამიანის სისხლის ან მისი კომპონენტების გადასხმით, მისი შპრიცის სარგებლობით, ინფიცირებული დედისგან (ვერტიკალურადძ მუცლად ყოფნის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების პერიოდში.

არ გადაეცემა: ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ურთიერთობით, ჰაერწვეთოვანი (ლაპარაკის, დახველების, დაცემინებისძ გზით, გადაკოცნით და სხვ. უსაფრთხოა საერთო თეთრეულით, ჭურჭლით თუ საპირფარეშოთი სარგებლობა.

**— მაგალითად, ტუბერკულოზის გადამდები ფორმის დროს მკურნალობის დაწყებიდან 2-3 კვირის შემდეგ, დაავადება გადამდები აღარ არის. შიდსის შემთხვევაში როგორ ხდება ?**

— მკურნალობის დროს შიდსის გადადების რისკი საგრძნობლად მცირდება, მაგრამ თავდაცვის საშუალებების უგულებელყოფა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

**— ქალბატონო მარინა, როგორია ჩვენთან შიდსის გავრცელების სტატისტიკა?**

— ბოლო მონაცემებით ცენტრში რეგისტრირებულია შიდსის ვირუსით ინფიცირების 1069 შემთხვევა (თუმცა, ექსპერტთა ვარაუდით, საქართველოში 3500-ზე მეტი აივ ინფიცირებული და შიდსით დაავადებულიაძ, მ. შ. 836 მამაკაცი, 233 ქალი. შიდსი განუვითარდა 438 პაციენტს, 229 გარდაიცვალა. ძალიან სამწუხაროა, რომ ქვეყანაში ასე მძიმე დემოგრაფიული ვითარების დროს ინფიცირებულთა და დაავადებულთა უმრავლესობა 20-დან 40 წლამდეა, ყველაზე აქტიური ასაკისაა.

ინფიცირების ყველაზე მეტი შემთხვევაა თბილისში — 409, შემდეგ სამეგრელოში - 169, აქედან მარტო ზუგდიდში 118, აჭარაში — 157, იმერეთში — 121, აფხაზეთში — 32, კახეთში — 39, ქვემო ქართლში — 33, გურიაში —26, ფოთში —22, შიდა ქართლში —20, სამცხე-ჯავახეთში —20, სვანეთში 7, სხვა რეგიონებში კი არის ერთეული შემთხვევები. გამოვლინდა უცხოეთის 32 მოქალაქე, მათგან 17 შინ დაბრუნდა.

ჩვენს ცენტრში რეგისტრირებულია 39 ორსული, მათგან 30-მა იმშობიარა, 6 ამჟამადაც ორსულია და 24 ბავშვი ჯანმრთელი დაიბადა. 3 ინფიცირებულია (ორმა ორსულობის პერიოდში გვიან დაიწყო მკურნალობა, ხოლო ერთმა — შეწყვიტაძ, 3 ახალშობილი კი, გამოკვლევის ფაზაშია.







მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ორსულების გამოკვლევა შიდსზე უკვე სავალდებულოა. რაც საგრძნობლად ზრდის ინფიცირებული დედის მიერ ჯანმრთელი ბავშვის დაბადების შანსს. ინფიცირებულ ბავშვთა 25—30 პროცენტს ვირუსი დედისგან ორსულობის პერიოდში გადაეცემა.

**— ინფექციის გადაცემის გზების მაჩვენებელი ხომ არ შეცვლილა?**

— ადრე ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა შემდეგ (ახლაც „წამყვანია“ 63%ძ, ეს ინფექცია ძირითადად სხვა ქვეყნებიდან „შემოჰქონდათ“. სამწუხაროდ, ახლა საგრძნობლად იმატა ჰეტეროსექსუალური კონტაქტით გადაცემის მატების ფაქტებმა ოჯახებში, ქმრებისგან მეუღლეების დაინფიცირების შემთხვევებმა (30,4%ძ.

ბოლო 5 წლის მონაცემების შეჯერებით აღმოჩნდა, რომ შეინიშნება შიდსის ინფექციის სტაბილური ზრდის ტენდენცია, რაც მეტად სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის. დღე ისე არ გავა, 1,2 ან ზოგჯერ მეტი დაინფიცირებული რომ არ გამოვლინდეს.

**— შიდსის ცენტრში ძირითადად რითი მკურნალობთ პაციენტებს, და არის თუ არა რაიმე სიახლე ამ მხრივ?**

— უწინარესად მინდა გითხრათ, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველია პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან, სადაც 2003 წლიდან მოქმედებს „შიდსთან ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის“ პროგრამა. ეს იმის საშუალებას იძლევა, რომ ვუმკურნალოთ ყველას, ვისაც ნამდვილად სჭირდება, ასეთი კი 207 პაციენტია და მათ უახლესი ანტირეტროვირუსული მედიკამენტებით ვმკურნალობთ. დანარჩენები მუდმივი კონტროლის ქვეშ გვყავს, ისინი ძირითადად ვირუსმატარებლები არიან.

სიახლე კი ის გახლავთ, რომ საქართველოში გაეროს ეგიდით ხორციელდება აშშ-სა და საქართველოს აივ ინფექცია შიდსის მკურნალობის, პროფილაქტიკის, მხარდაჭერისა და მომსახურების 2006—2010 წლების სტრატეგიული გეგმა.

დღეისათვის მიღებული შიდსის ვირუსის საწინააღმდეგო თერაპია საშუალებას იძლევა მაქსიმალურად შემცირდეს ვირუსის კონცენტრაცია სისხლში, გახანგრძლივდეს და გაუმჯობესდეს პაციენტის სიცოცხლის ხარისხი.

**— რას ურჩევთ ახალგაზრდებს?**

— მოერიდონ შემთხვევით სქესობრივ კავშირებს, უკიდურეს შემთხვევაში კონდომით დაიცვან თავი და საერთოდ, ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდიონ. მინდა ვურჩიო ყველას, ვისაც ჰქონია ხშირი დაუცველი სქესობრივი კონტაქტი, არის ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი, აქვს B და C ჰეპატიტი და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები და შიდსისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები (გახანგრძლივებული მაღალი ტემპერატურა, ფაღარათი, ღამის ოფლიანობა, ლიმფური კვანძების გადიდება, სხვადასხვა სახის გამონაყარი ლორწოვანსა და კანზე, წონის მკვეთრი დაკლებაძ უნდა გამოიკვლიოს თავი აივ ინფექციაზე. ზოგჯერ ისეც ხდება. პაციენტი მოივლის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებს და ჩვენთან უკვე გართულებული მდგომარეობაში მყოფი მოდის...

მთავარი მაინც ის არის, რომ არ გავრიყოთ ინფიცირებულები, ისინი დამნაშავენი კი არა მსხვერპლნი არიან, მათ მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდებათ. ბევრი მათგანი ჩვენთან, ექიმებთან გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე საკუთარი ოჯახის წევრებთან (საზოგადოებაზე რომ აღარაფერი ვთქვათძ. როცა საზოგადოება მათ მდგომარეობას გაგებით მოეკიდება, გაცილებით ნაკლები იქნება მათგან დაინფიცირების რისკიც.

* * *

**დღეისათვის ჯერ არ არსებობს შიდსის სამკურნალო ვაქცინა და სხვა რადიკალური საშუალება. ამიტომ მასთან ბრძოლის ერთადერთი გზა მოსახლეობის ცოდნის დონის ამაღლება და უწინარესად კი ამ დაავადების პროფილაქტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა, ვინაიდან შიდსი საყოველთაო პრობლემაა და იგი ყველას ემუქრება.**

**სპეცისლისტების თქმით საქართველოში ჯერ კიდევ არის შიდსის ეპიდემიის თავიდან აცილების შესაძლებლობა, რისი მიღწევაც სახელმწიფოსა და თითოეული ადამიანის მოწადინებით არის შესაძლებელი.**

**ესაუბრა**
**ბელა დურგლიშვილი.**

## ◎ ინფორმაცია

### ჯარისკაცები სამშობლოში დაბრუნდნენ

**თბილისში ერაყში სამშვიდობო მისიით მყოფი თავდაცვის სამინისტროს მე-2 ქვეითი ბრიგადის 22-ე ბატალიონის 100-მდე ჯარისკაცი ჩამოვიდა.**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ ჯარისკაცთა დარჩენილი ნაწილი საქართველოში 25-26 სექტემბრისთვის დაბრუნდება. მათ შესაცვლელად კი ერაყში თავდაცვის სამინისტროს ბათუმის ცალკეული ქვეითი ბატალიონის ნაწილი გაემგზავრა.**

**როტაციის პროცესი 2 კვირის განმავლობაში გაგრძელდება.**

### ხელით ნახატი რუკები

**დედაქალაქის მერია უახლოეს პერიოდში დედაქალაქის ქუჩებში დადგამს სპეციალურ ლაით-ბოქსებს, სადაც ხელით ნახატი რუკები განთავსდება. ამის შესახებ თბილისი მერიის ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელმა ზვიად არჩვაძემ განაცხადა.**

**მისივე თქმით, ლაით-ბოქსების დადგმის ადგილებს თბილისის სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახური შეარჩევს, ხოლო ღონისძიებისთვის საჭირო თანხებს თი-ბი-სი ბანკი გაიღებს.**

**არჩვაძის განცხადებით, ლაით-ბოქსების მეორე მხარე დაეთმობა რეკლამას, რომელსაც თი-ბი-სი ბანკი განათავსებს.**

**„გარკვეული პერიოდის შემდეგ ლაით-ბოქსები თბილისის მერიის მფლობელობაში გადავა და იქ განთავსებული რეკლამები დედაქალაქის ბიუჯეტს დამატებით შემოსავალს მოუტანს. ლაით-ბოქსების დადგმა სავარაუდოდ ოქტომბრიდან დაიწყება“, — განაცხადა არჩვაძემ.**

**ХИ-ЭЙЧ-ЭНИ.** 

### სასამართლომ გადაწყვეტილება არ შეცვალა

**ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გუშინ ძალაში დატოვა ჭიათურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და საარჩევნო რეგისტრაციიდან ჭიათურაში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი რობერტ ცერცვაძე მოხსნა. იგი ჭიათურაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კენჭს საინიციატივო ჯგუფის სახელით იყრიდა. ჭიათურის №56 საოლქო საარჩევნო კომისიამ იმ მიზეზით, რომ ცერცვაძეს არ გააჩნია საარჩევნო კამპანიის ფონდის საბანკო ანგარიში, 18 სექტემბერს არჩევნებიდან მოხსნა.**

**ინტერპრესნიუსი**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# სახელმწიფო სათათბიროში ამხილეს დასავლეთის გეგმები რუსეთის წინააღმდეგ

**21 სექტემბერს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს დაურიგეს საიდუმლო მოხსენება, რომელიც ორმა რუსმა ექსპერტმა მოამზადა. ესენი არიან ვალენტინ ფალინი — ყოფილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი და სსრ კავშირის ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გენადი ევსტაფიევი — გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, საგარეო დაზვერვის სამსახურის ყოფილი თანამშრომელი. მოხსენების ავტორებმა სცადეს გაეცათ პასუხი შემდეგი კითხვისთვის: „რას უნდა ელოდოს რუსეთი დასავლეთისგან 2008 წლისთვის?“ თუ ავტორებს ვერწმუნებით — კარგს არაფერს.**

**სპეციალისტთა აზრით, შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები მოსკოვის წინააღმდეგ შემდეგ ხრიკებს ამზადებენ:**

1. ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების და ძალოვანთა საერთაშორისო-სამართლებრივი იზოლაცია. კორუფციული მაკომპრომენტირებელი მასალების საჯაროდ გამოქვეყნება.

2. ნატოში საქართველოს და უკრაინის დაჩქარებული მიღება.

3. არჩევნების დროს „ნარინჯისფერი სცენარის“ გამოყენება. ამ შემთხვევაში დასავლეთი არ სცნობს ხალხის ნება-სურვილს, დაინიშნება ხელახალი არჩევნები დასავლეთისთვის ხელსაყრელი დეპუტატის საბოლოო გამარჯვებამდე. „რუსი იუშჩენკოს“ როლისთვის ამზადებენ კასიანოვს.

4. სოციალური პროტესტის გამოყენება. გამღიზიანებლების როლს შეასრულებენ რუსეთის ბანკები, რომლებიც შეიძლება დაარწმუნონ (ან აიძულონ) ფიზიკური პირების ანაბრების გაყინვის აუცილებლობაში. დასავლეთი კი, თავის მხრივ, გაყინავს სახელმწიფო ანაბრებს საზღვარგარეთის ბანკებში.

5. მასობრივი ინფორმაციის ალტერნატიული საშუალებების, მაგალითად, საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნა. „თავიანთი“ მასმედიის და დასავლელი ექსპერტების საშუალებით — კრემლის პოლიტიკის საბოტაჟი.



6. სეპარატიზმის მხარდაჭერა რუსეთის ფედერაციაში — მუშაობა კომის და კარელიის, თათრეთის, ბაშკირეთის, ყალმუხეთის რესპუბლიკებთან, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან.

7. მოლაპარაკება მსხვილ რუს ბიზნესმენებთან იმ მიზნით, რომ მათ გააქტიურონ ოპოზიციის მხარდაჭერა. ამჟამინდელი ხელისუფლების ოპოზიციის როლისთვის ტრადიციულად შერჩეულია კასპაროვ-ბელიხ-კასიანოვის ტრიო. მაგრამ ამის პარალელურად, დასავლეთი დაიწყებს მუშაობას მემარცხენე პოლიტიკოსებთანაც, მაგალითად, როგოზინთან.

იმავე მოხსენებაში დაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ აპირებენ გამოუთხარონ ძირი რუსეთის ფედერაციის მთავრობის გეზს, რომელიც მიზნად ისახავს „ენერგეტიკული ზესახელმწიფოს“ შექმნას. მეთოდი მარტივია: ენერგორესურსების დასავლეთის ალტერნატიული მომწოდებლები ეცდებიან ნებისმიერ ფასად ჩაიგდონ ხელში ჩვენი მილსადენები. და მაშინ რუსეთი დაკარგავს საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის სამ უკანასკნელ იარაღსაც — ნავთობის, ელექტროენერგიისა და გაზის მიწოდებაზე კონტროლს.

სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების საბჭოს წევრს **ნიკოლოზ კურიანოვიჩს** მიაჩნია, რომ მოხსენების ავტორები ახლოს დგანან ჭეშმარიტებასთან.

**— თუ დასავლეთი გვლანძღავს და გვაშინებს, მაშასადამე, ჩვენთვის ყველაფერი კარგად ყოფილა! — დარწმუნებულია იგი.**

### პოლიტოლოგის აზრი

**სერგეი მაკაროვი, პოლიტიკური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი:**

**— დარწმუნებული ვარ, რომ ეს სცენარი განხორციელდება. გეგმა ასეთია: დაელოდონ მონეტიზაციის ტიპის კიდევ რამდენიმე კანონის მიღებას და გამოიწვიონ მასობრივი უწესრიგობები, მღელვარება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს პოლიტიკური ხელისუფლების ინსტიტუტის კრიზისი. გარდა ამისა, გეგმა ითვალისწინებს მემარცხენე პოლიტიკოსის დაფინანსებას. ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის, რაც თავის დროზე უკვე წამოსცდა ბერეზოვსკის, ემზადება კასიანოვიც.**

**მაგრამ, არა მგონია, ამ სცენარის განხორციელებაში მთავარი როლი ამერიკელებს ენიჭებოდეთ. ისინი, ალბათ, უფრო მოკავშირეებად მოგვევლინებიან. რეალურად კი ამ სცენარს ამზადებენ შერისხული ოლიგარქები, ისეთები, როგორებიც არიან ბერეზოვსკი და ნევზლინი.**

**დიმიტრი სტეშინი**

**КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА**

**22 სექტემბერი.**

**სურათზე: მოხსენების ავტორებს მიაჩნიათ, რომ სწორედ ეს ხელები ცდილობენ რუსეთის დახრჩობას.**

# ნატო და საქართველო ინტენსიურ დიალოგზე გადადიან

**ნიუ-იორკში გამართული ნატოს წევრი-ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების მეთაურთა მინისტერიალის შედეგების მიხედვით, დადებითად გადაწყდა ნატოსთან ინტენსიურ დიალოგზე საქართველოს გადასვლის საკითხი. ამ გადაწყვეტილების განმარტებისას, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყნის გადასვლა ნატოსთან ინტენსიური დიალოგის ფაზაში არის „სერიოზული წინსვლა უკეთესობისკენ“.**

„ინტენსიურ დიალოგზე გადასვლა ნიშნავს, რომ შეუქცევადი ხასიათი მიეცემა ნატოში საქართველოს შესვლის პროცესს. მე დავპირდი ჩემს ხალხს, რომ არ გადავუხვევდით ნატოსკენ მიმავალი გზიდან. ახლა ჩვენ მივაღწიეთ ამ პროცესის იმ ეტაპს, რომელიც შეუქცევადი ხდება, და ნატოს წევრმა ევროპის ყველა ქვეყანამ და შეერთებულმა შტატებმა უკვე კარგა ხნის წინათ განაცხადეს, რომ საქართველო მტკიცედ მიიწევს ნატოსკენ. ამას წინ უძღვოდა დიდი დიპლომატიური კონსულტაციები. ჩვენ უნდა გავხდეთ უშიშროების ამ მნიშვნელოვანი სისტემის ნაწილი, ვიყოთ ჩრდილოატლანტიკური სივრცის ღირსეული პარტნიორები, ვიზრუნოთ ჩვენს უშიშროებაზე, რეგიონში მშვიდობასა და განვითარებაზე. და ამ საქმეში ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველასთან. ახლა საქართველოს მეტად, ვიდრე ოდესმე, სჭირდება ერთიანობა, სტაბილიზაცია, სიმშვიდე. არ უნდა ავყვეთ სხვადასხვა პროვოკაციებს და მაშინ მივაღწევთ დასახულ მიზნებს. ჩვენი მიზანი კი ყველასათვის ნათელია — უშიშროების, ჩვენი განვითარების, ჩვენი ევროპული მომავლის მტკიცე გარანტიების უზრუნველყოფა. ჩემი აზრით, ამ მიზნების მიღწევის გზაზე ნატოს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა და ქართველ ხალხს ეს ჩინებულად აქვს შეგნებული“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

**REGNUM**

# საქართველოს მოწოდებას გამოეხმაურა

**ნატოს წევრი-ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ნიუ-იორკში გამართულ თათბირზე „დაადასტურეს გადაწყვეტილება საქართველოსთან დიალოგის გააქტიურების შესახებ“. ეს ქვეყანა, როგორც ცნობილია, ესწრაფვის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას, ასეთი განცხადება გააკეთა შეხვედრის დასრულების შემდეგ ნატოს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა.**

მან დაადასტურა, რომ ორგანიზაციის მომავალ სამიტზე, რომელიც ნოემბრის დამლევს გაიმართება რიგაში, ახალი წევრების მიღების საკითხი არ გადაწყდება. სამიტის დროს იმ ქვეყნებს, რომლებსაც სურთ ნატოსთან შეერთება, მიეცემათ „პოზიტიური სიგნალი“ ამის თაობაზე.

**„ეს, კერძოდ, ნიშნავს, რომ ნატომ და საქართველომ ძალზე მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ, — განმარტა ნატოს გენერალურმა მდივანმა. — ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილი ამ ქვეყნებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს“.**

იააპ დე ჰოოპ სხეფერმა განაცხადა, რომ ნატო **„პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“** და აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ **„აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები მოგვარდეს მშვიდობიანი გზით“.**



**ИЗВЕСТИЯ**

**22 სექტემბერი.**

# გამორიცხული არ არის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი მარტ ლაარი არ გამორიცხავენ, რომ ახლო მომავლისთვის საქართველოში შეიძლება აშენდეს ატომური ელექტროსადგური, იტყობინებოდა ტელეკომპანია „იმედი“. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მათ ასეთი პოზიცია დააფიქსირეს ბერლინის ფორუმზე, როცა გასცეს პასუხი ქვეყნის ენერგოუშიშროების უზრუნველყოფის კონტექსტით საქართველოში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვას. ამ ფორუმის ორგანიზატორია გერმანიის საგარეო პოლიტიკის საზოგადოება.**

საქართველოში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე თავისი მოსაზრების განმარტებისას, მარტ ლაარმა განაცხადა, რომ „ასეთი შესაძლებლობის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ უნდა გადავწყვიტოთ ნამდვილად დაგვჭირდება თუ არა ეს. უნდა განვიხილოთ, სად შეიძლება ატომური ელექტროსადგურის აშენება. გარდა ამისა, ეს საკითხი უნდა გამოვიტანოთ საზოგადოების განსახილველად, რადგან ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა და ამის გაკეთებას მარტო პრეზიდენტი ვერ შეძლებს“.

„ატომური ენერგიის გამოყენება მშვიდობიანი მიზნებით აბსოლუტურად ნორმალურია ყველა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის და ეს არსად არ ბადებს რაიმე განსაკუთრებულ კითხვებს. კითხვები ჩნდება მაშინ, როცა საერთაშორისო გაერთიანებას ეპარება ეჭვი — ნამდვილად იქნება თუ არა ეს ენერგია გამოყენებული მშვიდობიანი მიზნებისთვის. ეს ძალზე სერიოზული პრობლემაა. ახლა ამაზე აქტიურად და სერიოზულად ლაპარაკი რთულია, რადგან ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასააზრებელი. მაგრამ ვერაფერს უჩვეულოს ვერ ვხედავ იმაში, რომ ჩვენ შეგვიძლია ავამოქმედოთ საქართველოში ატომური ელექტროსადგური, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ამისთვის გვექნება შესაბამისი შესაძლებლობები და სრული გარანტიები სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით“, — განაცხადა თავის მხრივ პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ.

**REGNUM**

**22 სექტემბერი.**

2-195

# განჩინება

## გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

19 სექტემბერი 2006 წელი | ქ. კასპი

**კასპის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ მალხაზ ენუქიძემ ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ გაკოტრების დროებითი მმართველის გიორგი მერებაშვილის განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე.**

### სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ვიხელმძღვანელე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-6[1], მე-7, მე-8, მე-11, მე-12, მე-15 და 31-ე მუხლებით.

### დაადგინე:

1. გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ მიმართ.

2. აეკრძალოს „შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკას“ თავისი ქონების განკარგვა.

3. შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ გაკოტრების მმართველად დაინიშნოს გიორგი მერებაშვილი, დაბადებული 1966 წელს, მცხოვრები კასპის რაიონის სოფელ მეტეხში, პროფესიით აგროინჟინერი, განემარტოს გაკოტრების მმართველს თავისი უფლებები და მოვალეობები, მისი სახელფასო ანაზღაურება განისაზღვროს კრედიტორთა კრებაზე.

4. დაევალოს საწარმოს ყველა კრედიტორს 2006 წლის 9 ოქტომბრამდე (9 ოქტომბრის ჩათვლით) წარმოუდგინოს კასპის რაიონულ სასამართლოს თავიანთი მოვალეობები შესაბამის ვალუტაში, აგრეთვე წარედგინოს სასამართლოს ყველა ის საბუთი, რაც ადასტურებს მათ მიმართ შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ ვალის არსებობას, ეცნობოს საწარმოს ყველა კრედიტორს, რომ ამ ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილეობა მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

5. შეჩერებული იქნას შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ მიმართ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალას კარგავს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებით აღსრულების ღონისძიებებით, იძულებითი საალსრულებო წარმოება გადაეცეს გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის განჩინების გამოქვეყნების შემდეგ ვალაუვალი მოვალის მიმართ ვალდებულებების შესრულება ბათილია, თუ შემდეგ შევა გაკოტრების მასაში.

6. დაევალოს ყველა იმ პირს, რომელსაც შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება მოთხოვნა წააყენოს ვადაში, განუცხადონ საწარმოს გაკოტრების მმართველს ამ უფლების შესახებ.

7. აეკრძალოს ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია საწარმოს მიმართ რაიმე ვალდებულების შესრულებაზე, ამ ნივთის დაბრუნება მოახდინოს მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ.

8. შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის“ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის დროდ განისაზღვროს 2006 წლის 19 აგვისტოს 15 საათი.

9. კრედიტორთა პირველი კრება მოწვეული იქნას 2006 წლის 10 ოქტომბერს 12 საათზე, კასპის რაიონული სასამართლოს შენობაში, მდებარე ქალაქ კასპში, სტალინის ქ. № 124-ში.

10. განჩინების შესახებ ეცნობოს ყველა იმ ბანკს, რომელსაც შპს „მირიანის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკასთან“ აქვს საქმიანი ურთიერთობა.

11. განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდეს პრესის მეშვეობით ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, ინფორმაცია გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ განთავსდეს სასამართლოს დაფაზე.

განჩინება გაეგზავნოს მარეგისტრირებელ ორგანოებს, საჯარო ან სამეწარმეო რეესტრში შესატანად.

12. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა გამოცხადებიდან 12 დღის ვადაში კასპის რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

**მოსამართლე მ. ენუქიძე**



# პალესტინის ახალი მთავრობა ისრაელს ცნობს და ქაღალდობაზე ხელს აილებს

**გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე გამოსვლისას პალესტინის ავტონომიის მეთაურმა მაჰმუდ აბასმა განაცხადა, რომ პალესტინის ეროვნული ერთობის ნებისმიერი ახალი მთავრობა ცნობს ისრაელის, როგორც სახელმწიფოს არსებობის უფლებას და ხელს აიღებს ძალადობაზე.**

როგორც აბასმა აღნიშნა, ახალი კაბინეტი დაიცავს ურთიერთცნობის შესახებ იმ ისტორიულ მორიგებებს, რომლებსაც ხელი მოაწერეს 1993 წელს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა იცხაკ რაბინმა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მეთაურმა იასირ არაფატმა. ეს დოკუმენტები ითვალისწინებენ უარის თქმას ძალადობაზე, მოლაპარაკების პროცესის გაგრძელებას და პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას.

ასეთ მოთხოვნებს უყენებს მხარეებს ეგრეთ წოდებული „საერთაშორისო შუამავალთა კვარტეტიც", რომელიც ახლა ცდილობს ახლო აღმოსავლეთში განაახლოს სამშვიდობო პროცესი. მანამდე კი, როგორც ცნობილია, ისრაელის ყოფილმა ვიცე-პრემიერ-მინისტრმა შიმონ პერესმა აღნიშნა, რომ მთავრობის მეთაური ეჰუდ ოლმერტი არ შეხვდება მაჰმუდ აბასს მანამ, სანამ „ჰამასი" არ ცნობს ისრაელს და არ გაათავისუფლებს ღაზის სექტორში მძევლად აყვანილ ჯარისკაცს ჰილად შალითს.

აბასმა ასევე თქვა, რომ მომავალი მოლაპარაკება ისრაელთან გაიმართება პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ეგიდით, რომელსაც იგი უდგას სათავეში.

ამჟამად პალესტინის ადმინისტრაციის მეთაური აწარმოებს ერთიანი ეროვნული მთავრობის შექმნის შესახებ მოლაპარაკებას „ჰამასის" ლიდერებთან. ამ მთავრობამ უნდა შეცვალოს „ერთპარტიული" მინისტრთა კაბინეტი, რომელიც „ჰამასმა" შექმნა მიმდინარე წლის დამდეგს, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ. როგორც ცნობილია, აქამდე „ჰამასი" უარყოფდა ისრაელის, როგორც სახელმწიფოს აღიარების და ცეცხლის შეწყვეტის ნებისმიერ შესაძლებლობას.

ამავე დროს, „ჰამასმა" არ დაუჭირა მხარი მაჰმუდ აბასს. პალესტინის პრემიერის ისმაილ ჰანიას მრჩეველმა აჰმედ იასეფმა პაარასკევს განაცხადა, რომ „ჰამასი" არ მიიღებს მონაწილეობას „ჰათჰთან" ერთად კოალიციური მთავრობის შექმნაში, თუ ამისთვის აუცილებელი იქნება ისრაელის, როგორც სახელმწიფოს ცნობა, იტყობინება „ასოშიეიტედ პრესი".

ფინანსურმა ბოიკოტმა, რომელიც „ჰამასის" მთავრობას გამოუცხადეს ევროკავშირმა და შეერთებულმა შტატებმა, გამოიწვია ეკონომიკური ვითარების მკვეთრი გაუარესება მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირსა და ღაზის სექტორში.

სერიოზული საერთაშორისო ზემოქმედების შედეგად, „ჰამასის" დაჯგუფება იძულებული გახდა დათანხმებოდა ძალაუფლების ნაწილის გადაცემას მაჰმუდ აბასის „ჰათჰის" მოძრაობისთვის. 13 სექტემბერს პალესტინის მთავრობის ყველა მინისტრმა მოიხსნა უფლებამოსილება, რითაც გადაიდგა პირველი ნაბიჯი ეროვნული ერთობის მთავრობის ჩამოყალიბების გზაზე. პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ამის შემდეგ დასავლეთი განაახლებს ფინანსურ დახმარებას.

ამავე დროს, გაეროს უშიშროების საბჭომ გამართა სხდომა, რომელზეც განიხილეს ისრაელსა და პალესტინელებს შორის უშუალო მოლაპარაკების გამართვის საკითხი.

უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა არაბული სახელმწიფოების ლიგის ინიციატივით. ამ ლიგის წევრი-სახელმწიფოების სახელით გამოსვლისას, ბაჰრეინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰალიდ ბინ აჰმედ ბინ მოჰამედ ალ-ჰალიფამ აღნიშნა, რომ „არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი ძალზე სერიოზულ და საშიშ სიტუაციას ქმნის, რომელიც ახდენს გავლენას არა მარტო ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე, არამედ მთელ მსოფლიოზეც". მისი აზრით, დადგა სამშვიდობო პროცესის განახლების დრო, რომელიც უნდა დაეფუძნოს „საგზაო რუკას" და გაეროს მიერ მიღებულ რეზოლუციათა შესრულებას.

საბჭოს წევრი-ქვეყნების წარმომადგენელთა გარდა სხდომაზე გამოვიდნენ ისრაელის, ყატარის, დანიის, განისა და პერუს წარმომადგენლები.

# ჯორჯ ბუშმა მხოლოდ სამ ნომინაციაში გაიმარჯვა

**კანადაში გაიმართა „სისულელის მსოფლიო პრემიის" გამარჯვებულთა დაჯილდოება.**

ამ ჯილდოს უკვე მეოთხეჯერ გადასცემენ, მაგრამ, დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, დაჯილდოვებულთაგან საზეიმო ცერემონიაზე არავინ გამოცხადებულა. 2006 წლის პრიოზერთა რიცხვში კიდევ ერთხელ მოხვდნენ შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, მისი მოადგილე დიკ ჩეინი და მთელი რიგი სხვა მოღვაწე, რომელთა მოქმედება და გამონათქვამები, მეტი რომ არ ვთქვათ, არ მიიჩნიეს ჭკვიანურად.

აღსანიშნავია, რომ ჯორჯ ბუში წარდგენილი იყო „სულ" სამ ნომინაციაში – კონკურსის ორგანიზატორებმა სპეციალურად შემოიღეს ასეთი შეზღუდვა, რათა შეერთებული შტატების პრეზიდენტს ერთბაშად ყველა პრიზი არ მოეპოვებინა.

2006 წელს პრემია დაწესდა 10 ნომინაციაში. „წლის ყველაზე ჩლუნგი ადამიანის" ტიტულზე პრეტენზიას აცხადებდნენ, კერძოდ, შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი, ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ ახმადინეჯადი და მოსამართლე დონალდ ტომპსონი, რომელმაც გაიმარჯვა კიდეც. ეს ადამიანი ცნობილია იმით, რომ სასამართლო სხდომების დროს დანიშნულებისამებრ იყენებდა სექსუალურ აქსესუარს – პენისის ზომის გადიდებისთვის გათვალისწინებულ სპეციალურ ტუმბოს.

„წლის ყველაზე ბრიყვული გამონათქვამისთვის" დაწესებული პრემია გადაეცა ადვოკატ ჰარი უიტინგტონს. ნადირობის დროს სწორედ მას მოარტყა შემთხვევით ტყვია შეერთებული შტატების ადმინისტრაციულ იერარქიაში მეორე კაცმა – დიკ ჩეინიმ. საქმე ის არის, რომ დაჭრილმა ადვოკატმა ბოდიში მოუხადა ჩეინის ოჯახს „მის მიერ მიყენებული უსიამოვნებისთვის". სწორედ ეს ფრაზა აღიარეს 2006 წლის ყველაზე სულელურ გამონათქვამად.

„წლის ყველაზე იდიოტურ მოქმედებად" მიიჩნიეს თვით დიკ ჩეინის ნადირობა, რომლის დროსაც მან დაჭრა თავისი მეგობარი – ადვოკატი ჰარი უიტინგტონი. ამ ფაქტმა კონკურსში დაჩრდილა თვით ზინედინ ზიდანის საქციელი ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელმაც შეგნებულად ჩაარტყა თავი იტალიელ მცველს, რის გამოც იგი მოედნიდან გააძევეს და საფრანგეთის ნაკრები დამარცხდა ფინალურ მატჩში. გარდა ამისა, დიკ ჩეინიმ ამ ნომინაციაში აჯობა დანიის გაზეთ Jullands-Posten-ის რედაქტორებს, რომლებმაც დაბეჭდეს წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურები, და იმ მუსლიმანებსაც, რომლებმაც მასობრივი საპროტესტო აქციები გამართეს ამ სურათების გამოქვეყნების გამო.




„ადამიანი, რომელმაც იდიოტური სიტუაცია კიდევ უფრო იდიოტური გახადა" – ამ ნომინაციაში პრემია მოიპოვა შეერთებული შტატების მცხოვრებმა ნიკ ფლინმა, რომელსაც მუზეუმში ყოფნის დროს ფეხი დაუცდა და წაქცევისას გატეხა ცინის დინასტიის დროინდელი სამი ლარნაკი. ამის მიუხედავად ფლინს აზრადაც არ მოსვლია ბოდიში მოეხადა. ამ მოუხეშელმა ამერიკელმა გააკრიტიკა მუზეუმის ხელმძღვანელობა ექსპონატთა დაცვის არასრულყოფილი სისტემის გამო.

„დაკავებულ თანამდებობასთან ყველაზე იდიოტური შეუთავსებლობისათვის" პრემია მოიპოვა ჯორჯ ბუშმა. მან ოდნავ გაუსწრო სენატორ ჰილარი კლინტონს, მომღერალ მაიკლ ჯექსონს, ირანის პრეზიდენტს მაჰმუდ აჰმადინეჯადს და მსახიობ ტომ კრუზს.

„წლის ყველაზე სულელური ფილმის" პრემია მოიპოვა სურათმა „ძირითადი ინსტინქტი-2", რომელმაც პრველობა ჩამოართვა „და ვინჩის კოდს" და ისეთ შედევრს, როგორიც არის „ჰოსტელი".

„მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებისთვის დაწესებული პრიზი, რომელმაც ყველაზე მეტად შეუწყო ხელი უვიცობის დამკვიდრებას", მოიპოვა Fox News ტელეარხმა.

„დედამიწაზე ყოველივე ცოცხალის მიმართ ყველაზე ბრიყვული მუქარისათვის" პრემია 2006 წელს მოიპოვა ნავთობის მრეწველობამ. მისი მეტოქეები იყვნენ ჩრდილოეთ კორეის და ისრაელის მთავრობები, „ჰამასი", აგრეთვე ირანის ისლამური რესპუბლიკა.



„წლის განმავლობაში ჯორჯ ბუშის ყველაზე ბრიყვული გამონათქვამისათვის" დაწესებული სპეციალური პრიზი, რა თქმა უნდა, თვით ჯორჯ ბუშმა მოიპოვა. მან ასეთი რამ თქვა: „ბრაუნი, თქვენ უამრავი რამ გაქვთ გასაკეთებელი, ხომ ხედავთ, ყველაფერს ცეცხლი უკიდია!". შეერთებული შტატების პრეზიდენტი მიმართავდა არა ვინმე ბრაუნის, არამედ საგანგებო სიტუაციათა ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელს მაიკლ ბრაიანს, როცა საქმე ეხებოდა ქარიშხლების დამანგრეველი შედეგების ლიკვიდაციას.

„2006 წლის ყველაზე სულელური ტენდენცია" გახდა მოწოდება „დახოცეთ ადამიანები ნებისმიერი ღმერთის სახელით!". ხოლო პრიზი იმ სისულელისთვის, რომელიც „უკვე მრავალი წელია გრძელდება" მოიპოვა მთელმა რეგიონმა – ახლო აღმოსავლეთმა.


## განცხადება

### მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტი აგრძელებს საშემოდგომო მიღებას მაგისტრატურაში

2006/2007 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებსა და მიმართულებებზე:

- **ჟურნალისტიკა (პრესა, რადიო-ტელევიზია);**
- **სარეჟისორო ხელოვნება;**
- **საზოგადოებასთან ურთიერთობები;**
- **მედიცინა და საზოგადოებასთან ურთიერთობები;**
- **პოლიტოლოგია-კონფლიქტოლოგია;**
- **სამართალმცოდნეობა;**
- **საკონსულო სამართალი;**
- **ქართულ-ევროპული ფილოლოგია (ქართული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენები და ლიტერატურა);**
- **ტურიზმი;**
- **ეკოლოგია;**
- **ეკონომიკური ურთიერთობები;**
- **საერთაშორისო ურთიერთობები და ევროინტეგრაცია;**
- **საერთაშორისო კომუნიკაციები.**

სასწავლო პროგრამები აგებულია ინტეგრირებული სწავლების მეთოდებზე, ინსტიტუტში დანერგილია შემოქმედებითი სახელოსნოს მუშაობის პრინციპები.

სწავლა შესაძლებელია როგორც ერთ, ისე ორ სპეციალობაზე.

მაგისტრატურაში დაიშვება ყველა ლიცენზირებული უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლები;
2. 4 ფოტოსურათი;
3. პირადობის მოწმობის ასლი;
4. ავტობიოგრაფია (CV)

**მიღების წესი:**

მსურველების მიღება ხდება რეიტინგული სისტემით, რომელიც წარმოადგენს ქვემოთ ჩამოთვლილი სამგვარი ცოდნის შეფასების ქულათა ჯამს.

1. ტესტი სპეციალობაში, რომლითაც მოწმდება ზოგადი და თეორიული ცოდნა, ტესტი მოიცავს მცირე (200-300 სიტყვა) ესეს (წერის კულტურისა და აზრის გამართულად გადმოცემის შემოწმების მიზნით);
2. გასაუბრება (ინტერვიუ – კომუნიკაციური უნარებისა და აზრის არგუმენტაციის შემოწმებისათვის);
3. ტესტი უცხო ენაში.

**განცხადებები მიიღება 2 ოქტომბრამდე ყოველდღე, 11-დან 17 სთ-მდე მისამართზე: თაბუკაშვილის 3ა. ტელ: 92-24-41, 92-25-41, 36-64-96, 99-56-65, 899 22-62-62.**

E-mail:info@maski.edu.ge
W-Site: www.maski@edu.ge

## ვახტანგ ახვლედიანი

### ბანანი

**2001 წლის სექტემბრის ერთ ბათუმურად თბილ და წყნარ დღეს ქალაქის ჯანმრთელობის სისტემას კიდევ ერთი დაწესებულება შეემატა, – გაიხსნა თმის გადანერგვის ცენტრი.**

პრეზენტაცია „ა-ლა ფურშეტით“ მიდიოდა. ჩემს ზურგს უკან ახალგაზრდა ექთნების ჯგუფი იდგა, ასე, 17-18 წლის გოგონები. ყველა გასათხოვარი და ძალიან ლამაზი. მაგიდიდან ბანანი ავიღე და გოგონებს მივუბრუნდი.

– ისეთი თვალხატულები და კარგები ხართ, თქვენისთანა ასულების ნებისმიერ ოჯახში შესვლა ნამდვილი ზეიმი იქნება. რასაც გეტყვით, იუმორი არ გეგონოთ, სრული სიმართლეა. მე ახლა შევბრუნდები და ამ ბანანს მხარსზემოდან გადმოვისვრი თქვენკენ. ვინც მას დაიჭერს, ორიოდ თვეში გათხოვდება. მზადა ხართ? – ვეკითხები.

– მზადა ვართ! – მპასუხობენ.

– ეერთი, ოო-რი, საააა-მი! – ვითვლი და მხარსზემოდან ვისვრი ბანანს.

– დავიჭირე! – ყვირის ერთი სახეატკარცალებული გოგონა.

ტაშმა იქუხა.

მე იმ გოგონას მომავალი ბედნიერების სადღეგრძელო ვთქვი.

მცირე დრო გავიდა იმ შემთხვევის შემდეგ,

ქუჩაში მომავალს, ქალ-ვაჟი მაჩერებს.

– ვერ მიცანით? – მეკითხება გოგონა.

– მაპატიეთ, ვერა, – ვპასუხობ.

– გახსოვთ, ამ ორიოდ თვის წინათ, თმის გადანერგვის ცენტრის გახსნაზე...

– ბანანი?!

– დიახ. ეს რამდენიმე დღეა, ვიქორწინეთ, – ამბობს გოგონა. – ეს კი ჩემი მეუღლეა. ლამაზები იყვნენ ძალიან და ბედნიერები.

კარგი ხილია ბანანი.

# ციკლიდან „ცაში გაფრენილი ბილიკები“

### ეშმაკის ბორბალი

**იური ცანავა ცნობილი მსახიობი, ეროვნული სულისკვეთებით მდიდარი პიროვნება და მეგობარია.**

იგი ჭეშმარიტად სახალხოა ქართული არტისტულობით, განუმეორებელი ხმით, თავმდაბლობით, წრფელობით, ლიტერატურისა და ხელოვნების ღრმა ცოდნით.

ქართული ხალხური და კლასიკური პოეზიის ხეპირი ანთოლოგიაა.

უყვარს ბათუმს.

ზღვისპირა პარკის ბილიკებზე ვხვდებით ერთმანეთს ყოველ დილით. სიარულითა და მსუბუქი წავარჯიშებებით ვებრძვით სიბერეს ჩვენებურად, თან ვსაუბრობთ მოძალებულ ჭირსა და ვარამზე.

ერთხელაც ვხედავთ, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ, რომელიც სწორუპოვარი რუსთველის სახელს ატარებს, მუშები მიწას თხრიან.

დავინტერესდით.

ახალგაზრდა კაცს (ჩანდა, ამათი უფროსი იყო. დღეს ყველგან ესენი უფროსობენძ, ვეკითხები:

– აქ რა უნდა აშენდეს, ყმაწვილო?

– ეშმაკის ბორბალი. სიმაღლე სამოცი მეტრი და სამოცდაათი სანტიმეტრი.

იური გაკვირვებას ვერ ფარავს:

– ვააა, ხედავ, ვახტანგ?!

– აბა! ეს იქნება ყველაზე დიდი ეშმაკის ბორბალი ევროპაში! – ამაყად აგრძელებს ყმაწვილი კაცი.

– უნივერსიტეტის წინ, შვილო?!

– იური ცანავას თვალები სადაცაა შუბლზე აუსახლდება, ხუმრობთ თუ მართალს ამბობსთ?

– ეს თქვენ ხუმრობით, ჩვენ კი საქმეს ვაკეთებთ! – ხმამაღალი ნიშნისმოგებით გვესიტყვება თინეიჯერიუფროსი და მოშორებით გაჩერებულ ლიმუზინიდან გამოსულ ზემდგომი თინეიჯერის შესახვედრად მიდის.

– ეეჰ, მთელს ქვეყანაში განა ერთი დიდი ეშმაკის ბორბალი არ ტრიალებს? – ამბობს ორმოცდაათის გადაცილებული ტანხმელი მუშა და ძალაყინს გამალებით უხათქუნებს მიწას.

გზას ვაგრძელებთ. იური ვერ მშვიდდება.

– ეს რა ხდება, რა უბედურება გვჭირს, კაცო... ეშმაკის ბორბალს უნივერსიტეტის წინ რა უნდა, – იძახის დროდადრო.

– მალე პირიქით იტყვის ეს ხელისუფლება, – მცირე პაუზის შემდეგ ვამბობ მე.

– კი, იტყვის. აბა, არ იტყვის?..– ანგარიშმიუცემლად მეთანხმება, – რას იტყვის? – მეკითხება უცებ.

– ეშმაკის ბორბლის წინ უნივერსიტეტს რა უნდაო.

### ახლა ამასაც უცხო ენაზე წერენ...

**ახლანდელ ხელისუფლებას ხალხზე ზრუნვა უნდა დავუფასოთ. მთლად უმადურობაც არ ვარგა.**

ბათუმის პარკებსა და სკვერებში ისეთი ძელსკამები დადგეს, თვალებსაც უხარია და სხეულსაც.

ჰოდა, იმატა პარკებში ახალგაზრდობის ნაკადმა.

საღამოს, მაგალითად, თავისუფალ სკამს ვერსად ნახავ.

სხედან ერთმანეთს ჩახვეულ-ჩაფსკვნილი წყვილები.

– ასე მგონია, სულსაც არ ითქვამენ ეს დალოცვილები, – ამბობს დუგლას ზამთარაძე, ბათუმში ცნობილი არქიტექტორი, მხატვარი და ფილოსოფოსი თამადა. რაც მთავარია, ჩემი დიდი მეგობარი.

– არც მთლად მასე უნდა იყოს საქმე, – ვპასუხობ და ძელსკამზე დანით ამოტვიფრულ წარწერაზე ვანიშნებ: – Lasha+Nata=Sex?.

ნამდვილად შესვენების დროს დაუწერიათ, – მეთანხმება დუგლასი.

### აკაკის პოეზიის საღამოზე

**ამ ცოტა ხნის წინათ აჭარის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში აკაკი წერეთლის დაბადების 166-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.**

აქ ტრადიციად მოსდგამთ, ლიტერატურულ საღამოებს მაღალი ეროვნული სულისკვეთებით აწყობენ. დიდი აკაკის დღეებს მაინც განსაკუთრებულ ელფერს აძლევენ იმიტომ, რომ წიგნის ეს ტაძარი, დაარსებიდან, „საქართველოს ბულბულის“ სახელს ატარებს.

მწერლებმა, მუსიკოსებმა, მხატვრებმა, სტუდენტებმა, მოსწავლეებმა... მოვიყარეთ თავი. დარბაზში თავისუფალი ადგილი არ იყო.

როგორ მოგვენატრებია ჭეშმარიტი პოეზიის საღამოები.

უცებ გადაგვავიწყდა ყველა პრობლემა და გასაჭირი. აკაკის პოეზიის სამყაროში გადავსახლდით დიდიცა და პატარაც.

– ტელევიზია სად არის? – იკითხა ვიღაცამ.

მივიხედ-მოვიხედეთ...

– მართლაცდა, სად არის. ამაზე უკეთესს რას გადაიღებენ და აჩვენებენ.

– ადრე ასეთი რამ რომ მომხდარიყო...

– გავაფრთხილეთ, მაგრამ არ მოვიდნენ, – პასუხობს მადონა ბოლქვაძე, ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი, ყველა აქაური ღონისძიების სულისჩამდგმელი და წამყვანი.

ამ ფაქტმა სინამდვილეში დაგვაბრუნა...

სხვათა შორის:

აჭარის ტელევიზიას პოეტი ხელმძღვანელობს.

### პრეზიდენტაცია

**– ვხედავ, მალე პრეზიდენტაცია გვექნება, – ვეუბნები მშვენიერ კაფეს ნაცნობ მეპატრონეს.**

– პრეზიდენტაცია რატომ? – მეკითხება.

– შენ რა, პრეზიდენტის გარეშე გინდა გახსნა კაფე?

### ხალხი რას იტყვის...

**აკაკი ზოიძე ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში მუშაობს. დახვეწილი პიროვნება, ეროვნული სულისკვეთებით დამუხტული პედაგოგი და მეცნიერია.**

ერთ დღეს შეწუხებული სახით მხვდება.

– ბატონო ვახტანგ, ინსტიტუტს გვიუქმებენ, რა გვეშველება?!

– გეშველებათ, – ვპასუხობ მცირე პაუზის შემდეგ, – ეგ კი არა, კარგადაც დაგაფინანსებენ.

– სერიოზულად მეუბნებით მაგას!

– სრულიად სერიოზულად, ჩემო აკაკი. ვისი სახელობისაა თქვენი ინსტიტუტი?

– იაკობ გოგებაშვილის.

– არ ვარგა. სასწრაფოდ დაარქვით – ჯორჯ სოროსის სახელობის ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი.

– მერე... ხალხი რას იტყვის?...

– დასოროსირებულაო. სამაგიეროდ, ხელისუფლებისაგან პატივიც გექნებათ, კარგი ხელფასებიც და... ინსტიტუტიც გადარჩება.

### პასტელი სალომესაც ჰქონია

**ჩემი ნახატების გამოფენაა ბათუმის ხელოვანთა სახლის დარბაზში.**

ერთ-ერთ სურათზე შიშველი ქალის ფიგურაა. ნახატი ზეთოვანი პასტელითაა შესრულებული.

ფრიად რესპექტაბელური ახალგაზრდა ქალბატონი ნახატს უახლოვდება და ყურადღებით ათვალიერებს. მხრებს იჩეჩავს და ამბობს, – ჰმ! –თან თავს აკანტურებს. მგონი, საღებავი აინტერესებს.

– იცით... ეს პასტელში დავხატე, – ვუხსნი.

ქალი შეცბა. მწყრალად გამომხედა და მესროლა:

– მე არ მიკითხავს, სად ნებივრობდით მასთან, პასტელში თუ ბუნებაში!.. – უცებ შებრუნდა და მხარსზემოდან მომიგდო: – არც მაინტერესებს! – და პაკიპუკით დატოვა დარბაზი.

## ჯემალ ჩახავა

### მეგობარ პოეტს

75 წლის ჯანსუღ ჩარკვიანს

შენ შემოდგომის თბილისი გიყვარს
განათებული კაფე-ბარებით,
შუა ქალაქში დადიხარ დიდხანს
და აღარავის არ ეკარები.
შენ სიმარტოვის მეწყვილე გახდი,
ღიღინებ ჩუმად მკირფას არიას
და პოეზიის ლამაზი ტახტი
რომ გელოდება, ის გიხარია.
ჰე, ჩემო ძმაო, მე ვიცი ისიც
ვერ გიხილავენ დარდით დატორილს,
დღეს პოეზიას არა ჰყავს მეფე,
შენა ხარ ლექსის იმპერატორი.
და იმკი რითმებს ზეცის ყანაში,
ვერ დაგამხობენ ასე ჟინიანს,
კვლავ ხარხარებენ მტრების ბანაკში,
მაგრამ შენ მათი არ გეშინია.
სხვისი სიმდიდრე აღარ გახელებს
გზა, გზა მიეცით ამ კაცს ჩარჩებმა,
ის იკრავს გულში მკირფას სახელებს
ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად.

### არვინ მინდიხართ

მე რომ თქვენნაირად მქონდეს საქმე
ამ წუთისოფელში აწყობილი,
არავის არ მოგაკლდებოდათ
ლუდი, ხორცი, ღვინო, კარტოფილი.

დადიხართ ბიჭები გაფხორილი,
ჩემი აღარავის აღარ გესმით,
ალბათ სასაცილოდ მიგაჩნიათ
ფიქრში გაწურული ჩემი ლექსიც.

თქვენთვის არ არსებობს საქართველო,
თქვენთვის არ არსებობს ერი, ბერი,
ვაშა, თქვენ, ახალო ქართველებო,
თქვენთვის სულ ერთია ყველაფერი.

### საქართველოს არაფერი უჭირს

საქართველოს არაფერი უჭირს,
რა ძლიერი საყვარელი ერი ვართ,
მოედნებზე ცარიელი კუჭით
ძველ სიმღერებს მტრის ჯინაზე ვმღერივართ.
სიმღერები კი გვაქვს მართლაც ზღაპრული,
ღვინის წურვაც რა ლამაზად ვიცით,
რა კარგია ჩვენი ცეკვა ქართული,
ქართველები ყველაფრისთვის ვიცლით.
წინ მრავალი სიხარული მოჩანს,
ვეფერებით ამ მიწას და ამ ცას,
და შრიალებს ხუთჯვრიანი დროშა,
მაგრამ ღმერთი აღარავის არ გვწამს.

### გაუმარჯოს!

მზე ისევ მისებურად ამოდის
ვუმზერ მთვარეს სავსეს, ხანაც ნამგალას,
სიყვარულზე ლექსი აღარ გამომდის,
ხვალინდელზე ფიქრმა ძლიერ დამღალა.
სანთლებს ვანთებ,
თაფლის სანთლებს „სიონში“,
ვენაცვალე ჩემს მშობლიურ სახატეს,
მალე წავალ, ძმებო, საიქიოში,
მეყო, რაიც გეფერეთ და რაც გხატეთ.
ვარ პოეტი მე, დღეს პატივაყრილი,
იქნებ, ჩემსკენ მოგაბრუნოთ ამ ლექსით,
ვუმღერ, ისევ ჯოგის ერთგულ მაღლივით,
მაგრამ თქვენ ხომ არაფერი არ გესმით.
აფრიალებთ დროშებს, ფერად-ფერადებს,
აჩახჩახებთ სკვერებსა და მოედნებს.
გაუმარჯოს თქვენს უნიჭო ბელადებს,
გაუმარჯოს ჩემს ნიჭიერ პოეტებს.

### ძმას

შენ ერთი ცოდვა ჩაიდინე,
და თავს იგი არ აპატიე,
წუხელ დარდისაგან გავიყინე,
ღამე შენზე ფიქრში გავათიე.
შენ ღვთის სიყვარულის გქონდა ნიჭი,
მე კი ცოდვებისგან დავიღალე...
რა ვქნა, უშენობა ძლიერ მიჭირს,
გევედრები, შენთან წამიყვანე.
ცხოვრება ჩემი უიამეთი
და გზა სიკეთისა აღარა ჩანს,
სხეულში ჩამისახლდა „დიაბეტი“,
აქ მე არაფერი აღარ დამრჩა.
სული ვერ ავანთე სანთელივით
ეშმაკის ბორბალი მელანდება...
ბრძოლისგან დაღლილი ქართველივით
ციური ცხოვრება მენატრება.
შენ ერთი ცოდვა ჩაიდინე,
და თავს იგი არ აპატიე,
წუხელ დარდისაგან გავიყინე,
ღამე შენზე ფიქრში გავათიე.

### თხოვნა

შემქმნელო ჯვრიდან შენ ჩამოსვლა
და არ ინებე.
მარადიულად სამყაროზე
რადგან იმეფებ —
შენი იმედით ვცხოვრობთ ისევ
შენი იმედით,
მაინც გვმფარველობ, და არ გახსოვს,
რომ გაგიმეტეთ.
ჰოი, უფალო, შეიწყნარე
ჩვენი ვედრება.
შენს ჩრდილში ყოფნას
და სიყვარულს რა შეედრება.
ვლოცულობთ და გთხოვთ პატიებას,
ალვავ რჩეულო.
დიდო მომღვარო მამის ნებით
სისხლდანთხეულო.
გაქებ, გადიდებ შენ, უფალო,
ჩემი ბოდვებით...
ვარ ავსებული ტკივილებით,
დიდი ცოდვებით.
გთხოვ, შეაყენო საქართველო
უფლის შარაზე.
ურწმუნოთათვის ღია კარი
მაგრად ჩარაზე.
მაგრამ რას ვამბობ,
მაპატიე, ჩემო უფალო,
მიწიერი ვარ და ვაზროვნებ
ასე უბრალოდ.
ყოველთვის გვაკლდა ჩვენ, ქართველებს,
ნიჭი მიხვედრის,
ვიცი, რომ გიყვარს მიწა შენი
დედის წილხვედრი.
წუხელ სიზმარში მე ვიხილე
შენი ნათელი,
შენი იმედით ცხოვრობს ჩემი
ხალხი ქართველი.

ჩოგბურთი

## დაგვრჩა მინიმალური შანსი

**გუშინ ბუდაპეშტის „რომაი ტენის აკადემიის“ კორტებზე დაიწყო დევისის თასის გათამაშების ევრო-აფრიკული ზონის მეორე დივიზიონის ნახევარფინალური მატჩი უნგრეთისა და საქართველოს ვაჟთა ნაკრებებს შორის, რომლის გამარჯვებულიც გაისად ელიტურ „ა“ ჯგუფში აღზევდება.**

ინდივიდუალური საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ჯვაროსნებს“ — ირაკლი ლაბაძესა (166-ეძ და ლადო ჩიხლაძეს (466-ეძ არ უნდა გასჭირვებოდათ, შესაბამისად, სებო კიშისა (820-ეძ და კორნელ ბარდოჩკის (550-ეძ დამარცხება, მაგრამ ჩვენი ჩოგბურთელების ბოლოდროინდელმა ტრავმებმა მასპინძელთა შანსები საგრძნობლად გაზარდა. მათაც ჩინებულად გამოიყენეს ბოძებული შესაძლებლობა და ერთეულთა თანრიგის სასტარტო შეხვედრების შემდეგ სოლიდური უპირატესობით დაწინაურდნენ — 2:0.

**გაუწყებთ გუშინდელი ორთაბრძოლების ტექნიკურ შედეგებს:**

***კიში — ლაბაძე 3:1 (6:1, 6:3, 2:6, 6:4ძ.***

***ბარდოჩკი — ჩიხლაძე 3:1 (6:4, 6:7, 6:1, 6:2ძ.***

დღეს ერთმანეთის პირისპირ მეტოქეთა წყვილები დადგებიან. ჩვენს გუნდს საბოლოო წარმატების მოსაპოვებლად მხოლოდ მოგება აწყობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხვალისთვის დანიშნული ერთეულთა დასკვნითი პაექრობები აზრს დაკარგავს და მხოლოდ ფორმალობად იქცევა.

ექსტრიმი

## დაამგემოვნეთ უცხო ხილი

**4-8 ოქტომბერს ქართლის ველი ჰაერნაოსნობაში ქვეყნის პირველ ღია ჩემპიონატს უმასპინძლებს, რომლის ორგანიზატორებიც არიან სპორტის ამ სახეობის ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი რევაზ უთურგაური), მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, ტურიზმის დეპარტამენტი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.**

ღონისძიება 4 ოქტომბერს 16 საათზე საზეიმოდ გაიხსნება მცხეთის ცენტრალურ მოედანზე. ცერემონიის ფარგლებში გაიმართება ფოლკლორული კონცერტი, მონაწილეთა და საჰაერო ბურთების აღლუმი. ასპარეზობისთვის თვალყურის დევნების საშუალება გულშემატკივრებს წეროვანის, გოროვანისა და ჩარდახის მთის ფერდობიდან მიეცემათ დილის 7-10 და საღამოს 16-19 საათამდე პერიოდში.

როგორც გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში მოწვეულ პრესკონფერენციაზე შევიტყვეთ, საპრიზო ადგილებთან ერთად გათამაშდება ქართველი მეღვინეებისა და მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის თასები, აგრეთვე მოეწყობა შავი ზღვის რეგიონული თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი (დანარჩენი ეტაპები რუსეთში, უკრაინასა და ბულგარეთშია დანიშნული, პერსპექტივაში კი თურქეთიც მოიაზრებაძ.

აღსანიშნავია, რომ ინიციატორებმა თავგადასავლების მაძიებელთა ინტერესიც გაითვალისწინეს და საზეიმო გახსნის ცერემონიის მსვლელობისას გაათამაშებენ ლატარიას, რომლის სამი გამარჯვებული დაჯილდოვდება პრიზით — საჰაერო ბურთით გაფრენა ერთ-ერთი გუნდის შემადგენლობაში.

დავძენთ, რომ შეჯიბრებაში (ბიუჯეტი-60 ათასი დოლარიძ საქართველოს, ინგლისის, იაპონიის, ჩეხეთის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, უკრაინისა და რუსეთის 14 ნაკრები ცდის ძალებს. მონაწილეთაგან ყველაზე ტიტულოვანია მსოფლიოს 86(!ძ-გზის რეკორდსმენი, ბრიტანელი ფილ დარლინგტონი.



**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

ორბიტაზეა

## შვეიცარიელის ოქრო



**შვეიცარიელმა ველომრბოლმა ფაბიან კანჩელარამ ზალცბურგში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ჩემპიონობა მოიპოვა დროის მიხედვით ინდივიდუალურ რბოლაში. მან 50,83 კილომეტრი 1 საათსა და 11 წამში გაიქროლა.**

ადრე ფაბიანმა უკვე გაიმარჯვა დანაწევრებულ რბოლაში ისეთ პრესტიჟულ ველორბოლაში, როგორიც „ტურ დე ფრანსია“. მან 1998 და 1999 წლებში მსოფლიოს ჩემპიონის ბრწყინვალე მაისურის ჩაზომებაც მოასწრო ჭაბუკთა კატეგორიაში, ხოლო 2000 წელს ვერცხლის მედალი მოიხვეჭა მსოფლიო პირველობაზე ამავე დისციპლინაში 23 წლამდე ასაკის ველოსიპედისტთა შორის.

## იტალიელი ფეხბურთელის ბრაზილიელი სატრფო

**ცნობილი იტალიელი ფეხბურთელის ნიკოლა ვენტოლას, ახლა „ატალანტას“ შემადგენლობაში რომ თამაშობს, ახალი სატრფო — სიმპათიური მოდელი კარტიკა ლუიეტი ბრაზილიის მოქალაქეა, თუმცა დედა ინდონეზიელი ჰყავს, მამა კი — შვეიცარიელი, ისინი კარგა ხანს ცხოვრობდნენ რიო-დე-ჟანეიროში და ქალიშვილსაც ამ ქვეყნის ქვეშევრდომობა მისცეს.**

პირველად ნიკოლა და კარტიკა 2002 წელს ჟენევის აეროპორტში შეხვდნენ, გაიცნეს და დაახლოვდნენ კიდეც. მაგრამ ბედმა ისინი მალე დააშორა ერთმანეთს.

შემდეგ ლუიეტი ცოლად გაჰყვა არქიტექტორ ჯანლუკა ჩერუტის, თუმცა მათი ცოლ-ქმრობა მხოლოდ ორ წელიწადს გაგრძელდა. ახლახან კი მოდელი და ფეხბურთელი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ერთად იყვნენ რომანტიულ მოგზაურობაში და, როგორც ამბობენ, ძალზე ბედნიერებიც არიან.

ალბათ ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გაცნობებთ, რომ ფეხბურთში იტალიის ჩემპიონატის მესამე ტურში „ატალანტა“ — „ემპოლის“ შეხვედრაში 84 წუთზე ვენტოლამ ვერ შეძლო პენალტის გატანა, რითაც მეექვსე ადგილზე მყოფ საკუთარ გუნდს ორი ქულა დააკარგვინა — 0:0.



ფეხბურთი

## პიკის ტური

**XVIII ეროვნული ჩემპიონატის VII ტური პრინციპული მატჩებითაა დახუნძლული. მართლაც, მიდი და იმარჩიელე, როგორ განვითარდება მოვლენები ბოლნისში, ზესტაფონსა და რუსთავში, სადაც ერთმანეთს „სიონი“-„ამერი“, „ზესტაფონი“ — „დინამო“ და „ოლიმპი“-„ვიტ ჯორჯია“ შეებმებიან — დაგვეთანხმებით, ამის განჭვრეტა ურთულესი საქმეა.**



მოგეხსენებათ, განვლილი სეზონის ლაურეატებმა — ჩემპიონმა და თასის მფლობელმა XVIII ეროვნული ჩემპიონატი სხვადასხვანაირად დაიწყეს — თუ გლდანელები უდანაკარგოდ ლიდერობენ გათამაშებას, მასპინძლები სადღაც ცხრილის შუაგულში ტკეპნიან ადგილს და, თანაც, დისკვალიფიცირებული თავკაცის — კახა ცხადაძის გარეშე უწევთ თამაში, ეს კი დღევანდელ დუელს ინტრიგას მატებს. ასე რომ, საინტერესოა, შეფერხდება გიორგი ჩიხრაძის გუნდი?

არანაკლებ მძაფრი ბრძოლაა მოსალოდნელი ქართული ფეროს სამშობლოში, სადაც სტუმართა ახალ ჩეხ მწვრთნელს დუშან უგრინს თავისი ახალგაზრდა შეგირდებით პირველი სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს. სხვათა შორის, თბილისელებს ამ დღეებში შარშანდელი უბედური შემთხვევის გამო სასჯელმოხდილი დავით ოდიკაძე დაუბრუნდათ, თუმცა საეჭვოა იგი გარკვეული დროის განმავლობაში მინდორზე ვიხილოთ. რაც შეეხება თემურ მახარაძის გუნდს, რომელიც კლუბის მესვეურებმა მესამედ (!ძ მიიწვიეს მდგომარეობის გამოსასწორებლად, მას ავადმყოფობის გამო გიორგი განუგრავა დააკლდება.

ზემოთ შემთხვევით არ გვიხსენებია რუსთავში დანიშნული შეხვედრა, სადაც ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი შეეცდება სეზონის აღმოჩენის — „ოლიმპის“ მეკარე ალავიძის მშრალი სერია შეწყვიტოს — მას ჯერ გოლი არ გაუშვია.

**დღესვე 16 საათზე ითამაშებენ:** „ტორპედო“ — „ბორჯომი“, „კახეთი“ — „დილა“, „ლოკომოტივი“ — „ბათუმი“ და „მერანი“ — „ჩიხურა“.

ფარიკაობა

## ქართველთა ნადავლი

**სამი მედლით დაბრუნდნენ ქართველი მუშკეტერები სტამბოლიდან, სადაც თურქ, ბულგარელ, რუმინელ, ირანელ, სომეხ და აზერბაიჯანელ მოფარიკავეებთან ერთად საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ.**



მეორე ადგილი ნატო კობიაშვილმა (რაპირაძ დაიკავა, მესამე პრიზიორები კი ქეთევან სილაგაძე (დაშნაძ და დავით მთვარელიძე (ხმალიძ გახდნენ.

30 სექტემბერს იტალიის ქალაქ ტურინში მსოფლიო ჩემპიონატი იწყება, სადაც „ჯვაროსნები“ ასეთი შემადგენლობით იასპარეზებენ (ქალები უფულობის გამო ვერ მიემგზავრებიანძ: ირაკლი ზამბახიძე, კახა მაღრაძე, ნიკა და ზურაბ ბახსოლიანები (ხმალიძ; დავით არველაძე, ანზორ ალბრეხტი და დავით ელბაქიძე (დაშნაძ.

ჭადრაკი

## იქ, სადაც [illegible]



**ნინო ხურციძის ჯილდოების მდიდარ კოლექციას „სეგედის თასიც“ შეემატა.** უნგრეთში დასრულებულ ამ ქვეყნის ღია ჩემპიონატში ქართველმა დიდოსტატმა 7,5 ქულა მოაგროვა და ისეთ აღიარებულ მოჭადრაკეებს გაუსწრო, როგორიც მასპინძელი ილდიკო მადლი, სლოვაკი რეგინა პოკორნა, სლოვენიელი ანა მუზიჩუკი და რუმინელი დები ფოიშორები არიან.

კალათბურთი

## ამერიკელები შეაჩერეს!

**რუსეთელმა კალათბურთელმა ქალებმა ხუთშაბათს ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გამარჯვებით შეაჩერეს 1994 წლიდან მსოფლიო ჩემპიონატებზე ამერიკელთა დაუმარცხებელი წინსვლა.** ამ ხნის მანძილზე აშშ კალათბურთელმა ქალებმა ზედიზედ 26 გამარჯვება მოიპოვეს — ორჯერ გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები (ფინალში ორჯერვე რუსები დაჯაბნესძ და სამჯერ — ოლიმპიური ჩემპიონები.



ამჯერად რუსეთელმა კალათბურთელებმა შეძლეს რევანშის აღება — 75:68. ისინი კვირას ფინალში შეხვდებიან ავსტრალიის ნაკრებს. მესამე ადგილისთვის კი იბრძოლებენ ამერიკელები და მასპინძელი ბრაზილიელები.

ძიუდო

## პუტინი-ევროპის მთავარი ძიუდოისტი



**რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სპორტით, განსაკუთრებით კი ძიუდოთი გატაცება საყოველთაოდაა ცნობილი. სწორედ ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ შარშან ძიუდოს ევროპის კავშირის წევრებმა მას სთხოვეს — ეკისრა მათი საპატიო პრეზიდენტობა. შავი სარტყელისა და მერვე დანის მფლობელი პუტინიც დათანხმდა.**

ახლა კი თავიანთი საჭირბოროტო პრობლემების გადასაწყვეტად სოჭში, სანატორიუმ „რუსში“ შეიკრიბნენ. იქ ჩავიდნენ აფრიკისა და აზიის მთავარი ძიუდოისტებიც, რომლებმაც თავიანთ გაჭირვებულ მდგომარეობაზე ილაპარაკეს და დახმარების პირობაც მიიღეს.

როგორც ჩანს, პუტინი შეურიგდა საპატიო პრეზიდენტის როლს და შეუდგა მოვალეობის შესრულებას. თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ სპორტში მას ბევრი მეგობარი ჰყავს. მან იმედი გამოთქვა, რომ სოჭში შეკრებილი ძიუდოისტები პროპაგანდას გაუწევენ ამ ქალაქს, როგორც 2012 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატს.

**სურათზე: პუტინი ტატამზე.**

ვარსკვლავები

## ფული მომჭირნეობით ვხარჯოთ!



**— უთხრა თავის ულამაზეს ცოლს მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა, ამჟამად მადრიდის „რეალის“ ინგლისელმა ნახევარმცველმა დევიდ ბექჰემმა. როგორც ჩანს, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ოჯახის თავკაცმა გადაწყვიტა მომავლისთვის ფულის დაზოგვა.**

„ძვირფასო, შენ ძალიან ბევრ ფულს ხარჯავ!“ — დაამუხრუჭა ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა თავისი ცოლის ხელგაშლილობა და მისწრაფება ძვირფასი შენაძენებისადმი. „ის უამრავ კოსტიუმს, სხვადასხვა აქსესუარს იძენს, მხოლოდ საფულეებზე დიდძალ ფულს ხარჯავს, თანაც ვიქტორია მარწმუნებს, რომ ისინი არც თუ ძვირი ღირს“, — დაიწუწუნა ბექჰემმა.

„ნამდვილად რომ გითხრათ, მეშინია, ფული არ გაგვითავდეს, — ვითომ იხუმრა დევიდმა, — თუმცა მომავალში ამდენს აღარ დავხარჯავთ!“

თქვენთვის, ცნობისმოყვარეებო!

# ვარსკვლავები და პოლიტიკოსები



**თუ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს დავუჯერებთ „ასტროლოგია ცრუ მეცნიერებაა ვარსკვლავთა განლაგების მიხედვით ბედის წინასწარმეტყველების შესახებ — ვარსკვლავთმისნობა“.**

**თავად ვარსკვლავთმისნები კი ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ მათი მეცნიერება სერიოზულია, ხოლო მათი წინასწარმეტყველება — ზუსტი.**

**შეიძლება თუ არა, დავუჯეროთ ასტროლოგებს? ეს კითხვა ბუნებრივად იბადება, როდესაც ჟურნალ-გაზეთებში თუ ტელევიზიაში უამრავ ჰოროსკოპს ვხედავთ. ეს თავად ინდივიდუალურ პიროვნებაზეა დამოკიდებული და გადამწყვეტი სიტყვაც მათთვის მიგვინდია. ჩვენ კი იმაზე მოგითხრობთ, სჯეროდათ თუ არა ვარსკვლავთმისნობისა გამოჩენილ პოლიტიკოსებს.**



ადოლფ ჰიტლერმა ასტროლოგია მას შემდეგ ირწმუნა, რაც 1923 წელს არ დაუჯერა ასტროლოგ ვალტერ სომოტენდორფის რჩევას, რომ არაფერი წამოეწყო იმ წლის ნოემბერში. ის კი ადგა და მიუნხენის პუტჩი მოაწყო, რის შემდეგ ციხეში მოხვდა. ამის შემდეგ ჰიტლერმა გადაწყვიტა, აღარ გაერისკა და ორიენტირება აეღო არა მარტო თავის გააზრებაზე. არამედ ასტროლოგებზეც.



პირველი საბჭოთა დიპლომირებული ასტროლოგი იყო სერგეი ალექსის ძე ვრონსკი. ის იყო გერმანიის იმ საიდუმლო ბიორადიოლოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, რომელიც იყო ჰიტლერის პატრონაჟის ქვეშ. თუ ის როგორ მოხვდა ამ ინსტიტუტში, უცნობია. მაგრამ სწავლა რომ დაამთავრა, სტალინის ბრძანებით რუსეთში დაბრუნდა და ხალხთა ბელადის ფარული ასტროლოგი გახდა. თუმცა დაპატიმრებას და გადასახლებას მაინც ვერ გადაურჩა.



„თეთრი სახლის“ შტურმი 1991 წლის აგვისტოში და ელცინის გამარჯვება ნაწინასწარმეტყველი იყო ჯერ კიდევ 1990 წლის მაისში ლონდონში, საერთაშორისო ასტროლოგიურ ფორუმზე და ელცინს სამოქმედოდ გაეგზავნა დაწვრილებითი სახელმძღვანელო. ვარსკვლავთმისნების კარნახის გარეშე როდი გაიმარჯვა ელცინმა არჩევნებზეც. პრეზიდენტი ხშირად ასტროლოგების რჩევით ცვლიდა უკვე დანიშნულ და პრესაში გამოცხადებულ შეხვედრებს. ასევე ცნობილია, რომ ელცინის ოპერაციების დღეებს ნიშნავდა მისი პირადი ასტროლოგი გიორგი რაგოზინი, ყოფილი სუკის გენერალი.



იური ანდროპოვი და მიხეილ სუსლოვი რეგულარულად უკვეთდნენ ჰოროსკოპებს ლეონიდ ბრეჟნევისთვის.



საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანს ხუთი წლის მანძილზე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე კონსულტაციას უწევდა მისი პირადი ასტროლოგი ელისაბედ ტესიე. ის მონაწილეობდა აგრეთვე კადრების შერჩევაშიც.

ცნობილია, რომ ბილ კლინტონის ცოლი ხშირად იყენებდა ვარსკვლავთმისნების დახმარებას. ასტროლოგიური პროგნოზები დაეხმარა მის ქმარს წინასაარჩევნო კამპანიაში გამარჯვებაში.





რონალდ რეიგანმა 1980 წლის არჩევნებზე კარტერი დაამარცხა თავისი საკუთარი ასტროლოგის ჯოან კვინგლის წყალობით. ერთხელ ჯოანმა იწინასწარმეტყველა კიდევაც თავისი „კლიენტის“ სახიფათო დღე — 1981 წლის 30 მარტს ნამდვილად მოხდა პრეზიდენტზე თავდასხმა. კვინგლის გარდა, რეიგანის აპარატში მუშაობდა კიდევ ორი ასტროლოგი, რომლებთანაც კონსულტაციის გარეშე ის არც ერთ გადაწყვეტილებას არ ღებულობდა.



უცხოური პრესის მასალების მიხედვით მოამზადა
**ვალიკო სიმონიშვილმა**

იარაღი

# ტყვიები სპეცდანიშნულების რაზმისათვის

**ჩახმახის პაწაწინა ჩხაკუნი, რომელსაც ყველაზე ფხიზელი ადამიანიც ვერ გაიგებს და ნიშნობზე „ათიანი“ გახვრეტილია. არც ლულიდან გამოდის ალი, არც გასროლის ხმა ისმის — სწორედ ამგვარად მოქმედებს უახლესი ტექნოლოგიით შექმნილი პისტოლეტი ПСС . იგი რუსეთის შეიარაღებაში ყველაზე გასაიდუმლოებულ „ცხელ იარაღად“ ითვლება და დიდი პოპულარობით სარგებლობს უშიშროების ფედერალური სამსახურის, შინაგანი დაზვერვისა და განსაკუთრებულ საქმეთა სამსახურის თანამშრომლებში.** რუსეთის შეიარაღებას მართლაც საამაყოდ აქვს საქმე — უახლესი ПСС ტიპის პისტოლეტების გარდა, რომლებიც უნიკალურ ტყვიებს ისვრიან (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარიძ, მათ გააჩნიათ მსოფლიოში მართლაც განსაცვიფრებული წყალქვეშა ავტომატები და პისტოლეტები, გარდა ამისა, სპეცსამსახურებისათვის განკუთვნილი იარაღები, რომლებიც შესაძლოა თვითმფრინავებშიც გამოიყენოთ.



მოსკოვის მახლობლად მდებარეობს ქალაქი კლიმოვსკი. კლიმოვსკოელებს რომ ჰკითხოთ, პირველად კვერცხი გაჩნდა თუ ქათამიო — ირონიულად გიპასუხებენ — ტყვიებიო. რატომ? სწორედ აქ არის მსოფლიოში ახლა უკვე აღიარებული და ადრე გასაიდუმლოებული „კლიმოვსკის სპეციალიზირებული ვაზნების ქარხანა“ (КСПЗძ. სწორედ აქაური კონსტრუქტორები ქმნიან საბრძოლო იარაღების უნიკალურ ვაზნებს, რომელსაც მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვებათ. მხედველობაში არ მიიღება ლეგენდარული „კალაშნიკოვის“ ვაზნები, რომელსაც თითქმის ნახევარი საუკუნეა ამზადებენ.

КСПЗ რუსეთში მოქმედი ვაზნების დამამზადებელი ექვსი ქარხნიდან ერთ-ერთი უნიკალურია. სწორედ აქ მზადდება სპეცრაზმების შეიარაღებისთვის განკუთვნილი უხმო იარაღების, ჩუბინებისათვის (სნაიპერებისათვისძ განკუთვნილი შაშხანების, ავტომატ „ВАЛ“-ის, უნიკალური წყალქვეშა ავტომატებისა და პისტოლეტების, სპეცრაზმის ავტომატური სასროლი დანებიანი იარაღების ვაზნები, რომლებიც სხვათა შორის ძალიან გვანან მაჩვზლარბას ეკლებს (მათი სიგრძე 15 სანტიმეტრიაძ. ამგვარი ავტომატებით შესაძლოა, წყალქვეშ, წყლიდან და წყალში სროლაც.

ქარხანაში დამონტაჟებულია უახლესი როტორული ხაზები. ხაზის დასაწყისში ლითონისა და დენთის გროვაა, ბოლოში მზა პროდუქცია გამოდის. ქარხანა წუთში 280 ვაზნას, ხოლო თვეში... 30 სატვირთო ვაგონის ასავსებ ვაზნას უშვებს. მწარმოებლები მაინც უკმაყოფილონი არიან გასაღების ბაზრით. „საბჭოთა პერიოდში დღეში მილიონზე მეტ ვაზნას ვუშვებდით“, — დანანებით იხსენებს ქარხნის გენერალური დირექტორი ევგენი მანდრიკო.

„ვაზნები არც თუ ისე მარტივი კონსტრუქციისაა, — აღნიშნავს გენერალური დირექტორის მოადგილე უსაფრთხოების დარგში ვლადიმერ ფედოსეევი, — ეს ძირითადად ურთულესი საინჟინრო კონსტრუქციაა, სადაც უმცირესი დარღვევაც იწვევს მის არახარისხიანობას. ასეთ კურიოზსაც გავიხსენებდი. რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ფინანსურ გაჭირვებას (რა თქმა უნდა, წინა წლებთან შედარებითძ განვიცდიდით, ჩვენი ქარხნის რამდენიმე წამყვანი სპეციალისტი ისრაელში გადაბარგდა. თან უჩუმრად ПСС-ის რამდენიმე ვაზნაც „წაიყოლეს“. ებრაელებმა უცებ დაიწყეს ამგვარი ვაზნების წარმოებაში ჩაშვება, მაგრამ ნურას უკაცრავად — არაფერი გამოუვიდათ. ერთ დღესაც იქაური სპეციალისტები ჩამობრძანდნენ და დაინტერესდნენ, ჩვენთან წარმოებული ვაზნების ხარისხით და დამუშავების პროცესით. აქაც ვერაფერს გახდნენ. მათი ხელიდან, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი ტექნოლოგია არ დაურღვევიათ, საჭირო პროდუქცია ვერ მიიღეს“. „სპირტი თუ იხმარეთ?“ — ვეკითხები ერთ-ერთ იქაურ სპეციალისტს. „როგორ არა“, — მპასუხობს იგი, — ჩახმახს, პისტოლეტის ყველა ნაწილს, ვაზნებისათვის განკუთვნილ მასრებს სპირტით ვაპრიალებთ.“ „არა გცოდნიათ, სპირტი უნდა დალიოთ და შემდეგ იმუშაოთ“. — ვპასუხობ მე. ებრაელი სპეციალისტები თვალდაჭყეტილნი შემომყურებენ“.

„დღეში მხოლოდ 200 გრამი სპეციალური ასაფეთქებელი მასალა მზადდება, რომელსაც სპეციალურ შენობაში აწარმოებენ. იყო შემთხვევა, როდესაც რამდენიმე გრამი აგვიფეთქდა (ასაფეთქებელი მასალა, ვაზნებისთვის განკუთვნილი დენთი მცირე რყევისგანაც ფეთქდებაძ. ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე არც ერთი ფანჯრის მინა მთელი არ დარჩა.— იხსენებს ფედოსეევი. — სწორედ ამიტომაც სპეციალური შენობიდან ვაზნების დამამზადებელ საამქრომდე გადის პატარა „ბილიკი“, სადაც მომსახურე ქალბატონებს დიდი სიფრთხილით გადააქვთ დენთი. რატომ ქალბატონებს? (ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი საიდუმლოა და ამაზე არავინ ისაუბრებსძ. იმიტომ, რომ ქალებს დილით ნაბახუსევის გამო ხელები არ უკანკალებთ (ესეც ხუმრობაა, საიდუმლოს არგამჟღავნების გამო თქმულიძ.

კლიმოვსკის ქარხნის წარმოებულ იარაღებსა და საბრძოლო მასალებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დიდი მოთხოვნილება აქვს. მარტო შარშან ვენესუელამ ქარხნიდან 100 ათასი „კალაშნიკოვი“ შეიძინა (აქ წარმოებული იარაღები ძალზე წააგავს ლეგენდარულ „კალაშნიკოვს“ და ამიტომაც მისი სახელით მოიხსენიებენ).

წლეულს ქარხანამ დაიწყო სპეცრაზმებისა და კერძო პირებისათვის სპეციალური რეზინისტყვიებიანი პისტოლეტის „ხორხეს“ გამოშვება. უცხოელ სპეციალისტთა აზრით, ამგვარი იარაღის დამზადებას სამი წელი და ნახევარი მილიონი დოლარის დაბანდება სჭირდებოდა. რუსი სპეციალისტების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ეს ტექნოლოგია მათ ექვს თვეში აითვისეს და ახლა რუსი სპეცრაზმები (განსაკუთრებით ქვედანაყოფი „ალფა“ძ სწორედ ამ იარაღს ანიჭებენ უპირატესობას.


## სალიკვიდაციო განცხადება

**საპროექტო-საძიებო ინსტიტუტი შპს „საქრკინიგზაპროექტი“ აცხადებს ლიკვიდაციას.**

დაინტერესებულმა პირებმა მიმართონ ლიკვიდაციის განმხორციელებელ პირს **თენგიზ ჭკუასელს** მისამართზე: **ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15.**

ტ: 56-31-29, 899 58-82-19.

ლიკვიდატორი თ. ჭკუასელი

ჰიპოკრატეს კუთხე

# მაგრად დადექით, მამაკაცებო!

**50 წელს მიახლოებულ კაცობრიობის ძლიერ ნახევარს კრიტიკული პერიოდი უდგება... რა ხდება? რატომაა, რომ ხშირად, არცთუ ისე მოხუცი, ღონიერი მამაკაცები, რომლებიც სპორტსაც მისდევდნენ, ექიმებთან მაინცდამაინც არ დარბოდნენ, უცებ, რაღაც ერთ საათში მიდიან ამ ქვეყნიდან?**



### *სიტყვა პროფესორ მიხეილ ვინოგრადოვს:*

***– ყოველი მამაკაცის ცხოვრებაში არის სამი მთავარი კრიტიკული პერიოდი: 35 წელი, ასაკი 50-დან 55-მდე და 65 წლისთავი. ასეთი ციკლები დაკავშირებულია გარკვეულ დატვირთვებთან.***

*● ჰორმონული დატვირთვა. მამაკაცებს, ისევე როგორც ქალებს, დროდადრო „აჯანჯლარებთ“. მიგიქცევიათ ყურადღება, რომ სწორედ 35 წლის ასაკში (პლუს-მინუს 1 წელი) და 51-თან ახლოს ბევრი მამაკაცი ახალ ოჯახს მოეკიდება ხოლმე?*

*● სოციალური დატვირთვა. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა საჭიროა „ხის დარგვა–სახლის აშენება – ვაჟის გაზრდა“.*

*● ფსიქოლოგიური დატვირთვა. ნახევარსაუკუნიან იუბილესთან მიახლოებისას მამაკაცი უნებურად გადასინჯავს თავის ცხოვრებას, ერთგვარად აჯამებს კიდევაც. არცთუ იშვიათად ასეთ მდგომარეობას თან ერთვის გახანგრძლივებული სტრესები და დეპრესიაც კი.*

*● ალკოჰოლი. ხდება ხოლმე, რომ წლების კვალდაკვალ მეტად ეტანებიან სმას და უფრო მაგარ სასმელებსაც. ამას კიდევ მოწევას „უხამებენ“...*

**აწეული ქოლესტერინისაკენ მიმავალი გზაა.**

ბოლო წლებში მამაკაცთა ათეროსკლეროზი ძალიან გაახალგაზრდავდა – ცხოვრების ლამის ველური რიტმი, სტრესები, ქრონიკული დაღლილობა, დარღვეული რეჟიმი – ჩვენი მამაკაცები, უბრალოდ, გამოუძინებლები რჩებიან! ქოლესტერინი სისხლძარღვების კედლებზე ილექება და ელასტიურობას აკარგვინებს. წარმოიქმნება ბალთუნები. ამას ყველაფერს მოსდევს ინსულტი თუ ინფარქტი.

## „ვიაგრა“ ხომ არაა დამნაშავე?

**სტატისტიკის მიხედვით, მამაკაცთა 50 პროცენტი 40 წლის ზემოთ სიძნელეებს აწყდება ერექციასთან დაკავშირებით. არადა, ექიმთან მისვლის ნაცვლად, აფთიაქში არჩევენ საჭირო აბების ყიდვას. რა გასაკვირია, რომ რუსეთში „ვიაგრას“ მეორე ადგილი უკავია გაყიდვის მოცულობით – მხოლოდ ნო-შპა უსწრებს წინ.**



უნდა ვიცოდეთ, რომ „ვიაგრა“ და სხვა მსგავსი პრეპარატები სექსისაკენ ლტოლვას კი არ „ასტიმულირებენ“, არამედ მხოლოდ აუმჯობესებენ სისხლის მიწოლას მენჯისკენ; მარტივად თუ ვიტყვით, ვენებს აფართოებენ პენისზე. შესაბამისად, ასეთი აბის მიღებისას ვარდება საერთო წნევა, სისხლი მკვეთრად ჩადის „ქვემოთ“.

„ვიაგრა“ მხოლოდ ექიმმა უნდა დაგინიშნოთ და უკუჩვენებითია: გულის დაავადებებისას (იშემიური, ჰიპერტონია, ჰიპოტონია, რიტმის დარღვევები); ალკოჰოლის მიღებისას; ერითრომიცინსა და ციმეტიდინთან ერთად.

ამ პრეპარატის დალევამ ჯანმრთელებსაც შეიძლება გვერდითი ეფექტები შეჰყაროს: თავბრუს დახვევა, წრეები თვალების წინ და გულის წასვლაც კი.

**ცნობილი მამაკაცი მსახიობები, რომლებიც შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნისას აღესრულნენ:** ანდრეი მირონოვი (46 წლისა, თავის ტვინის სისხლძარღვთა ანევრიზმა); ანდრეი კრასკო (48 წლისა, გულის შეტევა); ნიკოლოზ ერიომენკო (52 წლისა, ინსულტი); ვასილი სოლომინი (60 წლისა, ინსულტი).

## რისგან მიდიან?



**მთავარი მიზეზია გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი: ინსულტი, ინფარქტი ან ალკოჰოლის უსაშველო მოხმარებით გამოწვეული სნეულებები. მნიშვნელოვანი დამატებითი ფაქტორი, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, კვების სპეციფიკაა. ჩვენ ხომ საკმაოდ ცხიმიანი საჭმელები გვიყვარს, ეს კი თრომბებისა და**

# წყალი — სასწაული

**ყოველდღიურად თითოეული ადამიანი 2-2,5 ლიტრზე ნაკლებ სუფთა წყალს არ უნდა სვამდეს. სწორედ წყალსა და არა სითხეს, როგორც ზოგიერთს ჰგონია. დიდი რაოდენობით ყავა ორგანიზმს აუწყლოებს, ისევე როგორც ხელოვნური გაზირებული სასმელები, კოფეინის შემცველნი, ანდა ალკოჰოლი.**



სუფთა წყალი ცხიმების დაწვაში გვეხმარება. აქვე სათქმელად, ბევრ წყალს როცა სვამთ, ტკბილეული ისე აღარ გიზიდავთ. წყალი, სხვათა შორის, მადასაც აქვეითებს. სუფთა წყლის მიღება კუჭ-ნაწლავის მუშაობის მოწესრიგების საუცხოო (და უწყინარი!) ხერხია, აღარც ათასგვარი აბი დაგჭირდებათ და შეკრულობებსაც აიცილებთ. სასურველია ყოველ დილას, საუზმის წინ, ორი ჭიქა წყლის დალევა.

მკვეთრად როცა წონის დაგდებას იწყებთ, ეს უმალვე აისახება... სახე ჩამომჭკნარი გიხდებათ, ამის ასარიდებლად ბევრი წყალი უნდა სვათ. წყალს კიდევ სხვა სასარგებლო თვისებებიც აქვს. მაგალითად, ფეხების კრუნჩხვა თუ დაგეწყოთ, ეს ხშირად ორგანიზმის გაუწყლოების უტყუარი ნიშანია. დაიწყეთ სუფთა წყლის მიღება და ყველაფერი გაივლის.

ამერიკელი ექიმი ფრედ ბათმან ჰელიჯი გვირჩევს დღეში **რვა ჭიქა** წყლის დალევას, რაც ბევრ ავადმყოფობას აგვაშორებს, იმათ რიცხვში – გასუქებასაც. ის ფიქრობს, რომ საუკეთესო ვარიანტია 30 გრამი სუფთა წყალი წონის 1 კილოგრამზე.

სახელგანთქმულნი

# ჯაშუში ქალი-ლეგენდა

**ახლახან 130 წელი შესრულდა იმ ქალის დაბადებიდან, ვისაც მსოფლიო მატა ჰარიდ იცნობს. მაინც ვინ იყო – ვერაგი ჯაშუში და ორმაგი აგენტი, თუ წარმატებული კურტიზანი? სერიოზული ისტორიკოსები დღემდე იქექებიან საარქივო მასალებში, რომ ის ერთხელ კიდევ დაადანაშაულონ ან საბოლოოდ გაამართლონ.**

ჰოლანდიის ერთ პროვინციაში, მექუდის ოჯახში დაბადებულს, მაშინ მარგარეტ ჰერტრუდა ზელე ერქვა. არცთუ ბედნიერი ბავშვობა, შოტლანდიელ ოფიცერზე უიღბლო გათხოვება, ჰოლანდიის ინდოეთში (ახლანდელი ინდონეზია) იმასთან ცხოვრება და სამშობლოში დაბრუნებისას – გაყრა...

იავასა და სუმატრაზე ნასწავლი აღმოსავლური ცეკვებითა და იავური სახელით „მატა ჰარი“ (თარგმანში „გარიჟრაჟის თვალი“), აგრეთვე შეთხზული იდუმალი ბიოგრაფიით ის პარიზში მიემგზავრება და იქაურ სალონებში შედის, ვითარცა ეგზოტიკური ცეკვების შემსრულებელი – გამოკვეთილი ეროტიკული ფლერით.



მატას დებიუტი 1905 წლის მარტში შედგა (28 წლის ასაკში), აღმოსავლური ხელოვნების მუზეუმში. მდიდრულ სამოსელში გამოწყობილმა იცეკვა და გამოსვლის ბოლოს ოდენ მარგალიტის ძაფები და მბრწყინავი ბრასლეტები დაიტოვა ტანზე. სტრიპტიზი იმ დროისათვის სიახლე გახლდათ და მალე მთელი პარიზი, მერე კი მადრიდი, ვენა, ბერლინი, მილანი და მონტეკარლო მიყოლებით გაწერთხნენ მატა ჰარის მშვენიერ ფეხებთან.

გამოდიოდა ყველაზე დიდებულ და მოდურ სალონებში და ერთხანს მსოფლიოში ლამის უმაღლესანაზღაურებიან მოცეკვავედ იქცა. მდიდარ საყვარლებს ხომ ვერც დაუთვლიდით – ხელთათმანებივით და უფრო ხშირადაც იცვლიდა. ამბობენ, რომ მატას ცხოვრებაში ყველაზე ვნებიან რომანად გამოჩნდა რუს კაპიტანთან ვადიმ მასლოვთან კავშირი, როცა ქალი 40 წლისა იყო, ვაჟი კი – 21-ისა...

ამასობაში მაყურებლები მიეჩვივნენ მოცეკვავის გაშიშვლებულ სხეულსა და აღმოსავლურ მითს და არაპროფესიონალიზმის შემჩნევაც დაუწყეს. თანაც მატა ჰარის მეტოქეებიც ამოიზარდნენ, რომელთაგან საკმარისია მოდ ალენისა და აისედორა დუნკანის (სერგეი ესენინის მუზა!) დასახელება.

მალე პირველი მსოფლიო ომიც დაიწყო. ქალს უყვარდა ფული, ფუფუნებით ცხოვრება და, რა თქმა უნდა, მამაკაცები, რომელთაც მისი უზრუნველყოფა შეეძლოთ. საკუთარი სურვილით იყო თუ შემთხვევის ნებით, ეშმაკური გათვლითა თუ ამჩატებით, ფულის გულისთვის თუ თავგადასავალთა მაძიებლობით, მაგრამ ჩაება კი სასტიკ პოლიტიკურ თამაშებში.

1917 წლის 13 თებერვალს მატა ჰარი დააპატიმრეს ელისეს მინდვრებზე მდებარე ოტელის მდიდრულ ნომერში, ბრალად შპიონაჟი და მტრის დაზვერვასთან თანამშრომლობა დასდეს. თვითონ ამბობდა, რომ ფულს სასიყვარულო მომსახურებაში იღებდა. ვერ უშველა ვერც გამოჩენილი ადვოკატის, დოქტორ კლიუნგეს დაცვამ, ვერც მაღალთანამდებობიან საყვარელთა გამოსარჩლებამ... იმავე წლის 15 ოქტომბერს, ადრიან დილით, მატა მიიყვანეს ვენსენის ციხე-სიმაგრის სასროლეთზე. გადმოცემით, იმ მომენტშიც ძალიან კარგი იყო, ტანწერწეტა, მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელებით, შავი ხავერდის პალტოთი, ატლასისლენტიანი შლაპუნათი და ზამშის ხელთათმანებით. თვალების ახვევაზე მან უარი თქვა, ხოლო 12 ჯარისკაციდან მხოლოდ ერთის ტყვია მოიხვედრა – სხვებმა აცილება ამჯობინეს.

„ჩვენი საუკუნის უდიდესი ჯაშუში ქალიო“, – ასე უწოდა სახელმწიფო ბრალმდებელმა სასიკვდილო განაჩენის კითხვისას. ამ ვერსიის თანახმად, ის ჯერ კიდევ ომამდე მოისყიდა გერმანიის საიდუმლო სამსახურმა, შემდეგ კი საფრანგეთის დაზვერვამაც, თუმცა უცნობია, მოუტანა თუ არა რეალური ზიანი რომელიმე მხარეს.

კიო, სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო პირებს ხვდებოდაო – მერე რა, განა კოსმოპოლიტი არ იყოო? კიო, ფულს იღებდაო – მაგრამ ეს ხომ სიყვარულის საფასური იყო და არა ინფორმაციისო. ასეთ ვერსიას გვთავაზობენ მატა ჰარის თაყვანისმცემლები და იმისგან წამებულს ქმნიან, შეუბრალებელი ინკვიზიციის კოცონზე დამწვარს.

ჰოლანდიელმა იურისტებმა წამოსწიეს მატა ჰარის საქმის გადასინჯვის საკითხი, მიიჩნევენ რა ქალს პოლიტიკური შეთქმულების მსხვერპლად. კანონის მიხედვით, იმისი დოსიე 2017 წელს გაიხსნება, სასიკვდილო განაჩენის გამოტანიდან 100 წლის შემდეგ. ეგებ მაშინ შეიტყოს მსოფლიომ სიმართლე.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

შვილიშვილი ციცინო შურღაია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ოლღა ერისთავი

დაკრძალვა სამშაბათს 26/IX ქ. ვანში.

**შპს „ასპიროზი-2002“, რეგისტრირებული გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს 2002 წლის 12 ივნისის დადგენილებით, რეგისტრაციის № 1/4-408, გადის ლიკვიდაციას.**

**ვთხოვთ დაინტერესებულ პირებს, მოგვმართონ გლდანში, ქერჩის ქ. № 1-ში და დაგვიკავშირდნენ 8 99 53-90-66 ტელეფონზე.**

***შპს „ასპიროზი-2002“-ის დირექტორი ზ. ი. ბერიაშვილი***

## დაზუსტება

# ელჩი კი არა, მინისტრი!

**ამ ბოლო ხანს ჩემს მოკრძალებულ ჟურნალისტურ საქმიანობაში უნებურად მომეძალა „რეპლიკები“, რაც მხოლოდ ერთი აუცილებლობით არის ნაკარნახევი: მკითხველს მუდამ მხოლოდ ზუსტად მივუთითოთ ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის შესახებ.**

დაზუსტება ეხება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიმდინარე წლის 26 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას „კიდევ ერთხელ აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ“.

ავტორი წერს:

**„გავიხსენოთ მეორე მსოფლიო ომის ცნობილი ამბავი, როდესაც საბჭოთა კავშირის პირველმა პირმა ყოველგვარი სახელმწიფო პროტოკოლის მოთხოვნების დარღვევით, რკინიგზის სადგურში გააცილა რანგით მასზე რამდენჯერმე დაბალი მოხელე, იაპონიის ელჩი. გაცილება საქმისათვის იყო საჭირო“.**

აქ ყველაფერი ზუსტია, გარდა ერთისა: ი. ბ. სტალინმა, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარესა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მოლოტოვთან ერთად იაროსლავლის ვაგზალზე 1941 წლის 13 აპრილს გააცილა იაპონიის არა ელჩი, არამედ საგარეო საქმეთა მინისტრი იოსუკე მაცუოკა.

**გიორგი მახარაძე,**
**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.**

## შევეწიოთ!



# სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| ანა მაზმიშვილი | – 1000 ლარი |
| ნესტან ნონიაშვილი | – 100 ლარი |
| რუსუდან ბოკერია | – 10 ლარი |
| იური ჯამაგიძე | – 50 ლარი |
| მალხაზ ნათენაძე | – 20 ლარი |
| ზაზა მესხი | – 20 ლარი |
| ემზარ პაკელიანი | – 10 ლარი |
| გიორგი მესხი | – 30 ლარი |
| ლ. ბერძენიშვილი | – 10 ლარი |
| აკა, ლიკა, სოფო, მარიამ მიქელაშვილები | – 30 ლარი |
| გიორგი თათრიშვილი | – 100 დოლარი. |

## გვემრავლოს!

# ელენე დაბადებულა, „ამერიკელი ქართველი“!

**თბილისელმა სალომე ხაბურზანიამ გერმანიაში სწავლის დროს გაიცნო და შეუყვარდა ამერიკის მოქალაქე ქრისლი ფინგერი.** მათი სიყვარული ქორწინებით დასრულდა და ამერიკაში, ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ შარლეტში დაიდეს ბინა.



ახლახანკი, წყვილმა, ჩვენს მეგობარს რუსუდან ხაბურზანიას და მის ოჯახს სასიხარულო ამბავი აუწყა: ქვეყნიერებას მათი პირმშო, მშვენიერი გოგონა მოევლინა (ამბავს ფოტოც მოაყოლეს). პატარას ელენე დაარქვეს, იგი 12 სექტემბერს დაიბადა და მშობლებთან ერთად ბებია-პაპის ცხოვრებაში უკვე სრულიად ახალი სხივი შემოიტანა.

პირველ შვილიშვილს ვულოცავთ რუსუდანს და ჯემალს, ასეთი სიხარული კიდევ მრავალგზის განეცადოთ. ბედნიერ ბებია-პაპობას ვუსურვებთ.

**ბელა დურგლიშვილი,**
**რუსუდან მუხიგულაშვილი**
**და სხვები.**

## კადრი





## ინფორმაცია

# აბა, თქვენ იცით, კოდორელო ყმაწვილებო!

**კოდორის ხეობის 3 სკოლის 10 მოსწავლე გადაცემა „ეტალონში“ მიიღებს მონაწილეობას. მოსწავლეები 22 სექტემბერს მერიაში, თბილისის მერს გიგი უგულავას შეხვდნენ. მან ბავშვებს წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში კოდორის ხეობაში სათხილამურო სკოლა გაიხსნება.**

„ეტალონის“ მონაწილეებთან შეხვედრის შემდეგ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა კობა სუბელიანმა ბავშვები ყინულის მოედანზე და გლდანში ე.წ დისნეი-ლენდში წაიყვანა.

ტელეგადაცემაში მონაწილეობის მისაღებად, აფხაზეთის მთავრობის დახმარებით ზემო აფხაზეთიდან მოსწავლეები თბილისში 21 სექტემბერს ჩამოვიდნენ. 6 ვაჟი და 4 გოგონა კოდორის ხეობის სამი სოფლიდან გენწვისიდან, აჟარიდან და ჩხალთიდან შეარჩიეს. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის ალექსანდრე აპლაკოვის ინფორმაციით, კოდორელმა ბავშვებმა გუშინ თბილისის ღირსშესანიშნაობები მოინახულეს.

**ინტერპრესნიუსი**

## ანეკდოტები

ქალიშვილი მაღაზიაში საქმროსთვის საჩუქარს ეძებს.

გამყიდველ ქალს სურს, დაეხმაროს და ეკითხება:

– რა სპეციალობისაა თქვენი მეგობარი?

– მწერალია.

– მაშინ ეს ნაგვის კალათა აჩუქეთ.

* * *

– ვერ მეტყვით, აქ ვის ასაფლავებენ?

– ვის და იმ კაცს, კუბოში რომ წევს.

* * *

თუ ჭეშმარიტებას დაჟინებით ეძებ, ვიღაცას აუცილებლად უთხრი სამარეს

* * *

ქერათმიანი ლამაზმანი გინეკოლოგთან მივიდა.

– ფეხმძიმედ ხართ, – ეუბნება იგი.

– ვისგან, ექიმო?

– ეს უკეთ თქვენ უნდა იცოდეთ...

– წარმოდგენაც არა მაქვს... თუმცა მთავარი ეს არ არის. ექიმო, დარწმუნებული ხართ, რომ ეს ბავშვი ნამდვილად ჩემია?

* * *



ქალთა ზაფხული კარგია, მაგრამ ზაფხული ქალებთან ერთად უკეთესია.

* * *

ჩასახვის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებაა... ტვინი!

* * *

მოხუცმა მებადურმა ერთბაშად ორი ოქროს თევზი დაიჭირა. გაუკვირდა. რა გქვიათო, ჰკითხა. სეხნიები აღმოჩნდნენ თევზები. კიდევ უფრო მეტად გაუკვირდა და გაუხარდა მოხუცს. ჩაჯდა თევზებს შუა და ჩაიფიქრა სურვილი...

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: თუ შეიძლება, განგვიმარტეთ, მოქმედი კანონის შესაბამისად ვისა აქვს არასრულწლოვანთან დადებული შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება და რა შემთხვევაში?**

**მარინე ნაცვლიშვილი**

**პასუხი:** ახალი შრომის კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად, არასრულწლოვანის კანონიერ წარმომადგენელს ან მზრუნველობის (მეურვეობის) ორგანოს უფლება აქვთ, მოითხოვონ არასრულწლოვანთან შრომის ხელშეკრულების მოშლა თუ მუშაობის გაგრძელება ზიანს მიაყენებს არასრულწლოვანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვა მნიშვნელოვან ინტერესებს.

* * *

**კითხვა: ვარ 17 წლის. გარდამეცვალა დედა, რომელიც მუშაობდა ბანკში და ჩვენი ოჯახის ძირითადი მარჩენალი იყო. ვარ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტი. მამა მუშაობს მცირე ხელფასზე.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა პენსია სწავლის პერიოდში და რამდენი წლის ასაკამდე?**

**ლელა კალანდაძე**

**პასუხი:** პენსია დედის გარდაცვალების გამო გეკუთვნით. მოქმედი კანონის შესაბამისად, იგი მოგეცემათ მხოლოდ 19 წლის შესრულებამდე.

* * *

**კითხვა: ვარ 70 წლის, პენსიონერი. 3 წელია ვარ თბილისის საპატიო მოქალაქე.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა შეღავათები მოხმარებული სასმელი წყლის, ბუნებრივი აირის და საოჯახო ნარჩენების გადასახადის გადახდის დროს?**

**თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველი.**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, თქვენს შეკითხვაში ჩამოთვლილ ყველა სახის კომუნალური მომსახურების გადასახადის გადახდის დროს შეღავათი გეკუთვნით.

გაუგებარია, დღემდე რატომ არ სარგებლობთ, ამ შეღავათებით. როგორც ჩანს სათანადო სამსახურებში არ წარგიდგენიათ ცნობა, რომ ხართ თბილისის საპატიო მოქალაქე. გირჩევთ, დაუყოვნებლივ წარადგინოთ.



**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

## დარია თუ ავდარია

# ამინდი 23 სექტემბერს

**დასავლეთ საქართველოში –** მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+28^0$ – $+19^0$, ღამით $+15^0$ – $+20^0$.

**აღმოსავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+19^0$ – $+25^0$, ღამით $+17^0$ – $+22^0$.



**თბილისში –** მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით $+14^0$, დღისით $+23^0$.

**ბათუმი** – ღ. $+17^0$, დ. $+23^0$; **სოხუმი** – ღ. $+16^0$, დ. $+23^0$; **ქუთაისი** – ღ. $+16^0$, დ. $+25^0$, **ოზურგეთი** – ღ. $+18^0$, დ. $+22^0$, **ზესტაფონი** – ღ. $+19^0$, დ. $+25^0$; **რუსთავი** – ღ. $+15^0$, დ. $+23^0$, **ფოთი** – ღ. $+17^0$, დ. $+26^0$; **მესტია** – ღ. $+10^0$, დ. $+18^0$; **სტეფანწმინდა** – ღ. $+15^0$, დ. $+18^0$; **თელავი** – ღ. $+13^0$, დ. $+21^0$; **გორი** – ღ. $+15^0$, დ. $+24^0$; **ახალციხე** – ღ. $+13^0$ დ. $+24^0$; **ბორჯომი** – ღ. $+13^0$, დ. $+22^0$; **ცხინვალი** – ღ. $+13^0$, დ. $+22^0$; **სამტრედია** – ღ. $+17^0$, დ. $+25^0$; **ზუგდიდი** – ღ. $+17^0$, დ. $+22^0$; **ჭიათურა** – ღ. $+13^0$, დ. $+21^0$.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაზელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აიწყონ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.